# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 8 აგვისტო 1998 №138 (673) ფასი 50 თეთრი

## საქართველოს ჩემპიონატი 1 ტური

6 აგვისტო, ხუთშაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 5 |
| არსენალი | 1 |
| კოლხეთი | 0 |
| ლოკომოტივი | 0 |

7 აგვისტო, პარასკევი

| | |
|---|---|
| მერანი | 0 |
| სამგურალი | 0 |
| ბათუმი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |

8 აგვისტო, შაბათი

| | |
|---|---|
| სიონი | |
| გურია | |
| თსუ | |
| ტორპედო | |
| ოდიში | |
| იბერია | |
| მეტალურგი | |
| დილა | |

## ივსება

თავშივე გეტყვით — ლაპარაკია ქართველ მორაგბეთა ფრანგულ ლეგიონზე და არა ჩვენს ჯიბეგახვრეტილ სახელმწიფო ბიუჯეტზე, რომლის ამოუვსებლობის გამო საქართველოს დასტა-დასტა ტოვებენ სპორტსმენები. ამჯერად ჯერმა მორაგბეებს უწია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ საფრანგეთში მობურთალ „ლეონსიოსა“ და „ლეჟოს“ (ლევან ცაბაძესა და ზაზა ლეჟავას) ცოტა ხანში ნოსტალგიის გრძნობა ნაკლებად შეაწუხებთ, რადგან ქართველ მორაგბეთა საკმაოდ სოლიდური ჯგუფი უახლოეს ხანებში ფრანგულ კლუბებს მიაშურებს.

ჩვენი ნაკრების ამასწინანდელი ფრანგული ტურნეს დროს საფრანგეთში დარჩენილი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი და მესამეხაზელი დიმა ობოლაძე უკვე ისინჯება ერთ-ერთ გუნდში. მისი თამაში თურმე მასპინძლებს ძალიანაც მოსწონებიათ და დატოვებაც გადაუწყვეტიათ.

გადაწყვეტილა ნაკრების მარცხენა ბურჯ მევლუდ მთიულიშვილის გადასვლაც ქალაქ რეველის გუნდში.

ამ ტრანსფერებთან დაკავშირებით საფრანგეთში იმყოფება რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი, რომელსაც გუშინ პარიზში შევეხმიანეთ. მან დაგვიდასტურა, რომ ობოლაძისა და მთიულიშვილის ტრანსფერი თითქმის მოგვარებულია, თუმცა დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავა.

საფრანგეთში თამაშის დიდი შანსები აქვთ ნაკრების დამრტყმელ, რუსებთან ისტორიული მატჩის მომგებ მალხაზ ურჯუკაშვილს, ზურაბ მჭედლიშვილსა და ძმებს — ირაკლი და შოთა მოდებაძეებს. ბიჭებმა დაგვიდასტურეს, რომ მათი ტრანსფერები, პრაქტიკულად, მოგვარებულია. ირაკლი მოდებაძე რეგიონალური ლიგის „ბრივში“ გადადის, მისი უფროსი ძმა — შოთა მეორე ლიგის „ლუნელში“, ზურაბ მჭედლიშვილი კი პირველი ლიგის „ბ“ ჯგუფის „მიონში“ ითამაშებს.

**ირაკლი თაბაძე**

## რეზო ჩომახიძე: მე საქართველოსთვის ვთამაშობ!
### ჩომაგოლი ბატიგოლის მეგობარია



რეზო ჩომახიძე — მსოფლიო წყალბურთის ქართველი ვარსკვლავი

ახლახან ამერიკაში დამთავრებულ კეთილი ნების თამაშებზე რუსეთის ნყალბურთელთა ნაკრებმა ყველა მეტოქე დაამარცხა და ტურნირიც უპრობლემოდ მოიგო, სლავთა გუნდში კი ყველაზე გამორჩეული ფიგურა რეზო ჩომახიძე იყო — იგი ცხრა გატანილი გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ეს ის რეზო ჩომახიძეა, რომელზეც საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გელა ტუკვაძემ თქვა, ეგ რომ გუნდში მყავდეს, ამ ჩვენი გუშინ შექმნილი ნაკრებით ევროპის 12 საუკეთესოს შორის ვიქნებოდითო. ამ სიტყვებიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა დონის მოთამაშეზე ვსაუბრობთ. თამამად ვიტყვი — რეზო ჩომახიძე მსოფლიო ნყალბურთის ერთ-ერთი უპირველესი ვარსკვლავია, ეგ არის მხოლოდ, თავის ნიჭსა და ოსტატობას უცხო ქვეყნის ნაკრებს ახმარს, თუმც ამასაც აქვს გამართლება და მერე როგორი. ჩვენთან ხომ ნყალბურთი სულს ლაფავს, ჩემპიონატს რის ვაივაგლახით ვატარებთ, აუზიც კი აღარ შეგვრჩა ისეთი, სპორტსმენს ნორმალურად ნვრთნა რომ შეეძლოს. ჰოდა, ასეთ პირობებში სათამაშო კლასს როგორ აიმაღლებ? ეგ კი არა, რაც მანამდე გისნავლია, ისიც დაგავინყდება. ამიტომაც მიაშურა ჩომახიძემ უცხოეთს და აკი ზემოთაც გითხარით, დღესდღეობით მისი დარი ნყალბურთელი მთელს მსოფლიოში ერთი-ორი თუ მოიძებნება.

მეტად რთული და დამღლელი სეზონის დამთავრების მერე რეზო ცოტა ხნით თბილისში ჩამოვიდა და ჩვენც მეტი რა გვინდოდა, უმალ შევეხმიანეთ. ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვეთანხმა, ოლონდ ერთი კი გვთხოვა, ახლა ქუთაისს მივდივარ და იმერეთიდან ჩამოსვლის მერე ვისაუბროთო. სხვა რა ძალა იყო, ორი დღეც მოვიცადეთ, რეზომ სიტყვა შეასრულა, „სარბიელში“ გვესტუმრა. თავად დარნმუნდებით, მართლაც საინტერესო საუბარი გამოგვივიდა.

**— ძალიან მოგნატრებია ქუთაისი, ჩამოსვლისთანავე რომ იქ გაეშურე.**

— ბავშვობა ქუთაისსა და წყალტუბოში გავატარე და, ცხადია, ამდენი ხნის განშორების მერე იქაურობა მართლაც ძალიან მომენატრა, ნათესავები, მეგობრები მოვინახულე და როგორც დაგპირდი, ახლა აქ ვარ და „სარბიელს“ ინტერვიუს ვაძლევ.

**— იმერლების სტუმართმოყვარეობის ამბავი რომ ვიცი, უპურმარილოდ არ გამოგიშვებდნენ.**

— ეგ მართლაც არ ეშლებათ იმერლებს, ისე კი, ცოტა გულიც კი დავწყვიტე მასპინძლებს, ყანწებზე უარი ვთქვი და მხოლოდ ხუთ ჭიქა ღვინოს დავჯერდი.

**— ქუთაისით დავიწყეთ და მოდი ის დროც გავიხსენოთ, პირველად რომ მიაკითხე წყალბურთის სკოლას.**

— ქუთაისის ერთ ჩვეულებრივ დასახლებაში, რომელსაც „პასიოლოკად“ მოიხსენიებენ, „დინამოს“ საწყლოსნო სახეობების სპეციალიზებული სკოლა იყო, სწორედ იქ დავიწყე ვარჯიში. თავდაპირველად ცურვაში მოვსინჯე ძალა, მეხუთე კლასიდან კი გიორგი ქუთათელაძემ წყალბურთელთა ჯგუფში გადამიყვანა და მას შემდეგ, რომ იტყვიან, წყალბურთით დავავადდი. მონდომებით ვვარჯიშობდი და სამ წელიწადში საქართველოსა და სსრკ ახალგაზრდული ნაკრების წევრიც გავხდი.

**— პერსპექტიული წყალბურთელი თბილისის „დინამოს“ თავკაცებმაც შეგამჩნიეს და 1991 წელს გუნდში მიგიწვიეს.**

— „დინამოში“ მიწვევა ჩემთვის დიდი პატივი გახლდათ, მაშინდელი გუნდი ხომ ერთ-ერთი საუკეთესო იყო ყოფილ საბჭოეთში, მოთამაშენიც უმაღლესი კლასისანი იყვნენ და ახალგაზრდა, დამწყებ წყალბურთელსაც მეტი რა მინდოდა, თან იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტიც გავხდი და მომავალს იმედიანი თვალით შევყურებდი. სსრკ ჩემპიონატში მხოლოდ ერთი სეზონი ვითამაშე, მერე კი დროც და ქვეყანაც იცვალა და საქართველოს წყალბურთმა დამოუკიდებლად ასპარეზობა დაიწყო. 1992 წელს ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა კაიროში მსოფლიოს პირველობაზე იასპარეზა, მართალია, იქ მეთერთმეტე ადგილზე გავედით, თუმცა საკმაოდ მაღალ დონეზე ვითამაშეთ. ამის შემდეგ, როგორც იტყვიან, საქართველოში წყალბურთის საქმე უკულმა წავიდა და უკვე სერიოზულად დავფიქრდი უცხოეთში სათამაოდ წასვლაზე. ჩემდა გასახარად, კაიროში იტალიელებს მოვეწონებოდი და მათ მიპატიჟებასაც უმალ დავთანხმდი. ასე აღმოვჩნდი ფლორენციაში.

**— შენი იტალიური კარიერის პირველი წელი არცთუ სახარბიელოდ დაიწყო.**

— ფლორენციის „რარინტერში“ რომ გადავედი, 19 წლის ვიყავი და, ცხადია, თავიდან ძალიან გამიჭირდა.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

## მსოფლიოს ჩემპიონატი კალათბურთში

მეოთხედფინალები

რუსეთი 82:67 ლიტვა
აშშ 80:77 იტალია
იუგოსლავია 70:62 არგენტინა
საბერძნეთი 69:62 ესპანეთი

## რუსეთი—ლიტვა: ახალი ოკუპაცია

7 აგვისტო

**რუსეთი 82:67 (35:38) ლიტვა**
**რუსეთი:** კარასიოვი (31), ბაბკოვი (10), პანოვი (8)
**ლიტვა:** შტომბერგასი (17). კარნიშოვასი (14), ჟუკაუსკასი (12)

რუსებმა, რომლებიც ჯერ კიდევ საბერძნეთის ტურნირის დაწყებამდე ითვლებოდნენ ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატად, დაამტკიცეს, რომ მართლაც უძლიერესი გუნდი ჰყავთ. საოცარია, მაგრამ სერგეი ბელოვის შეგირდები ისე სამაგალითოდ გაუსწორდნენ ბალტიისპირელებს, თითქოს თვით ამერიკელთა დამმარცხებელ ნაკრებს კი არა, სკოლის მოწაფეებს ეპაექრებოდნენ. რუსთა ასეთი უპირატესობა კიდევ ერთი რამის გამო იყო გასაკვირი. ეს გუნდი ტურნირის მსვლელობისას კარგად კი ირჯებოდა, მაგრამ მის თამაშს თითქოს რაღაც აკლდა. სწორედ ის, რისი მეშვეობითაც მსოფლიოს ჩემპიონები ხდებიან.

თუმცა, როგორც გუშინდელმა მატჩმა აჩვენა, ეს მოსაზრება მცდარი იყო. რუსები იმდენად გააზრებულად და ორგანიზებულად აწყობდნენ შეტევებს, რომ მათ მაღალი კლასის კოლექტივად თვით კალათბურთში ჩაუხედავი კაციც შეიცნობდა. თანაც, ლიტველთა სამწუხაროდ, იმ დღეს მოედანზე სხვებთან ერთად ვასილი კარასიოვიც იდგა.

ამ სწრაფმა გამთამაშებელმა მთელი შეხვედრის განმავლობაში პირდაპირ გააწამა მეტოქის დაცვა. 31 ქულის მომტან კარასიოვს ყველაფერი საუცხოოდ გამოსდიოდა. მის სამქულიან ზუსტ ტყორცნებს ფარქვეშ არანაკლებ ეფექტური და შედეგიანი შესვლები ცვლიდა, რასაც ბალტიისპირელები ვერაფერს უხერხებდნენ.

არადა, მატჩის პირველი ტაიმი ლიტვას ცუდს არაფერს უქადდა. მართალია, პირველი ხუთი ქულა რუსმა ბაბკოვმა მიითვალა და თავისიანები 5:0 დააწინაურა, მაგრამ კაზლაუსკასის ბიჭები გონს მალე მოეგნენ. ჯერ ეინიკისმა იყოჩაღა და ჩვეული „კაუჭით“ ანგარიში შეამცირა, ხოლო მერე თავისი გუნდის გამლოლა საულიუს შტომბერგასმა ითავა. სწორედ ამ კალათბურთელის წყალობით იყო, რომ ლიტვა მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ლიდერობდა და შესვენებაზეც სამი ქულის უპირატესობით წავიდა — 38:35.

აი, მეორე ნახევარში კი მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი — რუსეთი იყო! უფრო სწორად კი ვასილი კარასიოვი, რომელმაც ნამდვილი ბენეფისი მოიწყო. მარტო მისი ჩინებული თამაშის აღნიშვნა არ კმარა. კიდევ ერთ ფაქტს უნდა მიექცეს ყურადღება. როცა რუსთა თავკაცმა ბელოვმა ნახა, ლიტველები დაიბნენ და დაწინაურების საშუალება მოგვცესო, თავის ბიჭებს თამაშის მეტად სწორი ტაქტიკით გაგრძელება მოსთხოვა. დავალება კი ასეთი იყო: კარასიოვსა და კომპანიას ბოლომდე უნდა გამოეყენებინა ბურთის ფლობისთვის განკუთვნილი დრო და მხოლოდ უკანასკნელ წამებზე შეეტია. სალამოს გმირმაც საუცხოოდ გაართვა თავი ამ მოვალეობას. რუსები, გარდა იმისა, რომ დრო წარმატებით გაჰყავდათ, კარასიოვის წყალობით თითქმის ყველა შეტევას შედეგიანად აგვირგვინებდნენ.

ასე გაგრძელდა მანამ, სანამ შტომბერგასის ბოლო გაბრძოლებამ შედეგი არ გამოიღო. ლიტველებმა თავისი ლიდერის წყალობით ანგარიში 2 ქულამდე შეამცირეს 61:63, მაგრამ სულ ეს იყო. კარასიოვმა, ბაბკოვმა და გააქტიურებულმა პანოვმა 9 უპასუხო ქულა ჩააგდეს და ბალტიისპირელთა ტანჯვაც დაასრულეს.

საბოლოოდ რუსებმა იოლად იმარჯვეს და დღეს ნახევარფინალურ მატჩში ამერიკელებს შეხვდებიან.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



რუსეთი — ლიტვა. ასეთი დაძაბული ბრძოლები იმ დღეს მრავლად იყო. საბოლოოდ კი მაინც უძლიერესმა იმარჯვა

## გაგვანახევრეს, მაინც ვაჯობეთ

გუშინ რიგაში, ევროპის ჭაბუკ კალათბურთელთა ჩემპიონატის შესარჩევისწინა ეტაპზე ქართველმა ბიჭებმა მესამე გამარჯვებით გაიხარეს — პოლონეთიც ბულგარეთისა და ჩეხეთის გზას გაუყენეს — 83:74.

პოლონეთს ვერც ბულგარელი მსაჯის ხუშტურებმა უშველა, ვერც განახევრებულ ქართველთა გუნდთან თამაშმა. გაავებულ არბიტრს ხუთი ჩვენებურიც გაუგდია და სასტვენიც ხშირად არასწორად უხმარია.

მოკლედ, ვერაფერს იტყვი, ბრწყინვალე შედეგია. ამით ჩვენმა გუნდმა ნაადრევად დაიბევა გაისად სლოვენიაში მეორე ეტაპზე თამაშის უფლება.

ტურნირის გამარჯვებულს ხვალ ლატვია — საქართველოს მატჩი გამოავლენს.

ბათუმი
7 აგვისტო
18 საათი
„დინამო"
5000 (ტევადობა 18000)

**ბათუმი 0:1 ვიტ ჯორჯია**

0:1 გ. გვაზავა (18)
**ბათუმი:** ტოგონიძე, გოგიტაძე (აფხაზავა 46), ღლონტი, სიჭინავა, მაქაცარია (კანტიძე 46), ვერემჩუკი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, ტულუში, მაჭუტაძე, რუსია
*სათადარიგონი:* გადელია, რომანაძე, ყულეჯიშვილი, პაპიძე, მალაყმაძე
**ვიტ ჯორჯია:** ქურაძე, მენთეშაშვილი, ჭანკვეტაძე, ჯ. მუჯირი, თ. ბოკერია (ზ. გვაზავა 74), აბაზაძე, კაპანაძე (კვიციანი 87), მაისურაძე, ლ. ნოზაძე, გოჩაშვილი (ლამბაშიძე 83), გ. გვაზავა
*სათადარიგონი:* გუგუნავა, ენუქიძე, ქოხონელიძე, გ. ქუთათელაძე
**გაფრთხილება:** მაისურაძე (27), გ. გვაზავა (32)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია, კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ცირდავა (გულრიფში); ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. კობერიძე

**გოჩა ჯანაშია** ბათუმიდან

გუშინ საიუბილეო ეროვნული ჩემპიონატი ბათუმსაც ეწვია და როგორც მოგვიანებით გაირკვა, პირველი სენსაციაც გამოცხვა.

ბათუმი, როგორც ბოლო წლებში ჩვევია, საკმაოდ ორგანიზებულად შეხვდა ახალ სეზონს. ეს არც არის გასაკვირი. იქ ხომ სხვა ქალაქებთან შედარებით ნამდვილი საფეხბურთო ატმოსფერო სუფევს. კარგი სტადიონი ჩინებული ინფრასტრუქტურითა და მინდვრით, შედარებით მრავალრიცხოვანი მაყურებელი და, რაღა თქმა უნდა, თვით გუნდი „ბათუმი", რომელმაც გასული სეზონის წარმატებებს ამ ცოტა ხნის წინ სუპერთასიც მიამატა და საჩემპიონო ამბიციებიც უფრო გაზარდა.

# ფრთხილად, წინ პარტიზანია!

## სენსაცია №1: ბათუმმა საშინაო მარცხით დაიწყო

ზემოთ მაყურებელი ვახსენე და ერთსაც დავამატებ. გუშინ სტადიონზე საკმაოდ მცირერიცხოვან ქომაგებს მოეყარათ თავი. მოგვიანებით ოქმში აღნიშნული ციფრი კი გავიკვირვე, მაგრამ რას იზამ, ოფიციალურ დოკუმენტს გვერდს ხომ არ აუვლი.

ბათუმში გუშინ დილიდან იწვიმა. მიუხედავად იმისა, რომ მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გადაიღო, მინდორი მაინც გვარიანად დასველებული და დამძიმებული ჩანდა, რამაც გარკვეული დაღი დაასვა მატჩის სანახაობრივ მხარეს. ორივე გუნდმა თავიდანვე საკმაოდ დუნე თამაში გააჩაღა. გონს კი პირველად მასპინძლები მოვიდნენ და მე-6 წუთზე რუსიას ხელსაყრელი მომენტიც შეუქმნეს, მაგრამ მან ასისტენტ მაქაცარიას გარჯა წყალში ჩაუყარა.

მასპინძელთა ჩხვლეტას სტუმრებმა მალე უპასუხეს და მე-15 წუთზე ნოზაძის ჩაწოდებული კუთხურს არჩილ ბოკერიამ თავი შეაგება, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა ტოგონიძის კარს, თუმცა სამიოდ წუთში ვიტელებმა მაინც თავისი გაიტანეს და სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს: მარჯვენა ფლანგიდან თამაზ ბოკერიამ შეუტია და საჯარიმოშიც ჩააწოდა, იქ კი ყველას გრიგოლ გვაზავამ დაასწრო და ტოგონიძე უსაქმოდ დატოვა.

„ბათუმი" გაშვებულმა გოლმა თითქოს გამოაცოცხლა, მაგრამ მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, მაინც არა გამოუვიდათ. ისინი ძირითადად ცენტრიდან ცდილობდნენ ფონს გასვლას, მაგრამ თბილისელთა დაცვა ლიბერო მაისურაძის თავკაცობით ჩინებულად ირჯებოდა. მეორე ტაიმი მასპინძლებმა შტურმით დაიწყეს. შოთა ჭეიშვილმა ინერტული გოგიტაძისა და მაქაცარიას ნაცვლად აფხაზავასა და კანტიძეს უხმო მოედანზე, რითაც ხიფათმა ვიტელთა კართან იმატა. 51-ე წუთზე ტულუშის სახიფათო გასროლილს ჭურაძე ჯეროვნად დაუხვდა. იქვე რუსია უტევდა მარჯვნიდან, მაგრამ მის კარის გასწვრივ სახიფათო ჩაწოდებულს არავინ გამოეხმაურა, ხუთ წუთში ჭიჭვეიშვილის 20 მეტრიდან ძლიერად დარტყმული ბურთი სანტიმეტრებში სცდება სტუმართა კარის მარცხენა ძელს. მალე ზღვისპირელებმა პენალტი მოითხოვეს, მაგრამ ამაოდ — მაჭუტაძე თეატრალურად წაიქცა და კვარაცხელიამაც თერთმეტმეტრიანი სავსებით სამართლიანად არ დანიშნა.

მსაჯებმა საკმაოდ კარგად გაართვეს თავი თავიანთ მოვალეობას, თუ არ ჩავთვლით 77-ე წუთზე შექმნილ სადავო ეპიზოდს: ნოზაძის დარტყმული ტოგონიძემ ვერ დაიმორჩილა და გვაზავამ ცარიელ კარშიც შეაგდო, მაგრამ თანამსაჯმა ალამი ასწია და ბურთიც, ბუნებრივია, არ ჩაითვალა. ამ მომენტამდე ხუთიოდ წუთით ადრე „ბათუმს" შეეძლო გათანაბრება, მაგრამ ჭიჭვეიშვილის მძლავრი თავური ახლო მანძილიდან ძელს მოხვდა.

„ვიტ ჯორჯია" შტურმს მედგრად დაუხვდა და რამდენიმე მწვავე კონტრშეტევაც განახორციელა. თბილისელებს ბოლო მომენტში სიზუსტე რომ არ დაჰკლებოდათ, „ბათუმს" უკანასკნელი წუთებისთვის ორი-სამი ბურთი ექნებოდა გასაქვითი. მატჩის მიწურულს მასპინძელთა უპირატესობა საგრძნობი გახდა და მათ ანგარიშის გათანაბრების ზედიზედ სამი შანსიც მიეცათ. ჯერ იყო და მაჭუტაძეს ბოლო ორწუთიან მონაკვეთში ზედიზედ ორჯერ მართებდა გატანა, მაგრამ ორჯერვე უზუსტო დარტყმა გამოუვიდა. მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში რუსიასაც შეეძლო თავისიანების გახარება, მაგრამ ათიოდ მეტრიდან უხეიროდ დარტყმული ვიტელთა კარის ხარიხას ოდნავ გადასცდა.

მოკლედ, „ვიტ ჯორჯიამ" ღირსეულად გაიმარჯვა და უხერხული მეტოქის სახელიც დაიგდო ბათუმში. მართლაც, წინა სეზონში მან 5 ქულა აართვა ვიცე-ჩემპიონებს და ახლაც საკუთარ კედლებში მწარე მარცხი აგემა. ბათუმი კი შინ იშვიათად აგებს და გუშინდელი მარცხი იუგოსლავიის „პარტიზანთან" მატჩის წინ მეტად საგანგაშოა.

თბილისი
7 აგვისტო
18 საათი
„სინათლე"
500 (ტევადობა 2000)

**მერანი 0:0 სამგურალი**

**მერანი:** ლომაია, ივანიშვილი (ხარებავა 89), გ. ალადაშვილი, დავითნიძე, დანელია, ჯიშკარიანი, ქინქარაული, ცქიფურიშვილი, ბაჯელიძე (დევიძე 67), ხუციშვილი, მესხი
*სათადარიგონი:* ნაჭყებია
**სამგურალი:** სტურუა, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, კოლუაშვილი, დ. ჭელიძე, მახვილაძე, ი. ხაჭაპურიძე, ღონღაძე (დარსაძე 68), ფაიქიძე (ზ. ქუთათელაძე 80), თევდორაძე (უგულავა 46), ჯანაშია
*სათადარიგონი:* ლ. ქობულაძე, ფილიპაშვილი, ბობოხიძე, ძაგნიძე
**გაფრთხილება:** ჯანაშია (18), ივანიშვილი (26), თევზაძე (63), ჯიშკარიანი (83), ჭელიძე (83), ხაჭაპურიძე (90)
**მსაჯები:** ს. კახიანი, ვ. ჩოჩოშვილი, ზ. მენთეშაშვილი; თ. ლაცაბიძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** მ. კობიაშვილი

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ვარსკვლავთცვენა სინათლეზე

## ანუ ყველაფერზე ფეხბურთის გარდა...

ბიჭოოს! ვინ არ ვნახეთ გუშინ „სინათლეზე". ჩელე, ქინქი, მანუჩარი, ყიფიანი, იაშკა, გოჩა მაჩაიძე, შელია, გუჩუა, ეს ქართველები, ახლა უცხოელებს არ იკითხავთ? ბაბანგიდაო, დავიდსიო, უმცროსი ლაუდრუპიო, რონალდოც კი. არ გჯერათ? არა და ნუ. მე კი ვნახე — ოთარ მამასახლისი ვნახე და მისი ცირკი. ზემოთ ნახსენები ვარსკვლავებიც ოთარამ ასტუმრა ავჭალას, თორემ რის რონალდო, რა ბაბანგიდა, ეგლა აკლიათ. კარგა ხანია, ეს კაცი ქართველ გულშემატკივრებს ახალისებს შესვენებებზე და ალალია მასზე ორიოდ სიტყვის თქმა. ის რომ არა, მოწყენილობა დაივანებდა გუშინ „სინათლეზე" (არა მარტო გუშინ და არა მარტო „სინათლეზე").

ჰოო... კიდევ რა შეიძლება გაიხსენო კაცმა გუშინდელი მატჩიდან? პირველ ყოვლისა, გრძელი გალია გვეცა თვალში — მავთულის ცხაურით შემორაგული გვირაბისმაგვარი რაღაც, მოედანს მსაჯთა ოთახთან რომ აკავშირებს. ახლა კი ცოტა გაუჭირდებათ „მერანის" გულშემატკივრებს არბიტრათათვის ქვებისა და რამე-რუმეების სროლა, შესაბამისად, არც „მერანი" მოისაკლისებს, ალბათ, ქულებს „აქტიურ გულშემატკივართა" გამოისობით.

კიდევ მეათე ეროვნულის „საზეიმო გახსნა" ჩაგვრჩა გონებაში. იყო ფლაგშტოკი, იყო „დიდება", ფეხზე წამომდგარი მაყურებელიც და ტკბილად მოსაგონარი საბჭოური საფეხბურთო მარშიც- არ იყო მხოლოდ ფეხბურთი. სტადიონზე კი იმისთვის დადიან, რომ ფეხბურთი იხილონ. ის კი, რაც გუშინ „სინათლეზე" ვნახეთ, ყველაზე ნაკლებად ჰგავდა ფეხბურთს.



მიხეილ მესხი ლაშა ფრანგიშვილს კი სჯობნიდა, მაგრამ ვერ გაიტანა

ეს იყო ორი თანაბარძალოვანი კოლექტივის რქენა, რომელიც ლოგიკური შედეგით დასრულდა. სიტყვის კაცი ყოფილა გაიოზ დარსაძე — თქვა, თბილისიდან ქულას წავიღებო და აასრულა კიდეც. იმერეთში ჯერ არჩასულს უკვე დაუტყვია ხელი წყალტუბოელთათვის. ძნელია ერთი თამაშით გუნდის დონეზე იმსჯელო, მით უმეტეს, სეზონი ესაა დაიწყო — „სამგურალი" დაწყობილი, გამართული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს, ფეხბურთელებმა იციან, საბანი სადამდეც წვდებათ და ისიც, სადამდე გაიჭიმონ. ისინი, სიტუაციიდან გამომდინარე, მედგრად, ხისტად უმკლავდებოდნენ მასპინძლებს და შედეგიც სასურველი იკუთვნეს.

„მერანი" კი, ის „მერანი", რომლის აგრერიგ იოლად დაურვებასაც არავინ ელოდა, ქაოსურად, უწესრიგოდ უტევდა და ასე გალია მთელი თამაში. საათნახევრის მანძილზე არც ერთ კარში არც ერთი ხეირიანი, ნაღდი საგოლე დარტყმა არ შესრულებულა და სტადიონის ცენტრალურ ხაზთან დადგმულ მექანიკურ ტაბლოზე (რაღაცით ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს რომ გვახსენებს) აკიაფებული, უფრო სწორად, წითელი საღებავით მოხატული ნულები სრულად ასახავდა მატჩის შედეგს.

მოედანზე ფეხბურთი არ იყო-მეთქი, უკე ვახსენე, აი, ბრძოლა, უფრო ზუსტად, ძიძგილაობა კი იყო. განსაკუთრებით ცქიფურიშვილისა და ხაჭაპურიძის, ჯიშკარიანისა და ჭელიძის „ტანდემებმა" დაგვამახსოვრეს თავი. მსაჯმა კახიანმაც გულუხვად არიგა გაფრთხილებანი მარცხნივ და მარჯვნივ.

მასპინძლებს მერანელთა შორის საუკეთესო ფეხბურთელისთვის პრიზიც დაეწესებინათ. ასეთად დავითნიძე აღიარეს და ეკუთვნოდა კიდეც თბილისელთა ვიცე-კაპიტანს გუნდში გამორჩევა.

კიდევ... კიდევ რა გავიხსენოთ? ჰო, კიდევ ამინდი წვალობდა (ფეხბურთელებივით). ჯერ თითქოს წამოთქორა, მერე ქარი ამოვარდა და „სინათლეს" ღრუბლები მოაშორა. მთელი მატჩის განმავლობაში სასიამოვნოდ გრილოდა და ფეხბურთის სათამაშოდ (თუკი ფეხბურთელები მოინდომებდნენ) საუცხოო პირობები იყო.

გახსოვთ, ალბათ, საფრანგეთი 98-ის დღეებში „სარბიელი" თითქმის ყოველდღიურად ბეჭდავდა სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებთა მომხიბლავი გულშემატკივრების (მანდილოსნები გვყავს მხედველობაში) სურათებს. ძნელია სუზანა ვერნერის, გულის წამლები სექსუალური იამაიკელი სამეულის, იტალიელი ბამბინოებისა თუ სხვათა დავიწყება (მსოფლიო ლამაზმანთა თავშეყრა სარბილელელებმა ხუმრობით დეკადად მოვნათლეთ). გუშინ „სინათლეზე" მისულები კი იმაშიც დავრწმუნდით, რომ არავისზე ნაკლები „დეკადა" არ გაგვაჩნია ქართველებს და ჩვენი ჭიპკოლტიანი და დეკოლტიანი ასულებიც არავის ჩამოუვარდებიან... პირდაპირ მოწყვეტილ ვარსკვლავებს ჰგავანდნენ დალოცვილები (საკვირველი უფრო ის იყო, როგორ მოხვდნენ ამ გაუგებრობაში).



გიორგი დავითნიძე ვეტერან თემურ ფაიქიძეს გასაქანს არ აძლევდა

რაც შეეხება ფეხბურთსა და ეროვნულ ჩემპიონატს, თუკი ისევე უნდა გავაგრძელოთ, როგორც დავიწყეთ, მაშინ ეს ვთქვათ: ავიღოთ სამივე სინჯის მედალი, თასი, სუპერთასი — ყველაფერი ერთად ოთარ მამასახლისს გადავცეთ და ამით დავამთავროთ. ღირსია, ღმერთმანი! ყოველ შემთხვევაში, მის ცირკზე უფრო გამორჩეული და ღირსეული მწვანე მინდორზე ჯერ არაფერი ჩანს.

გიო აზვლედიანის

## სვეტი

### ბასკური გაკვეთილები

გასულა, ო-ჰო-ჰო რამდენი წელიწადი. მამა-პაპას, ძველ ტფილისელ ქომაგებს, თავის გულსა და ჯიგარში ძველი ფეხბურთის სილამაზის მატარებლებს, ახსოვთ ის ორი საღამო დიდი ევროპული ფეხბურთისა. ნამდვილი ვარსკვლავების თამაში იმ პატარა და კოხტა სტადიონზე, რომელსაც, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ლავრენტი ბერიას სახელი ერქვა.

ბასკონიის ნაკრები საბჭოეთში მოგზაურობდა. ეს იყო დიდი პოლიტიკის, უფრო კი ომის სპორტული გამოძახილი. ბასკებმა, იმ დროის განთქმულმა ფეხბურთელებმა, მიანგრ-მოანგრიეს მოწინავე საბჭოთა კლუბები და ნაკრებები და მხოლოდ „სპარტაკთან" წააგეს. მეთაურები გაგიჟდებოდნენ, წაუგებლად როგორ გაუშვითო. ამიტომაც, როგორც ამბობენ (დღეს უკვე თამამად) ბასკები დაუთვრიათ.

მაგრამ ჩრდილოეთის ამბავი ჩვენ აღარ გვეკითხება და გავიხსენოთ ჩვენი. დიდი მნიშვნელობის მოვლენა, დაუვიწყარი მატჩები თბილისის „დინამოსთან" და საქართველოს ნაკრებთან (იგივე „დინამო" იყო და ერთი კაცი შეცვალეს), ორი გამარჯვება და შთაბეჭდილება სრულიად წარუშლელი. არავის დაწყვეტია გული, მოგვიგესო. ყველა მიხვდა, რომ აქ შედეგი არ იყო მთავარი, არამედ მოვლენა. ლარინაგაო, ლანგარაო (ჩვენთან არ უთამაშია) ალონსოო, გოროსტიცაო, სილაურენიო...

ამ მატჩების მეტყველი წამები დღემდე შემორჩენილა ჩვენს წინაპართა ფიქრში. მიამბობდა ერთი ძველი გულშემატკივარი, მაშინ თოთხმეტი წლის ბიჭი: „თამაში დაიწყო და ბურთი სილაურენმა მიიღო. სწრაფად გადმოჭრა ცენტრი და ბევრი აღარც უფიქრია, პირდაპირ დაარტყა კარში. მე ვერ დავინახე ბურთის ფრენის მომენტი. მივხვდი, რომ ტყვიასავით წავიდა. რაც დავინახე, ის იყო, რომ ცხრანის ადგილას, ზედა ძელს მოხვდა და ცაში ავარდა. ეს მოულოდნელი და შოკის მომგვრელი იყო. პირველი თამაშის შემდეგ უფროსები ამბობდნენ, ესენი როგორ თამაშობენ და ინგლისელი (მაშინ ეს იყო მთავარი საზომი) პროფესიონალები (მაშინ იყო შიშისმომგვრელი ეფექტური ტერმინი) რაღას იზამენო. მთლად ვერ გავიგე, მაგრამ მივხვდი, რომ არსებობს სხვაგვარად თამაშის საშუალებაც. ჩვენც ვარსკვლავები გვყავდა, მაგრამ ისინი სხვანაირად თამაშობდნენ."

ის ბასკური მოგზაურობა გამორჩეული მნიშვნელობისა იყო. ვინ იცის, ამგვარი ტურნირები რომ გაგრძელებულიყო, ჩვენს (ქართულ) ფეხბურთს რა სარგებელი ექნებოდა. თორემ ისე, მოსკოვის „დინამოს" ინგლისში გაუშვებდნენ, თბილისის „დინამოს" რუმინეთში. პირველი ღირებული ტურნე საბჭოთა ბოსებმა ევროტურნირებს მოკვეთილ სსრკ-ს ქართველ წარმომადგენლებს 1960 წელს აღირსეს, იმ შემოდგომას, როცა საბჭოთა თასი გამოგლიჯეს ხელიდან. მაგრამ ეს იქეთ იყოს.

ხვალ-ზეგ, თბილისში კვლავ ჩამოდის ბასკური გუნდი, ბილბაოს „ატლეტიკო". გუნდი ჯანიანი, შემტევი, უშიშარი და საინტერესო. ნამდვილად ვერ იტყვი, რომ ეს ბასკური ვიზიტი მნიშვნელობით იმ ძველის დარი იყოს, თუმცა აქ საქმე გავარდნაზეა. ჩვენს სტადიონზე მრავალი დიდი გუნდის მნახველთ სულაც არ გვიკვირს „ატლეტიკო". სიამოვნებით კი გვესიამოვნება, რომ ჩვენთვის კარგად ნაცნობ მოთამაშესა და მწვრთნელს, ლუის ფერნანდესს ვნახავთ. აქ საწუხარი ის არის, რომ ჩვენი „დინამო" იმგვარად ვერ დგას ფეხზე, რომ ბასკთა გაკვეთილები აღარ დასჭირდეს.

ამბობენ, ბასკები ჩვენი შორეული ძმები არიანო. მათ შინაგან სიმტკიცეზე ისიც მეტყველებს, რომ ამ გაგანია ბოსმანობიაში, როცა „ბარსელონა" პირდაპირ ჰოლანდიურად ლაპარაკობს, „ატლეტიკო" თუკი გამოძებნის ლეგიონერს, ისიც წარმოშობით მაინც ბასკი უნდა იყოს. ბასკი ცხოვრების ყოველ ამბავში ცდილობს თავისი ბასკობის შენარჩუნებას, რაზან მისი ცხოვრება ისე წასულა, რომ თავისი სახელმწიფო არა ჰქონია.

სიმართლე რომ ითქვას, ქართველებსაც დიდად არ უყვარდათ სხვა ქვეყნიდან ფეხბურთელთა მოწვევა. დღეს, რაც არ უნდა ვიხსენოთ ბასკური გაკვეთილები, ანდა მოსალოდნელ მატჩზე ვილაპარაკოთ, ბასკთაგან ერთ გაკვეთილს მაინც ვერ მივიღებთ. დღეს ჩვენი გუნდები ნაღდად საჭიროებენ უცხოელებს. უცხოელთა მოწვევა, მათ მხარდამხარ თამაში და ფიქრი ჩვენი კლუბებისთვის იმავ მნიშვნელობისაა, როგორც ოდესღაც ბასკონიის ნაკრების ტურნე იყო. ეს ერთ-ერთი დიდი პლუსი იქნება თუნდაც „დინამოსთვის".

სადღაც ძაუჯიკაუში ჩავიდა ბრაზილიელი...

არა, არა ბასკთაგან ასეთი გაკვეთილი არ გვინდა, ის ძველი კი, მართლაც საუცხოო და დაუვიწყარი იყო, ოღონდ ეგ არის, რომ გაგრძელება არა ჰქონია.

# აგრე ვიცის ჯაყომა...

### სახელი სხვისი, საზრავიც სხვისი...

კარგა ხანია, ოსური „ალანია" ქართველ ფეხბურთელებს საჯილდაო ქვად ექცათ. ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონით გაბეზრებულებს თვალი გაქცევაზე უჭირავთ და თუკი სხვა უცხოური კლუბი ვერ „გაიშანსა", თავს ვლადიკავკაზში ამოყოფენ ხოლმე. ძაუჯიკაუ თბილისიდან ახლოსააო. ასე ხსნიან თავიანთ ოსურ ვოიაჟს ჩვენი ბიჭები და სამიოდ წელიწადში ამ თუ სხვა მიზეზთა გამო, ოსეთში ქართველ ფეხბურთელთა კარგა დიდი დესანტიც დაგვიგროვდა. თვითონ განსაჯეთ — რევიშვილი, შელია, ყაველაშვილი, ცხადაძე, ჯამარაული, აშვეთია, ხვადაგიანი, ჩალაძე, გახოკიძე, კობიაშვილი, დემეტრაძე, წერეთელი, გრიშიკაშვილი, ამათ წესით, თეთრაძე, ცვეიბა, თედეევი, ხაპოვი და ჯიოევიც უნდა მივამატოთ — ყოველ მათგანს ქართული საფეხბურთო სკოლა აქვს გავლილი. თითქმის ერთი თაობის თვრამეტი ფეხბურთელი — ეს სულაც არ გახლავთ ხუმრობა საქმე და ოსური „ალანია" რომ რუსეთის ჩემპიონატს თბილისის „დინამოს" ნოსტალგიას უქარვებს, არც ეს გვგონია უსაფუძვლო გვსურს მივმართოთ, თუ წასასვლელია, სხვაგანაც (ბარემ სხვაგანაც) წავიდნენ, განა „სპარტაკი", „ლოკომოტივი" ან „როტორი" უკეთესი ტრამპლინი არ არის? არც პირობებია ამ გუნდებში „ალანიაზე" ურიგო, ხოლო რაც შეეხება თბილისთან სიახლოვეს, არა გვგონია, ზაზა ჯანაშია მოსკოვიდან თვითმფრინავით მგზავრობას უფრო მეტ დროს ანდომებდეს, ვიდრე, ვთქვათ, ჩვენი ალანიელი ლეგიონერები ვლადიკავკაზიდან მანქანით სრბოლას.

არსებობს კიდევ ერთი პატარა, სულ პატარა, თითქმის ერთი ციდა ნიუანსიც — სამშობლო ხაჭაპური არ არის, შიგ მარტო ყველი რომ გიყვარდეს.

### ჯერ კნიაზი, მერე ბრინკა

— რევიშვილისდარ ფეხბურთელს ვლადიკავკაზში არ უთამაშია...

— გრიშიკაშვილი ხაპოვს არაფრით ჩამორჩება, ცოტა გამოცდილებაც და...

— შელია უძლიერესი მცველია...

ეს სულ ვალერი გაზაევის გამონათქვამებია, ყოველ შემთხვევაში, ის, რაც ამ წუთისთვის გვახსენდება. არც ჯამარაულის, ყაველაშვილის, ცხადაძის, ხვადაგიანის, ჩალაძის მიმართ დაუშურებია ეპითეტები ვალერი გიორგის ძეს.





გაზაევის პირველი და ბოლო მსხვერპლი: თერგდალეული ქართველები გოჩა ჯამარაული და დავით ჩალაძე

ნათქვამი. სხვა-სხვა და დიდ რუსეთს ჯერაც არ დავიწყებია ქართული ფეხბურთის გემო. კავკასიური ცეცხლი და ტემპერამენტი ენთოს მოედანზე და რუს გულშემატკივარს ჩირადაც არ უღირს, ვისი სახელი ჰქვია ამ ცეცხლს — „ალანიასი" თუ „დინამოსი". მეორე უარყოფითი მომენტიც ახლავს ამ ამბავს — „ალანიას" ხელმძღვანელობა თითქმის ყოველთვის ჩალის ფასად ჩაიგდებს ხოლმე ხელში ქართველ მოთამაშეებს, სანამ სჭირდება, ათამაშებს მათ თავის გუნდში და მერე ისეთ თანხად გაასხვისებს ან გაჰყიდის, ბარე ორ სეზონს რომ ეყოფოდა ჩვენს ჯაგლაგ გუნდებს. ვერაფერს იტყვი, იცის ამ ხალხმა, რაც უნდა. ჩვენ კი ტრადიციული ქართული ბედოვლათობა, დღესმაცხონეობა, როგორც წესი, ძვირად გვიჯდება ხოლმე და გუშინ ნივრისა და ნაქურჩალის ფასად გაყიდულ ფეხბურთელში დღეს ოთუსბირს ვიხდით და ისე ვიბრუნებთ უკან. საზრავს რომ სახელი გვიჯობს, ეს ქართველებს ხასიათში კი გვაქვს, მაგრამ უბედურება ისაა, სახელიც აღარ დაგვრჩა — ისიც კი დაიწერა, თბილისის „დინამო" „ალანიას" ფარმ-კლუბიაო. ჯაყო ჯივაშვილისა არ იყოს, „კჩორტუ" ასეთი სახელი.

### ულვაშა და დიქტატორი

არა, სტალინზე არ ვწერთ. ამ სათაურში გაზაევი გვეგულისხმია, ვალერი გიორგის ძე. მოსკოვის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი და კოლორიტი. გამორჩეული არა მხოლოდ სათამაშო მანერით, ფეთქებადი ხასიათითაც. მისი საფეხბურთო კარიერიდან სასიამოვნოს გარდა (თასის ფინალში გაბელიასთვის ვერგატანილი პენალტი) ბევრი ისეთიც გვახსენდება, სრულიადაც რომ არ ამშვენებს მის პიროვნებას (თუნდაც ფრუიძესთან ქუთაისური ინციდენტი გავიხსენოთ, მაშინ გაზაევი თბილისის „დინამოში" გამოდიოდა). ფეთქებადი „წიკები" ვალერი გიორგის ძეს მწვრთნელობის დროსაც გამოჰყვა. ემოცია და მუხტი ფეხბურთს უცილოდ უნდა სდევდეს თან, მით უმეტეს, მწვრთნელი და უემოციო — იშვიათი ხილია და ძნელად ასატანიც, მაგრამ გაზაევის სიფიცხე და ტემპერამენტი ბარე მსოფლიოს მწვრთნელთა კოჰორტას ეყოფა. ასაკმა მწვრთნელს სიბრძნესთან ერთად სიდინჯე და ცივი გონებაც უნდა მოუტანოს, რასაც ვალერი გიორგის ძეზე ვერავინ იტყვის. იგი, როგორც ადრე, დღესაც ემოციათა ტყვეა, უმეტესწილად გადაწყვეტილებებს ცხელ გულზე იღებს და ყოველივე ეს ხშირად საზიანოც კია მისი გუნდისთვის. მიუხედავად ამისა, ოსეთში უდიდესი ავტორიტეტის გამო გაზაევის კომპეტენციაში არავინ ერევა. მას ყველასთან და ყოველთვის მართალ კაცად თვლიან და, ალბათ, „ალანიაში" მის დიქტატურასაც კარგა ხანს არ დაემუქრება საფრთხე.

### ხაბიზგინა თუ ხაჭაპური

კაცმა რომ თქვას, ერთი მეორეს არ უშლის, ერთიც გემრიელია და მეორეც, მაგრამ თუ მაინც და მაინც არჩევანზეა საქმე, ერთ-ერთი უნდა აირჩიო, სხვა გზა არ არის. ჩვენი ფეხბურთელების საქციელიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ მათ ხაბიზგინა ურჩობთ ხაჭაპურს. სპირტით დატვირთული კოლონებისა არ იყოს, ისინიც უწყვეტ ნაკადად მიედინებიან ძაუჯიკაუს და თუკი „ალანიას" რუსულ ჩემპიონატში რამე უკეთებია, ამაში ქართველებსაც მიუძღვით ლომის წილი.

რუსეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში სამი-ოთხი გუნდი თუ მოიძებნება, ვის სათამაშო სქემასაც ქართველები ერგებიან. „ალანია" ამათშიც გამორჩეულია. გამორჩეულია, როგორც მასში მოთამაშე ქართველთა რიცხვით, ასევე შედარებით მაღალი შედეგით და ამბიციითაც. მაგრამ თუ შედეგზე და ამბიციებზეა ლაპარაკი, რუსული ლიგა უფრო მაღალი დონის გუნდებსაც მიითვლის — ჰოდა, ქართველ ბიჭებს

საწუწუნოდ ის გვაქვს, ეს ქების სიტყვები მალე გადაიზრდება ხოლმე უკმაყოფილო შეფასებებში და „რეინჯერსთან", „ურალანთან", „ლოკომოტივთან", „სპარტაკთან" წარუმატებელი მატჩები უმეტესწილად ქართველებს ბრალდებათ. არადა, ძნელია 2:7-ზე წაგებულ მატჩში მხოლოდ ერთ ან ორ კაცს დასდო ბრალი. ესე იგი, არსებობს გარკვეული კანონზომიერება: ჩვენი ბიჭები „კნიაზებად" ეწვევიან ხოლმე „ალანიას", და უკან „ბრინკას" იარლიყმიწებებულნი გვიბრუნდებიან. ამის მიზეზი განა მარტო ვალერი გიორგის ძის მშფოთვარე ნატურაა. „ამაყ არს ბუნება ქართველთა" და ყოველი მარცხის შემდეგ განტევების ვაცებად ქცეული ქართველი ფეხბურთელები სიტყვას უბრუნებენ ოსური კლუბის მწვრთნელს. სიტყვის შებრუნებას კი, ჰო-ჰოო, როგორ ვერ იტანს ვალერი გაზაევი.

ძალიან ურაპატრიოტული სტატია არ გამოგვივიდეს (და სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირიო, ესეც ხომ არაქართულია), ერთი-ორი სიტყვა იმ ყოფილ ალანიელებსაც წავაშველოთ, გაზაევის მრისხანების მსხვერპლნი რომ შეიქნენ — კანიშჩევმა, გეცკომ, კრამარენკომ, თვით ბახვა თედეევმაც კი მწვრთნელთან კონფლიქტის გამო, დატოვეს გუნდი. ამიტომ სხვა ალანიელებს ისევ ჯაყო ჯივაშვილისგან ნასესხები სიტყვებით გავაფრთხილებთ: — ტსს! გაჩუმდებოდე, თორემა...

### ვით მარგალიტ(ნ)ი ობოლ(ნ)ი

ახლა ისიც ვთქვათ, ჩვენ რა გვსურს და რა გვაწუხებს. თუკი ერთხელაც გადავხედავთ ზემოთ ნახსენებ ქართველ ფეხბურთელთა ნუსხას, დავინახავთ, რომ თითქმის ყველა მათგანი საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი ან პოტენციური წევრია. არც ის არის ხმამაღალი ნათქვამი, რომ სხვებთან ერთად ეს ბიჭებიც განსაზღვრავენ თანამედროვე ქართული ფეხბურთის სახეს და მათი გუნდიდან ასე ერთიმეორის მიყოლებით და ხელაღებით გამოპანღურება, მათ ოსტატობაში ეჭვის შეტანა ქართული ფეხბურთისთვის ყისტის მოდებასა და ქართულ ფეხბურთში ეჭვის შეტანას ნიშნავს.

ამ სიტუაციიდან გამომდინარე, დილემის წინ ვდგებით — ან რევიშვილი, შელია, ცხადაძე, ჯამარაული, ხვადაგიანი, გრიშიკაშვილი, ჩალაძე არიან ერთნაირად ცუდები, ანაც ვალერი გაზაევია უსამართლო (სამართალს რაც შეეხება, მკაცრი კაციც შეიძლება იყოს სამართლიანი). ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია გაზაევის აზრი ამ პრობლემის შესახებ, მაგრამ როცა ქვეყნის შვიდი ფეხბურთელის ერთსა და იმავე მწვრთნელთან კონფლიქტი ერთი და იმავე სცენარით (ამ ფეხბურთელთა საზიანოდ) ვითარდება, უბრალოდ, უფლება არა გვაქვს, ჩუმად ვიყოთ და მოვალენი ვართ ვიკითხოთ, რაშია საქმე. საქმე კი მთლიანად ქართული ფეხბურთის პრესტიჟს ეხება. როცა ხვადაგიანი იძახის, რომ კონტრაქტის ასლები დაუმალეს, როცა ჯამარაული ამბობს, რომ „ალანიაში" ცივად მიიღეს, როცა ჩალაძე ჩივის, რომ მთელი დამსახურება ერთის ხელის დაკვრით წყალში ჩაუყარეს, არ ეგების არ გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია, არ შეიძლება არ ვთქვათ ჩვენი სათქმელი და არავის აზრადაც არ უნდა გავაფაჩუნებინოთ, რომ ჩვენს ბიჭებს, მიუხედავად ყველაფრისა, გულშემატკივარი და პატრონ-მყვარებელი არ გააჩნიათ.

მავანს არ უნდა ვაფიქრებინოთ, ობოლნი არიანო ქართველი „მარგალიტები".

სხვანაირად მართლაც „ღორების ფერხთით მარგალიტთა ყრას" დაემსგავსება ჩვენი ფეხბურთელების მოღვაწეობა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## სატირბოლოფე

### კითხვა – პასუხი

— ***ძლივს არ დაისვენეთ ამ ფეხბურთისგან?***

— აი, ბიჭური. რა დროს დასვენებაა?

— ***აბა?***

— რაღა „აბა". „აბა" არა, „ბონიემი". დღეს საფრანგეთის პირველობა ხურდება.

— ***ვა?***

— „ვა" კი არა, იმ კვირაში პრემიერლიგა ხურდება და ასე შემდეგ. რაღა დავმალო და ჯორჯიან ჩემპიონშიფიც კი გაიხსნა.

— ***ეგ რა არის?***

— აი, თამაშია, ფეხბურთივით.

— ***არ გამიგია.***

— ჯერჯერობით, მხოლოდ ერთ ქვეყანაში თამაშობენ, მაგრამ გავრცელებაც უნდათო.

— ***რასა ჰგავს?***

— ფეხბურთს. ოღონდ მთლად ფეხბურთიც არ არის.

— ***რა ჰქვიათ, რას ამბობ?***

— ჯორჯიან ფუტბოლი.

— ***არ გამიგია.***

— აი, ხომ არის ამერიკენ ფუტბოლი?

— ***არის.***

— ოსთრალიენ ფუტბოლი, აირიშ ფუტბოლი. ასევეა ეგ ჯორჯიან ფუტბოლიც.

— ***მაინც ვერ გავიგე, რაშია ამ თამაშის არსი?***

— არაფერშიც არ არის. ფეხბურთისნაირად ითამაშება, წესებიც იგივე აქვს, მაგრამ მთლად ფეხბურთიც არ არის.

— ***აბა რა არის, პოლო?***

— პოლო კი არა... იგივე ფეხბურთია, ოღონდ გოლის გატანა არ არის სავალდებულო.

— ***აბა?***

— ეგრეა. გატანა არ არის სავალდებულო. გაშვებით კი, რამდენსაც გინდა, გაუშვებ.

— ***კი მაგრამ, თუ ორივე გუნდი ჯორჯიან ფუტბოლს თამაშობს, ერთ-ერთი ხომ გაიტანს?***

— მერე?

— ***მერე ეგ, მაგ ჯორჯიან ფუტბოლის წესების დარღვევა არ გამოდის?***

— ვერაფერი გაგიგია.

— ***თითქოს ფეხბურთი მესმის.***

— ჯორჯიან ფუტბოლის მთავარი წესიც ის არის, რომ სულაც არ არის სავალდებულო, რომ მოპაექრე გუნდებიდან ორივე ჯორჯიან ფუტბოლის წესებით თამაშობდეს. ერთს შეუძლია ნაღდი წესებით შეუბეროს და მოიგოს.

— ***დიდი უაზრო თამაში ყოფილა.***

— არა, რატომ? ვინც ჯორჯიან ფუტბოლის წესებით თამაშობს, მას საერთოდაც არ მიაჩნია თავი დამარცხებულად.

— ***რატომ?***

— იმიტომ, რომ ჯორჯიან ფუტბოლის მთავარი აზრი თამაშის მოგება კი არა, წაგების გამართლებაა. თუ გუნდი კარგად გაიმართლებს თავს, ხალხის გულში მოგებულადაც კი ჩაითვლება.

— ***ვერაფერი გავიგე. შენ არ თქვი, ჯორჯიან ჩემფიონშიფით?***

— ოოო, ეგ ისეთი შეჯიბრია, რომელშიც მხოლოდ ჯორჯიან ფუტბოლის მიმდევრები მონაწილეობენ.

— ***გამარჯვებული როგორ ვლინდება?***

— გამარჯვებული იმთავითვეა ცნობილი. მთავარია, თავი გაიმართლო.

— ***და გაზა?***

— რა შუაშია გაზა?

— ***გაზამ იცის ჯორჯიან ფუტბოლის თამაში?***

— კი. როგორ არა. ხანდახან თამაშობს ხოლმე.

— ***არ მეგონა.***

— ეგ რა არის? ჯორჯიან ფუტბოლი ერთი-ორჯერ ყველას უთამაშია. რონალდოსაც, ბაჯოსაც. ქვეყნად არ არის ფეხბურთელი, ერთხელ მაინც რომ არ ეთამაშოს ჯორჯიან ფუტბოლი.

— ***მერე?***

— მერე, ყველა სიხარულით გააგრძელებდა მის თამაშს, ოფლი არ გამოგივა და საოპერაციო არ შეიქნები...

— ***და რატომ არ თამაშობენ?***

— ჯორჯიან ფუტბოლს რომ თამაშობ, მწვრთნელები და მეპატრონეები ვერ გიგებენ და მოედანზე არ გიშვებენ. ეგეც არ იყოს და ფულსაც აღარავინ გიხდის.

— ***ესე იგი, არ ესმით ამ თამაშის არსი.***

— ამ თამაშის არსი მხოლოდ ჯორჯიან ფუტბოლის გამომგონებლებს ესმით.

ჩემპიონთა თასი. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი
12 აგვისტო. თბილისი. ეროვნული

## დინამო — ატლეტიკი

# ბასკთა სიხარული

გაიგეთ რომელიღაცა კლუბს ლეგიონერებზე უარი რომ უთქვამს? ან ის თუ მოისმინეთ საუკუნოვან იუბილეს ჩემპიონთა თასზე გასვლა რომ დაემთხვა? ალბათ გაიგებდით და თუ ასე არ მოხდა, ეს თქვენს თავს უნდა დააბრალოთ.

მეოცე საუკუნის მიწურულს, ბოსმანის წესის გამო გადატრიალებული უეფას სატრანსფერო სისტემა განვითარების უმაღლეს მწვერვალებს რომ აღწევს, გამოჩენილა კლუბი, უცხოელებზე უარი რომ უთქვამს და წარმატების მიღწევა ოდენ ადგილობრივი მობურთალების ხარჯზე განუზრახავს. განზრახვა ამ იდეით შეპყრობილებს მალე რეალობად უქცევიათ და უკან ისეთი კლუბებიც ჩამოუტოვებიათ, ათასი ჯურის ფეხბურთელებით გადაჭედილნი რომ ყოფილან.

გმირთა გუნდს „ატლეტიკი“ ჰქვია, სწორედ ის „ატლეტიკი“, ახლა საუკუნისა რომ ხდება. ბასკეთში, ესპანეთის ამ უძველეს კუთხეში გულშემატკივრები ხარობენ. განა მარტო იმიტომ, რომ ბილბაოს „ატლეტიკი“ ასი წლის გახდა და ბრწყინვალე იუბილეს ჩემპიონთა თასზე თამაში დაამთხვია, არამედ იმიტომაც, რომ გასულ სეზონში პრიმერა დივიზიონის პრიზიორი, ოღონდ ბილბაოელთაგან განსხვავებით მესამე, სოსიედადის „რეალიც“ გამხდარა.

ახლა ისეთი დროებაა, წარსულში სახელოვანი ბევრი კლუბი ტკბილი მოგონებებითღა ცხოვრობს, მაგრამ არა „ატლეტიკი“. მართალია, ახალ სეზონში ბილბაოელებს წინა ჩემპიონატში მიღწეულის გამეორება გაუჭირდებათ, მაგრამ ცხოვრება იმისაა, ხან გიჭირდეს, ხან გილხინდეს. ისე, „ატლეტიკის“ დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით სიტუაციის ნამეტანი ტრაგედიად გადაქცევა გამართლებული არაა — ლუის ფერნანდესმა, ახლა უკვე პატივცემულმა ბასკმა კარგად იცის თავისი საქმე.



„ატლეტიკის“ ლიდერი იულენ გერერო

— როცა ჩვენ ბილბაოში ვთამაშობთ, ზურგს მთელი ბასკეთი გვიმაგრებს. ჩვენ ვგრძნობთ მათ მხარდაჭერას! — „ატლეტიკის“ პრეზიდენტი ხოსე მარია არატე ბედნიერია. მან იცის, რომ გუნდს, რაც უნდა სუსტი იყოს იგი, ქომაგები არასდროს მიატოვებენ. მით უმეტეს ეს არ მოხდება „ატლეტიკის“ ზეობისას. იყო ბასკთა ქომაგი, ეს სულ სხვა რამაა.

როგორ მოახერხა ტემპერამენტიანმა ლუის ფერნანდესმა ბრწყინვალე კლუბის შექმნა? მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არაა აუცილებელი ბევრი ფული გქონდეს, ძლიერი გუნდი რომ შექმნა. არაა აუცილებელი გუნდში გყავდეს ბევრი ვარსკვლავი. წარმატებისთვის სავსებით საკმარისია ბრძოლის ჟინით ანთებული ფეხბურთელები და მათთვის სწორად დასახული მიზანი. ესაა და ეს.

რობერტო რიოსი, რაფაელ ალკორტა, ხოსე მარი, აიტორ ალკისა, ხოსება ეჩებერია და რაღა თქმა უნდა, იულენ გეგერო — ეს ის ბასკი ბიჭები არიან, გასრულებული სეზონი საკუთარ მხრებზე რომ გადაიტანეს. სწორედ ისინი და კიდევ სხვა ბილბაოელი ფეხბურთელები არიან შემქმნელები იმ ბრწყინვალე გამარჯვებისა, გაზაფხულზე რომ ვნახეთ.

წინ ახალი სეზონია. „ატლეტიკს“ კიდევ ბევრი რამის დამტკიცება მოუწევს.

**ბრემ ტერნერი**
**„უორლდ სოკერი“**

# ბილბაოს ატლეტიკი 97-98



ლუის ფერნანდესი



ხუან ხოსე ვალენსია დე ლა სერნა



ინიგო ლარაინსარ სანტამარია



რაფაელ ალკორტა მარტინესი



იოტორ ლარასაბალ ბილბაო



ოსკარ ტაბუენკა ბერხესი



ხოსე მარი გარსია ლაპუენტე



ბიტორ ალკისა ფერნანდესი



ჩომინ ნაგორე არბისუ



კარლოს გარსია გარსია



რობერტო რიოს პატუსი



პაჩი ფერეირა კოლმინერო



ხოსე ანხელ სიგანდა ლაკუნსა



იულენ გერერო ლოპესი



ისმაელ ურსაის არანდა



ხუან ანდონი გოიკოეჩეა ლასა



ხოსე ურუტია ტელერია



აიტორ პეგენო



ხოსება ეჩებერია ლისარდი



იმანოლ ეჩებერია ეგანია



ხავი გონსალეს გომესი

# პარიზელი ტორმადორი ბილბაოში

ლუის ფერნანდესსა და ბილბაოს „ატლეტიკს“ ერთმანეთი ნამდვილად შეუყვარდათ. წარმოშობით ესპანელმა ახალგაზრდა ფრანგმა მწვრთნელმა ორ წელიწადში თითქმის ყველა ბასკის გული მოიგო. ამიტომაც მისი საფეხბურთო კარიერა თამამად შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ.

**ატლეტიკამდე:**

„ატლეტიკში“ მისვლამდე ლუის ფერნანდესს, როგორც ფეხბურთელსა და მწვრთნელს, უამრავი ტიტული ჰქონდა მოხვეჭილი. ფეხბურთელობისას მისი ყველაზე საყვარელი კლუბი „პარი სენ ჟერმენი“ იყო და სწორედ იქ მოიპოვა აღიარება 80-იან წლების დასაწყისში, ხოლო 1986 წელს საფრანგეთის ჩემპიონის ოქროს მედალიც. მაგრამ ჩვენს მკითხველს გაცილებით უკეთ ემახსოვრება ფერნანდესის მიერ ნაკრებში ჩატარებული უმშვენიერესი მატჩები. იგი მიშელ პლატინისთან, ალენ ჟირესსთან და ჟან ტიგანასთან ერთად, ქმნიდა „ჯადოსნურ კვადრატს“ (როგორც ფრანგები ამბობენ). სწორედ ამ ოთხეულის უდიდესი დამსახურებაა 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვება და 1986 წლის მსოფლიოს პირველობაზე მოგებული ბრინჯაოს მედლები (თუმცა მაშინ ფრანგები, ალბათ, მეტსაც იმსახურებდნენ). სულ ლუის ფერნანდესმა საფრანგეთის ნაკრებში 60 მატჩი ითამაშა და 6 გოლი გაიტანა. მისი, როგორც მოთამაშის, კარიერა 1992 წელს ულიმღამოდ ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დასრულდა.

იმავე წლის დეკემბერში, ფერნანდესი სათავეში ჩაუდგა „კანს“, რომელიც მე-2 დივიზიონის A ქვეჯგუფში მე-5 ადგილზე იმყოფებოდა. გუნდმა მისი ხელმძღვანელობით მაშინვე შეძლო პირველ დივიზიონში აღზევება, მომდევნო წელს კი მე-6 ადგილის დაკავება და უეფას თასის საგზურის მოპოვება. ამის შემყურე პსჟ-ს პრეზიდენტმა მოინდომა და შეძლო კიდეც გუნდის ძველი მოთამაშის პარიზში ახალ ამპლუაში დაბრუნება. შედეგი? 1994-95 წლების სეზონში პარიზელები საფრანგეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებთან ერთად, ქვეყნისა და ლიგის თასებს ეუფლებიან, ჩემპიონთა თასზე კი ნახევარფინალს აღწევენ. შემდეგ წელს ვერცხლის მედლებს ევროპის თასების მფლობელთა თასსაც უმატებენ, რომელიც კლუბის ისტორიაში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ევროპული ჯილდოა. სწორედ აქ მთავრდება ფერნანდესის კარიერის პირველი ეტაპი და იწყება მეორე:

**ატლეტიკური ეპოპეა ანუ ბასკეთის მეფე დონ ლუისი**

1996 წელს ფერნანდესმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ბასკთა უმთავრეს კლუბთან და ბილბაოში (და არა მარტო იქ) დაიწყო ეგრეთ წოდებული „ლუისმანია“. აქამდე არავის ახსოვს, ბასკებს ასე შეეყვარებინოთ უცხოელი. საქმე იქამდე მივიდა, რომ თუ ფერნანდესი ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას გადაწყვეტს, სრულიად დაუბრკოლებლად გაიმარჯვებს. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ როცა „ატლეტიკმა“ ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩში შინ „სარაგოსა“ დაამარცხა და მე-2 ადგილი დაისაკუთრა, მთელი სტადიონი ერთხმად გაჰყვიროდა ფერნანდესის სახელს, რაც უიშვიათესი მოვლენაა ფეხბურთის ისტორიაში. არადა, ლუისი ამას ნამდვილად იმსახურებს: ესპანეთის ლიგაში მოთამაშე კლუბების უმეტესობა მილიონებს ხარჯავს ესპანელი და უცხოელი ვარსკვლავების შესაძენად, ფერნანდესმა კი შეძლო საშუალო დონის ბასკი ფეხბურთელებისგან მეტად ბრძოლისუნარიანი და ევროპული მასშტაბის საუცხოო გუნდის შექმნა, გუნდისა, რომელმაც არაერთი ესპანური და ევროპული გრანდი გაამწარა. თუმცა, დასაწყისში ესპანური პრესა კლუბს მეტად უდიერად იხსენიებდა, რასაც ფერნანდესი იუმორით პასუხობდა. მაგალითად, მადრიდის „ატლეტიკოს“ ბილბაოში სტუმრობა დედაქალაქის გაზეთებმა გრიგალის მოახლოებას შეადარეს, რის შემდეგაც ბილბაოს ფრანგმა თავკაცმა ქალაქის მოსახლეობას უსაფრთხოების მიზნით, დარაბების საგულდაგულოდ ჩარაზვა სთხოვა. გრიგალი მართლაც დატრიალდა, ოღონდ მოედანზე ბასკების მიერ, თუმცა მათ მხოლოდ და მხოლოდ 1:0 გაიმარჯვეს. ესეც მათი ფორვარდების უილბლობას უნდა დავაბრალოთ, იმდენი საგოლე მომენტი გააცუდეს.

შედეგმა არც აქ დააყოვნა და შარშანდელი მე-6 ადგილისა და უეფას თასის საგზურის შემდეგ „ატლეტიკმა“ ვერცხლის მედლები და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. რაც ყველაზე სასიხარულოა ფეხბურთის ბასკი მოყვარულებისთვის, მათი გუნდი საკმაოდ ლამაზ, შემტევ და შედეგიან ფეხბურთს თამაშობს.

წლევანდელი სეზონი, ალბათ, ბოლო იქნება ლუის ფერნანდესისთვის ბილბაოში, თუ, რა თქმა უნდა, გუნდი რაიმე დიდ გამარჯვებას არ იზეიმებს (ესპანეთის ჩემპიონობა ან თასი, ჩემპიონთა ლიგა) და მისი ხელმძღვანელობაც ფრანგ მწვრთნელს კონტრაქტს არ გაუგრძელებს, როგორც ეს შარშან მოხდა. მაგრამ ერთი რამ უკვე ცხადია — ლუის ფერნანდესის სახელსა და ამაგს არასოდეს დაივიწყებენ ბილბაოში: „ჩვენ მუდამ გვეყვარები, შენი წასვლის შემდეგაც კი!“ — განუცხადეს თავიანთ კერპს ბასკმა ფანებმა. ამის შემდეგ დაიწყება მესამე ეტაპი საფრანგეთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელისა და მწვრთნელის კარიერაში.

**ატლეტიკის შემდგომ:**

ამ ეტაპზე ჯერჯერობით ერთადერთი რამ შეიძლება ითქვას: „მსურს დავბრუნდე პარიზში და დედაქალაქში მეორე ძლიერი კლუბი შევქმნა, კლუბი, რომელიც „სტად დე ფრანსზე“ ჩაატარებს შეხვედრებს და მალე დაიმკვიდრებს ადგილს ევროპულ გრანდებს შორის“ — გამოტყდა ერთ-ერთ ინტერვიუში დონ ლუისი. ეს არცთუ იოლი საქმეა, ხოლო რაც შეეხება კლუბის ვინაობას, ეს, ალბათ, ამ სეზონში საფრანგეთის მე-2 დივიზიონში მოასპარეზე „რედ სტარი“ იქნება. ყველაფერს დრო გაარკვევს...

**გაიოზ თალაქვაძე**

თასების თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი
7 აგვისტო. ბელგრადი. პარტიზანი.

## პარტიზანი — ბათუმი

# შავ-თეთრი პარტიზანები

ბელგრადის „პარტიზანი“ იუგოსლავიის 15-გზის ჩემპიონი და 8-გზის თასის მფლობელია. ასეთი გუნდების წარსულზე წიგნები იწერება. რაც მთავარი და გასახსენებელი იყო, უკვე ვთქვით და გავიხსენეთ. ახლა ახალი ამბები ვთქვათ, ამ ზაფხულისა.

მორჩა თუ არა, შარშანდელი სეზონი „პარტიზანი“ ერთბაშად ხუთ წამყვან ფეხბურთელს შეელია.

ამჟამად უეფაში წარდგენილ განაცხადში “პარტიზანს“ 24 ფეხბურთელი ჰყავს, ამათ გარდა კი გუნდში კიდევ ოთხი მოთამაშე ირიცხება. ეს, ცხადია, დიდი კონკურენციის მიზეზია.

მიუხედავად იმისა, რომ „პარტიზანი“ იუგოსლავიის თასის მფლობელი და ბრინჯაოს პრიზიორია, „ბათუმი“ უშანსოდ ნამდვილად არაა. გადახალისების პროცესი იუგთათვის უპრობლემოდ მიდისო, ვერავინ იტყვის. „პარტიზანის“ მიერ დიდი ანგარიშით მოგებული მატჩები მაინცდამაინც სათვალავში ჩასაგდები არ უნდა იყოს, რადგან უსუსტესი მეტოქენი ჰყავდა. თუმცა, არც მაკედონური ფეხბურთის ლიდერებთან შეურცხვენია თავი.

ბელგრადელებმა დიდი დანაკარგის შესავსებად ბევრი ახალი მოთამაშეც შეიძინეს. როგორ შეეწყვნენ ისინი ახალ გუნდს ამასაც ვნახავთ. „პარტიზანის“ თავკაც ლიუბიშა ტუმბაკოვიჩს კი სწორედ ახალგაზრდების იმედი აქვს, საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებიანო.

იუგები თვლიან, რომ მათი საუკეთესო შენაძენი იუგოსლავიის ახალგაზრდული ნაკრების 19 წლის შემტევი ნახევარმცველი მატეია კეზმანია. „პარტიზანში“ იგი „სარტიდიდან“ მივიდა. კეზმანს შარშან დიდებული სეზონი ჰქონდა, მისმა 10-მა გოლმა და 20-მა საგოლე პასმა „სარტიდს“ აქამდე არნახული, იუგოსლავიის პირველი ლიგის საგზური მოუპოვა.



„ცრვენა ზვეზდას“ სტადიონი „მარაკანა“ აქედან ერთ კილომეტრშია

პარტიზანმა ივნისში ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა 26 წლის მცველ ვუკ რასოვიჩს. ეს ფეხბურთელი შარშან ბულგარულ სოფიის „სლავიაში“ თამაშობდა და 30 მატჩში ორი გოლიც გაიტანა.

თუ ლიუბიშა ტუმბაკოვიჩმა ინება, და ეს ალბათ ასეც იქნება, ბათუმში მეორედ ითამაშებს 24 წლის მაკედონელი ნახევარმცველი მარიან გერასიმოვსკი. ამ ფეხბურთთელმა, რომელიც სკოპიეს „ვარდარის“ ლიდერი იყო, ლომის წილი დაიდო უეფას თასიდან სამტრედიელთა გაძევებაში.

„პორტუში“ გადასული იუგთა ნაკრების მეკარის ივიცა კრალის შემცვლელად „პარტიზანმა“ ჰოლანდიური „როდას“ კარის დარაჯი ნიკოლა დამიანაკი იყიდა.

ივნისის ბოლოს იუგები სამესამედლოდ სავსე მშობლიურ სტადიონზე მაკედონური კრატოვოს „სილეკსს“ გაეჯიბრნენ და გორან ობრადოვიჩის ადრეული გოლისა თუ ვუკ რასოვიჩის მიერ გატანილი პენალტის წყალობით 2:0 მოუგეს.

ჩვენებურთა მეტოქემ ივლისიც ინტენსიურ მზადებაში გალია. ჯერ მაკედონური „სლოგა იუგომაგნატიც“ 2:0 დაამარცხა, მერე კი ავსტრიაში გაიარა შეკრება და ამჯერად იქაურ გუნდებს გაავლო მუსრი. „ვიენა“ 2:0 დაამარცხა, დაბალლიგელებს კი 7:0 და 4:2 მოუგო. მხოლოდ ჩვენებური „მერანის“ მიერ შარშან ინტერტოტოზე 3:2 მლეულ „რიდს“ დაუზავდა უგოლოდ.

5-6 აგვისტოს „პარტიზანის“ ძირითად და სათადარიგო შემადგენლობას მორიგი საკონტროლო მატჩები ჰქონდა. სამარქაფოებმა 1:2 წააგეს „სრემთან“, ძირითადებმა კი 9:0 გაანადგურეს ზემუნის გუნდი „ზმაი“.

„ბათუმის“ მეტოქემ ბოლო მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დამიანაკი, საბო, სავიჩი, გერასიმოვსკი, ტრობოკი, დულიაი, ილიჩი, ობრადოვიჩი, სტოისავლიევიჩი, ვუკოვიჩი, კეზმანი. მეორე ტაიმში სტოიანოსკი, სვეტლიჩიჩი, პაზინი, ილიევი, არნაუტი და რანკოვიჩი შევიდნენ შეცვლებზე. გოლები კი, სამ-სამი ტრობოკმა და კეზმანმა, ორი ილიჩმა, თითოც სტოიანოსკიმ, ობრადოვიჩმა და ვინმე ზემუნელმა (საკუთარ კარში) გაიტანეს.

„პარტიზანის“ ახალი კაპიტანი, საშა ტომიჩის იტალიურ „რომაში“ გადასვლის შემდეგ, საშა ილიჩი გახდა.

ბელგრადელებს ახალი სპონსორიცა ჰყავთ, მათ გულზე ფრანგულ ავტოგიგანტ „პეჟოს“ სახელის ამოჭრა მოუწევთ.

„პარტიზანმა“ ახალი ჩემპიონატის გახურებამდე სათასო მატჩების გამართვა მოასწრო. პირველ რაუნდში „პარტიზანის“ მეტოქე სელარევას ცსკ გახლდათ, რომელიც იუგოსლავიის უპერსპექტიულეს გუნდად ითვლება. ცსკ-მ შინ 1:0 მოუგო „პარტიზანს“, სტუმრად კი 1:3-ს აგებდა და მხოლოდ ბოლო წუთზე ვერგატანილი პენალტის გამო გადაურჩნენ ბელგრადელები სენსაციის მსხვერპლად გახდომას.

იუგოსლავიის ჩემპიონატის პირველ ტურში, რომელიც დღეს გაიმართება, „პარტიზანი“ ნისას „რადნიჩკის“ მასპინძლობს. ეს მატჩი ჩვენი დროით 22 საათზე დაიწყება.

**ვახტანგ ბზიკაძე**



„ცრვენა ზვეზდას“ სტადიონი „მარაკანა“ აქედან ერთ კილომეტრშია

## ცრვენა ზვეზდა ერთხელაც გავახაროთ!

ბელგრადიდან გამოგზავრებულ ქართველებს ფიქრებს და სადარდებელს რა დაგვილევდა. „კოლხეთმა“ ქართული გუნდების ანტირეკორდი დაამყარა 0:11 ორი მატჩის ჯამში და 0:7 ერთში ნამდვილად კატასტროფაა, რომლის შესახებ გუნდის ხელმძღვანელობას სერიოზული საუბარი ჰქონდათ კვლავაც ექნებათ. მიზეზებიც გამოჩნდება, თუმცა ურემი უკვე გადაბრუნებულია და უპრიანი იქნებოდა, ეს ვისაც ჯერ არს, მანამ მიეგნო და სწორ გზაზე დამდგარიყო.

მე კი ბელგრადული შთაბეჭდილება დღემდე არ მასვენებს. წარმოიდგინეთ, რომ „ცრვენა ზვეზდასა“ და „პარტიზანის“ გულშემატკივრების გასახარად მათი სტადიონები ოდენ კილომეტრის დაშორებითაა და ორთავენი მოუთმენლად ელიან მეტოქესთან შეხვედრას, რათა უგონოდ მთვრალებმა შეძლონ მეტოქის თეთრ-წითელი („ცრვენა ზვეზდას“) თუ შავ-თეთრი („პარტიზანის“) ფერების შეურაცხყოფა.

„ცრვენა ზვეზდასა“ და „კოლხეთის“ მატჩის შედეგმა თუკი ვინმეს გული ატკინა, ეს ჩვენთან ერთად მოედანზე ჩუმად მოსული შავ-თეთრი ფანები გახლდნენ, მათთვის ეს დიდი და საშინელი ტრაგედია იყო, რომლის გამრთელებას შავ-თეთრები 13 აგვისტოს მოინდომებენ, რადგან მათთვის უსაზიზღრესი მეტოქის წარმატებას წარმატებითვე უნდა უპასუხონ, მაგრამ ბათუმელებს სერბთა გუნდების წინააღმდეგ თამაში კარგად აქვთ დაცდილი („ობილიჩთან“ — 1:0, 2:2).

მიუხედავად „ობილიჩის“ ჩემპიონობისა, ბელგრადში მაინც ორი დიდი გუნდია, რომლებიც ერთმანეთს არ ცნობენ. არ უნდათ იმის გაგონება, რომ ჯაიჩი დიდია, ან დიდია ზლატკო ჩაიკოვსკი, მათ სხვანაირად სურთ, რომ დაიქუხონ. ჩვენ „შევძელით“ თერთ-წითელთათვის დიდი სიხარულის მინიჭება, მოდით, საქართველოს თასის ტრიუმფატორებო, ბოლომდე გავახაროთ ცრვენა ზვეზდას“ გამომთვრალი ფანობა.

**ბიძინა დარჩია**

## პარტიზანი
### ბელგრადი. იუგოსლავია

| | | |
|---|---|---|
| 1 | ნიკოლა დამიანაკი | მეკარე |
| 2 | ვუკ რასოვიჩი | მცველი |
| 3 | ბრანკო სავიჩი | მარცხენა მცველი |
| 4 | იგორ დულიაი | შემტევი ნახევარმცველი |
| 5 | ზოლტან საბო | ცენტრალური მცველი |
| 6 | მარიან გერასიმოვსკი | ცენტრალური ნახევარმცველი |
| 7 | დარკო ტესოვიჩი | ნახევარმცველი |
| 8 | გორან ტრობოკი | თავდამსხმელი |
| 9 | მილან სტოიანოსკი | ცენტრალური თავდამსხმელი |
| 10 | ნენად ბიეკოვიჩი | ? |
| 11 | დრაგან სტოისავლიევიჩი | მარჯვენა თავდამსხმელი |
| 12 | დარკო ლიუბანოვიჩი | მეკარე |
| 13 | დიორდიე სვეტლიჩიჩი | მარჯვენა მცველი |
| 14 | მატეია კეზმანი | შემტევი ნახევარმცველი |
| 16 | გორან ობრადოვიჩი | ცენტრალური თავდამსხმელი |
| 17 | ივიცა ილიევი | თავდამსხმელი |
| 18 | ვლადიმირ ივიჩი | ? |
| 19 | გორან არნაუტი | მარჯვენა მცველი |
| 20 | მლადენ კრსტაიჩი | მარცხენა მცველი |
| 21 | დრაგან სალიია | უნივერსალური მცველი |
| 22 | საშა ილიჩი | მარჯვენა ნახევარმცველი |
| 23 | ლიუბიშა რანკოვიჩი | მარცხენა ნახევარმცველი |
| 24 | პრედრაგ პაზინი | ნახევარმცველი |
| 25 | დრაგოლუბ იერემიჩი | საყრდენი ნახევარმცველი |

## პარტიზანის შედეგები იუგოსლავიის შარშანდელ ჩემპიონატში

I ტური
? ათასი
**პარტიზანი 6:0 ბუდუჩნოსტი**
1:0 ობრადოვიჩი (13), 2:0 ვუკიჩევიჩი (32), 3:0 ისაილოვიჩი (44), 4:0 ბოლიჩი (47), 5:0 დიუროვიჩი (88ს.კ.), 6:0 ისაილოვიჩი (89)

II ტური
7 ათასი
**პარტიზანი 1:0 ჩუკარიჩკი**
1:0 ბოლიჩი (36)

III ტური
7 ათასი
**ვოევოდინა 2:3 პარტიზანი**
1:0 ვასიჩი (2), 1:1 ობრადოვიჩი (62), 1:2 ილიჩი (65), 1:3 ისაილოვიჩი (86), 2:3 მილოშევსკი (88)

IV ტური
? ათასი
**პარტიზანი 4:1 პროლეტერი**

V ტური
5 ათასი
**ჟელეზნიკი 1:1 პარტიზანი**
1:0 მარკოვიჩი (31), 1:1 ბოლიჩი (42)

VI ტური
4 ათასი
**პარტიზანი 10:3 ზემუნი**
1:0 ი. ტომიჩი (8), 2:0 ობრადოვიჩი (32), 3:0 ტრობოკი (36), 4:0 ობრადოვიჩი (41), 4:1 ზ. ტომიჩი (43), 5:1 ილიჩი (46), 5:2 სარიჩი (51), 6:2, 7:2 ?. ტომიჩი (53, 57), 8:2 რანკოვიჩი (62), 9:2 ჩირიჩი (73), 10:2 ობრადოვიჩი (83), 10:3 სტოლიცა (83)

VII ტური
50 ათასი
**პარტიზანი 0:2 ცრვენა ზვეზდა**
0:1, 0:2 ოგნიენოვიჩი (43, 81)

VIII ტური
3 ათასი
**პარტიზანი 2:0 მლადოსტი**
1:0 ობრადოვიჩი (9), 2:0 ი. ტომიჩი (64)

IX ტური
1,5 ათასი
**რადი 1:1 პარტიზანი**
0:1 პაზინი (37პ), 1:1 ნიკოლიჩი (39)

X ტური
1,5 ათასი
**პარტიზანი 4:1 ჰაიდუკი**
1:0 ტრენევსკი (11), 2:0 პაზინი (25პ), 3:0 ი. ტომიჩი (43), 3:1 კულიჩი (59), 4:1 ბოლიჩი (82)

XI ტური
? ათასი
**ობილიჩი 1:2 პარტიზანი**
0:1 ტრენევსკი (37), 1:1 რანკოვიჩი (38), 1:2 ბოლიჩი (79)

XII ტური
4 ათასი
**ბუდუჩნოსტი 1:1 პარტიზანი**
0:1 სვეტლიჩიჩი (20), 1:1 კოსტიჩი (69)

XIII ტური
1 ათასი
**ჩუკარიჩკი 1:2 პარტიზანი**
1:0 ბუდიმიროვიჩი (15), 1:1 ისალიოვიჩი (64), 1:2 ტრენევსკი (66)

XIV ტური
4 ათასი
**პარტიზანი 5:6 ვოევოდინა**
0:1 სტოიაკი (19), 1:1 ისაილოვიჩი (21), 1:2 სორგიჩი (35), 1:3 სტოიაკი (45), 2:3 ისაილოვიჩი (48), 2:4 ლერინჩიჩი (74), 2:5 ვულევიჩი (76), 3:5 კრსტაიჩი (79), 4:5 ბოლიჩი (81), 4:6 სტოიაკი (88), 5:6 ვუკიჩევიჩი (90)

XV ტური
2 ათასი
**პროლეტერი 1:2 პარტიზანი**
0:1 კრსტაიჩი (3), 0:2 სვეტლიჩიჩი (75), 1:2 ნედელიკოვიჩი (89)

XVI ტური
2 ათასი
**პარტიზანი 3:0 ჟელეზნიკი**
1:0, 2:0 კრსტაიჩი (8, 30), 3:0 ვუკიჩევიჩი (83)

XVII ტური
2 ათასი
**ზემუნი 1:2 პარტიზანი**
0:1, 0:2 ისაილოვიჩი (38, 43), 1:2 პოპოვიჩი (45)

XIX ტური
3,5 ათასი
**მლადოსტი 0:2 პარტიზანი**
0:1 ტრენევსკი (24), 0:2 ისაილოვიჩი (41)

XXII ტური
? ათასი
**პარტიზანი 1:2 ობილიჩი**

XXIII ტური
0,4 ათასი
**პარტიზანი 1:2 ჟელეზნიკი**
1:0, 2:0 სტოისავლევიჩი (53, 83), 3:0 ილიჩი (86), 4:0 ჯორჯევიჩი (90)

XXIV ტური
4,5 ათასი
**პროლეტერი 0:1 პარტიზანი**
0:1 ი. ტომიჩი (29)

XXV ტური
? ათასი
**პარტიზანი 0:1 ობილიჩი**

XXVI ტური
20 ათასი
**ცრვენა ზვეზდა 4:0 პარტიზანი**
1:0 სტანკოვიჩი (10), 2:0 ოგნიენოვიჩი (19), 3:0 სტანკოვიჩი (53), 4:0 გოიკოვიჩი (76)

XXVII ტური
0,3 ათასი
**პარტიზანი 4:0 ბუდუჩნოსტი**
1:0 ობრადოვიჩი, 2:0 ტესოვიჩი (19), 3:0 ბოლიჩი (33), 4:0 ობრადოვიჩი (38)

XXVIII ტური
0,3 ათასი
**პარტიზანი 4:0 ვოევოდინა**
1:0 ისაილოვიჩი (57), 1:1 მუდრინიჩი (67), 2:1 ტრობოკი (87)

XXIX ტური
0,2 ათასი
**ზემუნი 2:3 პარტიზანი**
1:0 მატანოვიჩი (14პ), 1:1 პაზინი (50პ), 1:2 ტესოვიჩი (68), 1:3 ობრადოვიჩი (85), 2:3 რადულოვიჩი (89)

XXX ტური
? ათასი
**პარტიზანი 1:0 რადი**
1:0 ობრადოვიჩი (88)

XXXI ტური
1 ათასი
**ჩუკარიჩკი 0:1 პარტიზანი**

XXXII ტური
0,5 ათასი
**პარტიზანი 1:1 ჰაიდუკი**
1:0 სტოიანოვსკი (31), 1:1 დიედოვიჩი (64)

XXXIII ტური
0,2 ათასი
**მლადოსტი 2:0 პარტიზანი**
1:0 მარკოვიჩი (65პ), 2:0 გოკანინი (82)

# შთანაზროშა ინგლისურ ლიგებს შორის

ამ დღეებში ერთ-ერთმა ბრიტანულმა საინფორმაციო სააგენტომ ფრიად საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა. როგორც აღმოჩნდა, დღესდღეობით ინგლისის ეროვნული ლიგების ფინანსური მდგომარეობა მეტად არათანაბარია, რაც ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებაზე საკმაოდ უარყოფითად მოქმედებს.

როგორც მოგეხსენებათ, ბოლო ხანებში ალბიონზე უამრავმა უცხოელმა ვარსკვლავმა მოიყარა თავი, რომლებსაც მართლაც ზღაპრული კონტრაქტები აქვთ გაფორმებული პრემიერლიგის მოწინავე კლუბებთან. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ინგლისში მათი მოდინება კვლავაც გაგრძელდება. ეს, ერთი მხრივ, ბრიტანელებს ხელს უნდა აძლევდეთ — მათი გუნდები ხომ ევროპის სარბიელზე სულ უფრო ომახიან წარმატებებზე აცხადებენ პრეტენზიას და შესაბამისად, კარგი ასპარეზობების შედეგად ბიუჯეტში საკმაოდ სოლიდური თანხებიც ერიცხებათ.

მეორე მხრივ კი პრემიერლიგის ბინადართა ასეთი დაწინაურება კარგს არაფერს უქადის ქვედა ლიგაში მოთამაშე გუნდებს.

— ინგლისის პრემიერლიგა სადღეისოდ მსოფლიოში უმდიდრესია. როგორც გამოკვლევამ აჩვენა, ჯერ კიდევ 1996-97 წლების სეზონში ამ ლიგაში შემავალმა კლუბებმა სატრანსფერო გარიგებებზე 100 მილიონი გირვანქა (163 მილიონი დოლარი) დახარჯეს. ასეთი გიგანტის ზეგავლენა კი ქვედა ლიგებს საოცრად აზარალებს. შედარებისთვის გეტყვით, რომ იმავე პერიოდში ქვედა ლიგების ბინადრების მიერ განხორციელებული გარიგებების საერთო თანხა ოდენ 14,5 მილიონ გირვანქას (23, 68 მილიონი დოლარი) შეადგენდა — განაცხადა გამოკვლევის მომწყობი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გარი ბუნმა.

ინგლისელები ერთობ წუხან იმაზე, რომ მათი კლუბების უმეტესობა (პრემიერლიგის წევრთა გარდა) ფინანსური თვალსაზრისით ძალიან იჩაგრება. იმავე ბუნის თქმით, რამდენიმე წლის წინ სულ სხვაგვარი ვითარება იყო. ფეხბურთის ფედერაცია ფეხბურთელების გაყიდვით შესული თანხის კუთვნილ წილს გაჭირვებულ კლუბებს უნაწილებდა და ამ უკანასკნელთ გაკოტრებისგან იცავდა. დღეს კი მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა, რის შედეგადაც ქვედა ლიგებს უაღრესად მძიმე დღე უდგათ.

თუ თვალს გადავავლებთ 1996-97 წლების სეზონს, აღმოჩნდება, რომ საშუალოდ პრემიერლიგის თითოეული კლუბის წლიური შემოსავალი 23,2 მილიონი გირვანქის (37,88 მილიონი დოლარი) ტოლი იყო. იტალიის სერია A-ს გუნდებისთვის ეს მაჩვენებელი 11,6 მილიონ გირვანქას უდრიდა. ესპანეთის პრიმერა დივიზიონის გუნდთათვის 11,6 მილიონს, ხოლო საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდები წელიწადში საშუალოდ 10,5 მილიონ გირვანქას იჯიბავდნენ.

აქედან მოყოლებული ინგლისური ფეხბურთის ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო გამყარდა. ეს ბრიტანელებმა ძირითადად კომერციულ სატელევიზიო არხებთან და სხვა მომგებიან დაწესებულებებთან ხელსაყრელი კონტრაქტების გაფორმების ხარჯზე მოახერხეს. ინგლისის ყველა საფეხბურთო ლიგაში მოასპარეზე კლუბების საერთო შემოსავალი 1996-97 წლებთან შედარებით 31 პროცენტით გაიზარდა და 675 მილიონი გირვანქა (1,10 მილიარდი დოლარი) შეადგინა. რაოდენ საგულისხმოა, რომ ამ უზარმაზარი თანხიდან 70 პროცენტი პრემიერლიგის წევრ გუნდებზე მოდის.

ბოლო ერთი წლის მანძილზე პრემიერლიგის ოცმა გუნდმა სხვადასხვა გადასახადებსა და სატრანსფერო გარიგებებში დაახლოებით 4 მილიონი გირვანქის ოდენობის ზარალი ნახა. ეს თანხა სასაცილოდ მოგვეჩვენება, თუ ინგლისში არსებული დანარჩენი 72 გუნდის საერთო ზარალს გავეცნობით, რომელიც 38 მილიონი გირვანქის ტოლია.

ინგლისის ქვედა ლიგების შესაბრალის მდგომარეობაზე ყველაზე უკეთ აქ მოთამაშე გუნდების წლიური შემოსავალი მეტყველებს. მაშინ, როცა პრემიერლიგის კლუბები წელიწადში საშუალოდ 23,2 მილიონ გირვანქას იღებენ. ქვედალიგელები ოდენ 5,4 მილიონ გირვანქას (8,82 მილიონი დოლარი) ყაბულდებიან.

**ირაკლი ხმელიძე**

# ვენგერს ოცნების ქვეყანაში ელიან



არსენ ვენგერი

არსენ ვენგერი, ცნობილი ფრანგი მწვრთნელი, რომელმაც გასულ სეზონში ლონდონის „არსნალს" ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა, იაპონიის ფეხბურთის ფედერაციას თავისი ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელად სდომებია.

იაპონელთა ფედერაციის ტექნიკური კომიტეტის ახალი შეფი კუნია დანი ვენგერთან სალაპარაკოდ საგანგებოდ ჩაფრინდა ინგლისს.

იაპონური გაზეთი „ნიკან სპორტი" გვახსენებს, რომ ვენგერი 1995-96 წლებში ამომავალი მზის ქვეყანაში უკვე მუშაობდა, ოღონდ იგი კლუბს „ნაგოია გრამპუს ეითს" ედგა სათავეში. მის ხელში „გრამპუს ეითი" მოწინავე გუნდად იქცა და 1996 წელს „იმპერატორის თასიც" მოიპოვა. ეს კლუბის ისტორიაში პირველი ჯილდო გახლდათ.

1996 წლის ოქტომბერში ფრანგმა იაპონიიდან ინგლისს გადაინაცვლა და „არსენალს" გაუძღვა. ვენგერის „არსენალმა", ზემოხსენებული ჩემპიონის ტიტულის გარდა, ფეხბურთის ასოციაციის თასიც მოიპოვა.

როგორც ირკვევა, 48 წლის ვენგერს თავადაც სურს უკიდურეს აღმოსავლეთში დაბრუნება.

— იაპონიამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ბევრი მაქვს მოსაგონარი და სიმართლე რომ გითხრათ, მუდამ იმ დღეზე ვფიქრობ, როდესაც ამ ქვეყანში დავბრუნდები და გულიანად ვიმუშავებ. თუ იაპონელებს მართლა სურთ, რომ მათ ნაკრებს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ვუხელმძღვანელო, მოხარული დავრჩები, რადგან ჩემთვის ეს უდიდესი პატივი იქნება — განაცხადა გამოცდილმა სპეციალისტმა.

იაპონიამ, მოგეხსენებათ, საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე სამივე შეხვედრაში მარცხი იწვნია და ბუნებრივია, რომ 2002 წელს, შინ, უკეთესი შედეგის მიღწევა სურს. 2002 წლის ჩემპიონატის თანამასპინძელმა კორეამაც პირველ ეტაპის მერე დატოვა მსოფლიოს პირველობა.

როგორც ცნობილი გახდა, იაპონიის ფეხბურთის ფედერაციამ ახალ მწვრთნელთან ოთხწლიანი კონტრაქტის დადება სურს. ამ ოთხი წლის განმავლობაში გუნდს ორი დიდი შეჯიბრება ელის, 2002 წლის აზიის თამაშები და 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი.

ვენგერს, კონტრაქტის თანახმად, „არსნალში" იდევ ერთი წლიწადი აქვს გასატარებელი და ამოცანაც ერთობ საინტერესო უდგას — ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება.

# კვლავ სუპერლიგა

**სუპერლიგის** შექმნაზე კვლავ გაცხარებით დავობენ. ამ იდეას მთელ მსოფლიოში გამოუჩნდნენ როგორც მხარდამჭერები, ასევე მოწინააღმდეგენი. ზოგნი ამბობენ, რომ ეს წამოწყება სასიკეთოდ იმოქმედებს საერთოდ ფეხბურთის განვითარებაზე, უმეტესობა კი ირწმუნება — სუპერლიგის დაარსება სპორტის ამ სახეობას ბოლოს მოუღებსო. ჯერჯერობით კონკრეტული გადაწყვეტილება არ ჩანს და, ალბათ, ურთიერთშეთანხმებას (თუ ეს საერთოდ მოხერხდა) საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპორტული გამოცემა, ტურინული გაზეთი „ტუტოსპორტი" წერს, რომ თუ სუპერლიგა შეიქმნა, მისი გათამაშება 2000 წელს დაიწყება. სავარაუდოდ, მასში ევროპის 32 უძლიერესი კლუბი იასპარეზებს, რომლებიც ორ 16-გუნდიან ჯგუფად გაიყოფიან, ხოლო ამ ჯგუფებში საუკეთესო მაჩვენებლის მქონე ოთხოთხი კლუბი მეოთხედფინალებში ოლიმპიური სისტემით განაგრძობს ბრძოლას ისევე, როგორც ახლა, შეხვედრები ორრაუნდიანი იქნება, ანუ გუნდები ორჯერ, შინ და გარეთ შეხვდებიან ერთმანეთს. მოსალოდნელია, რომ სუპერლიგის ეგიდით ორი თასი გათამაშდება, ერთს „პროქაფი" ეწოდება, ხოლო მეორეს სახელი დღესდღეობით უცნობია. ამ შეჯიბრებებმა უეფას და თასების მფლობელთა თასის გათამაშებები უნდა შეცვალოს. შინაურ სათასო ტურნირებში გამარჯვებულები „პროქაფის" გათამაშებაში ავტომატურად მოხვდებიან.

სუპერლიგის შექმნის იდეის ავტორებმა იმ 16 გუნდის სია გამოაქვეყნეს, რომლებიც ამ ტურნირის მუდმივი მონაწილეები იქნებიან: მილანის „ინტერი", ტურინის „იუვენტუსი", „მილანი" (სამივე იტალია); „მანჩესტერ იუნაიტედი", ლონდონის „არსენალი", „ლივერპული" (სამივე ინგლისი); მიუნხენის „ბაიერნი", დორტმუნდის „ბორუსია" (ორივე გერმანია); „პარი სენ ჟერმენი", მარსელის „ოლიმპიკი" (ორივე საფრანგეთი); მადრიდის „რეალი", „ბარსელონა" (ორივე ესპანეთი); ამსტერდამის „აიაქსი" (ჰოლანდია), „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი), ლისაბონის „ბენფიკა" (პორტუგალია) და „ანდერლეხტი" (ბელგია).

ცნობილი იტალიელი მაგნატის, საავტომობილო ფირმა „ფიატის" პატრონის და ტურინის „იუვენტუსის" მფლობელ ანიელების ოჯახის მიერ დაარსებულ გაზეთში ისიც წერია, რომ ყოველ გუნდს, რომელიც სუპერლიგის გათამაშებაში იასპარეზებს, საშუალება ექნება, წელიწადში მინიმუმ 40 მილიარდი ლირა (22,7 მილიონი დოლარი) გამოიმუშაოს, მეტი, ვიდრე მადრიდის „რეალმა" წლეულს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის მიიღო. ტურნირის მომგებ კლუბს კი სულაც ასტრონომიული თანხა — 100 მილიარდ ლირას (57,3 მილიონი დოლარი) ერგება. ამის გარანტი სუპერლიგის ჩამოყალიბების იდეის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ცნობილი ბიზნესმენი როდოლფო ჰეხტი გახლავთ, იტალიის სატელიტური სატელევიზიო კომპანია „ტელეპიუს" ყოფილი დირექტორი. სხვათა შორის, ეს ფირმა წლეულს მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს — ტურინის „იუვენტუსს" გაუწევს სპონსორობას.

ახლა ამ საკითხთან იტალიის წამყვანი კლუბების დამოკიდებულებაზეც ვთქვათ. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, „ტუტოსპორტის" თქმით, მათ წარმომადგენლებს ჯერ რაიმე კონკრეტული პოზიცია არ გამოუხატავთ, მეტიც, ისინი პირში წყალის ჩაგუბებას ამჯობინებენ. „ჩვენ არაფერი გვაქვს სათქმელი. კომენტარისგან თავს შევიკავებთ" — აცხადებს „მილანის" პრეს-ატაშე. „მილანის" მსგავსად, დუმს „ინტერი", „იუვენტუსი" და რომის „ლაციოც", გუნდი, რომელიც განთქმულია თავისი ამბიციებით და სუპერლიგაში მოხვედრის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. „ლაციო" ამჟამად პორტუგალიაში იმყოფება, სადაც ამხანაგურ ტურნირში მონაწილეობს.

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ გეგმა შედგენილია, ახლა მისი განხორციელებაა მთავარი. მსოფლიოს მოწინავე კლუბები ჯერჯერობით არაფერს ამბობენ, მხოლოდ რამდენიმე მათგანის პოზიციაა ცნობილი. ასე რომ, სუპერლიგის შექმნის იდეა კვლავაც ჰაერშია გამოკიდებული. თუ რომელი მხარე გაიტანს თავისას, ამას მომავალი, ალბათ, საკმაოდ შორეული, გვიჩვენებს.

**დავით ქოჩზირიძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**ირანის** ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" თავდამსხმელმა, ალი დაეიმ შაბათს გერმანიის ლიგის თასის ფინალში „შტუტგარტის" წინააღმდეგ, შესაძლოა,. ვერ .ითამაშოს. ახლახან ბილეფილდის „არმინიადან" 5 მილიონ მარკად შეძენილი ფეხბურთელი ორიოდე დღის წინ „ჰანოვერ 96"-თან გამართულ საწვრთნელ მატჩში დაშავდა. „დაეიმ მხარის მცირე ტრავმა მიიღო და შაბათს, ალბათ, ვერ იასპარეზებს" — განაცხადა კლუბის წარმომადგენელმა, მარკუს ჰიორვიეკმა. გამოვა თუ არა 29 წლის ირანელი „შტუტგარტთან" მატჩში, ამას ბავარიელთა ახალი თავკაცი, ოტმარ ჰიტცფელდი შეხვედრის წინ გადაწყვეტს.

**გერმანელმა მწვრთნელმა, იუპ ჰაინკესმა ნიგერიული ფეხბურთის მამების მიერ შეთავაზებული წინადადება, ჩვენს ნაკრებს უხელმძღვანელეო, იუარა. „ნიგერიელებმა მილუტინოვიჩის ადგილი შემომთავაზეს, მაგრამ უარით გავისტუმრე, ამის თაობაზე ალარაფრის თქმა არ მსურს და ნუ მკითხავთ" — განუცხადა გერმანელმა ჟურნალისტებს. ჰაინკესი გასულ სეზონში მადრიდის „რეალს" თავკაცობდა, კლუბს ჩემპიონთა თასიც მოაგებინა, მაგრამ პრეზიდენტმა ლორენცო სანსმა ქვეყნის ჩემპიონატში დაკავებული მეოთხე ადგილი ვერ აპატია. ახლა იგი უქმადაა, მშობლიურ ქალაქ მიონხენგლადბახში ცხოვრობს და ხელსაყრელ წინადადებებს ელის. რაც შეეხებათ ნიგერიელებს, ისინი მსოფლიოს ჩემპიონატზე თავიანთი გუნდის ასპარეზობით უკმაყოფილონი არიან, ბორა მილუტინოვიჩთან კონტრაქტის გაგრძელება აღარ სურთ და მის შემცვლელს ეძებენ.**

**საფრანგეთის** პირველი დივიზიონის „სტრასბური" მიუნხენის „ბაიერნის" თავდამსხმელით, ალექსანდრ ციკლერით დაინტერესდა და მისი შეძენა სურს. პოპულარული გერმანული გაზეთის, „კიკერის" ცნობით, „სტრასბურის" მთავარი მწვრთნელი კლოდ ლე როა ბავარიელებს დაკავშირებია და ფეხბურთელის გარკვეული დროით ფრანგულ კლუბში განათხოვრება შეუთავაზებია. აღსანიშნავია, რომ ციკლერის გადაბირება ბერლინის „ჰერტასაც" სურს და ამისთვის, როგორც ჩანს, არც ძალ-ღონესა და არც ფინანსებს არ დაიშურებს.

**სპილოს ძვლის სანაპიროს ნაციონალური თასის მფლობელი, „აფრიკა სპორტსი" გახდა, რომელმაც ფინალური შეხვედრის დამატებით დროში 3:0 სძლია „სტად აბიჯანს".**

**ინგლისური** „ვულვერჰემპტონ უონდერერზის" თავდამსხმელი, დაგი ფრიდმენი საბოლოოდ დათანხმდა პრემიერლიგაში ახალგადასულ „ნოტინგემ ფორესტში" გადაბარგებაზე. სავარაუდოდ, ოთხწლიანი კონტრაქტი გაფორმდება, ხოლო სატრანსფერო თანხა 900 ათასი გირვანქა (1,35 მილიონი დოლარი) იქნება. თავად ფრიდმენმა განაცხადა, აქ გადმოსვლა ძალიან დიდი ხანია მინდოდა და როგორც იქნა, მოვახერხეო. თავდამსხმელმა შარშან „ვულვზის" შემადგენლობაში მშვენივრად იასპარეზა და 12 გოლით კლუბის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა, თუმცა სეზონის მიწურულს გუნდის თავკაც, მარკ მაკგისთან კონფლიქტი მოუვიდა და სხვა კლუბის ძებნა დაიწყო.

**ხორვატიის ნაკრების მარჯვენა მცველის, რობერტ იარნის ესპანური „ბეტისიდან" ინგლისურ „ქოვენთრი სიტიში" გადასვლა შეიძლება შეფერხდეს, რადგან მხარეები 15 აგვისტომდე, პრემიერლიგის გათამაშების დაწყებამდე, მოლაპარაკების დასრულებას ვერ ასწრებენ. „ქოვენთრის" პრესატაშემ, ბრაიან რიჩარდსონმა ერთ-ერთ უკანასკნელ პრესკონფერენციაზე აღნიშნა: „თუ კონტრაქტის გაფორმება ახლა ვერ მოვასწარით,ახალ წლამდე მოგვიწევს ცდა, შემდეგ რა მოხდება, მომავალი გვიჩვენებს".**

**ბრაზილიის** ჩემპიონატი: ინტერნაციონალი — სან პაულუ 0:3, გუარანი — ბოტაფოგო 2:3, ვასკო და გამა — ამერიკა ბელო ჰორიზონტე 5:1, კორინთიანსი — გრემიო 2:1, კრუზეირო — პონტე პრეტა 4:2, ატლეტიკო პარანაენსი — პალმეირასი 0:1, პორტუგეზა — კორიტიბა 1:1, პარანა — ამერიკა ნატალი 3:2, სპორტ რესიფე — ვიტორია 2:1. 3 ტურის შემდეგ პირველი სამეული ასე გამოიყურება: სპორტ რესიფე — 9 ქულა, კორინთიანსი — 9, სანტოსი — 7.

**ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი, როი კინი ხვალ გასამართ საქველმოქმედო მატჩს ლონდონის „არსენალის" წინააღმდეგ სრულ მზადყოფნაში შეხვდება. შეგახსენებთ, რომ კინმა შარშან სექტემბერში მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და მას შემდეგ არც ერთ მნიშვნელოვან შეხვედრაში არ უასპარეზია. ზემოხსენებულ მატჩში აუცილებლად ითამაშებს მანჩესტერელთა ახალწვეული, მსოფლიოს უძვირფასესი მცველი, ჰოლანდიელი იაპ სტამი. გუნდის თვკაცის, ალექს ფერგიუსონის თქმით, დაცვით ხაზს სწორედ მასზე ააგებენ. საეჭვოა დევიდ ბექემის შეხვედრაში მონაწილეობა, მან ნორვეგიულ ტურნეში ფეხი დაიზიანა. ფერგიუსონმა ისიც აღნიშნა, რომ სავსებით შესაძლებელია, სასტარტო შემადგენლობაში შვედი ნახევარმცველი, იესპერ ბლომკვისტი გამოჩნდეს.**

**არგენტინაში** მერკოსურის თასის გათამაშების ჯგუფური ტურნირის პირველი ტურის უკანასკნელი შეხვედრა გაიმართა, სადაც ერთმანეთს ორი არგენტინული კლუბი — „ველეს სარსფილდი" და „ბოკა ხუნიორსი" შეხვდა. მატჩი მეტად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. გამორჩეულად კარგად, რაღა თქმა უნდა, „ველესის" კარის დარაჯმა, პარაგვაის ნაკრების კაპიტანმა, ხოსე ლუის ჩილავერტმა ითამაშა და თავისი გუნდი რამდენჯერმე ასპროცენტიანი გოლისგან იხსნა. შეხვედრის ერთადერთი გოლი კი 21-ე წუთზე მაურიციო პელეგრინომ თავით გაიტანა და „ველესს" პირველი სამი ქულა მოუტანა.

**სამხრეთ აფრიკელ მსაჯ ახმატ სალიეს, რომელიც ახლახან დასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატზე თანამსაჯობდა, შესაძლოა, მკაცრი სანქციები შეეხოს. საქმე ისაა, რომ შინაური ჩემპიონატის ერთ-ერთ შეხვედრაში მან ფეხბურთელს ორჯერ უჩვენა ყვითელი ბარათი, მოედნიდან გაძევება კი გადაავიწყდა. სალიე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩშიც ეხმარებოდა მთავარ არბიტრს. რაც შეეხება ზემო აღნიშნულ შეხვედრას, მასში ერთმანეთს „ორლანდო პირატსი" და „ვაალი" ხვდებოდნენ, ორი გაფრთხილება „ორლანდოსა" და სამხრეთ აფრიკის ნაკრების წევრმა ნოთი მოკოენამ მიიღო, მოთამაშემ, რომელსაც უდისციპლინობისთვის საფრანგეთი 98-ის დატოვებამ ნაადრევად მოუწია. სალიეს საკითხს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს ხანს განიხილავს.**

**რუსეთის** ნაკრებისა და ვლადიკავკაზის „ალანიას" ნახევარმცველი, იგორ იანოვსკი ამ თვის მიწურულს „პარი სენ ჟერმენს" შეუერთდება, განაცხადა „ალანიას" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. სატრანსფერო თანხაზე ჯერ არაფერი თქმულა, თუმცა ვლადიკავკაზელთა თავკაცი ვალერი გაზაევი ირწმუნება, რომ იანოვსკიში აღებული თანხა მეტი იქნება, ვიდრე 7 ახალი ფეხბურთელის შეძენაში დახარჯული. იანოვსკი ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო გუნდისა, როელმაც 1995 წლის სეზონში რუსეთის ჩემპიონობა მოიპოვა. მან მერე რუსეთის ნაკრებშიც დაიმკვიდრა ადგილი და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩებშიც მიიღო მონაწილეობა.

**გერმანული კლუბები შავ დღეში არიან. ახალი სეზონის დაწყებამდე ზუსტად ერთი კვირაა დარჩენილი, აქ კი დღე არ გავა, რომელიმე გუნდს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი არ დაუშავდეს. მიონხენგლადბახის „ბორუსიამ", რომელიც გასულ სეზონში ძლივს გადაურჩა მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას, მეკარე უვე კამპსი მოისაკლისა, იგი ვარჯიშისას დაშავდა. ექიმები შიშობენ, რომ გოლკიპერს აქილევის მყესი აქვს დაზიანებული. თუ ეს დიაგნოზი გამართლდა, მაშინ კამპსს საკმაო ხნით დასვენება მოუწევს. „ზუსტი დიაგნოზი ჯერ უცნობია, თუმცა, ვეჭვობთ, რომ მყესია გაწყვეტილი" — დამწუხრებული ჩანდა „ბორუსიას" თავკაცი ფრედელ რაუში.**

# მონბლანი თითქოს არც ისე მაღალია



იქით, ახალი ცხოვრებაა — ამბობს ტურამი

მსოფლიოს ჩემპიონები ლილიან ტურამი და ალენ ბოგოსიანი, მოგეხსენებათ, იტალიურ „პარმაში“ თამაშობენ და რა გასაკვირია, პარმელებს მათი დიდი იმედი რომ აქვთ. როდესაც გუნდში ორი მსოფლიო ჩემპიონი გყავს, უკვე „სკუდეტოზეც“ შეიძლება ფიქრი.

ტურამი გუნდში ძველი კაცია, ბოგოსიანი კი „სამპდორიიდან“ გადავიდა.

„პარმას“ პრეზიდენტმა, სტეფანო ტანციმ კარგად უწყის, რომ ორივენი ამბიციურნი არიან და დასაპყრობი მწვერვალები ჯერ არ შემოლევიათ.

— თუ ჩვენ ჩემპიონის ტიტულს მოვიპოვებთ, აი, იქ ავძვრები და თოვლში „პარმას“ ბაირაღს ჩავარჭობ — თქვა ტანციმ და თითი მონბლანისკენ გაიშვირა („პარმა“ სეზონისწინა შეკრებას ალპებში გადის) — ნუ იფიქრებთ, რომ მონბლანის დალაშქვრა უფრო იოლია, ვიდრე „სკუდეტოს“ მოპოვება.

ტურამი, მიუხედაად იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონია, არ გათავხედებულა და საწვრთნელ მოედანზე მუხლჩაუხრელად შრომობს.

—მინდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი არ დავკარგო და ამისთვის ვიბრძვი. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ვერაფერში წამადგება, ის ხომ უკვე წარსულია. ამიერიდან მნიშვნელობა ახალ ჯილდოებს ენიჭება. პრეტენზია არაფერზე მაქვს, შეიძლება ითქვას, „პარმაში“ ყველაფერს თავიდან ვიწყებ. სადაც მწვრთნელი მეტყვის, იქ ვითამაშებ. თუ სურს ცენტრალური მცველი გავხდები, თუ სურს ფრთაზე განვაგრძობ მოღვაწეობას. ყველაფრისთვის მზად ვარ — ამბობს ის.

ბოგოსიანი ასე მსჯელობს: — საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული იმიტომ მოიპოვა, რომ გუნდს ძლიერი სული ჰქონდა. თუ „პარმაც“ ისეთივე შეკრული იქნება, როგორიც ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიყავით, აუცილებლად მოიპოვებს რაიმე ჯილდოს. მთავარია, ყველამ ერთი მიმართულებით უსვას ნიჩაბი. ბუნებრივია, „პარმას“ თავისი, განსხვავებული ნიუანსებიც ექნება, მაგრამ მთავარი ისევ და ისევ მოტივაციაა. მე და ტურამს მისი ნაკლებობა აშკარად არ გვექნება, რამეთუ ჩვენ გამარჯვების მოპოვების გამოცდილება შევიძინეთ და ახლა მეტი გვინდა. ვგრძნობ, რომ ამ გუნდს შეუძლია ნებისმიერი შეჯიბრების მთავარ ფავორიტად იქცეს და ჩვენ, მე და ტურამი, ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ყველგან და ყოველთვის გადამწყვეტი როლი ვითამაშოთ.



ბოგოსიანი დანარჩენს პარმაში მოიხვეჭს

„პარმას“ ახალ სეზონში სამი შეჯიბრება ელის: იტალიის ჩემპიონატი, თასი და უეფას თასი.

— თუ დამარცხდები, თავს ვერაფრით გაიმართლებ. არც ის შეიძლება, ერთი შეჯიბრების მოგება დაგეგმო და სხვებს უგულოდ მოეკიდო. როდესაც იბრძვი, ყველაფერი უნდა გინდოდეს. განა ბოლო წლებში „იუვენტუსმა“ არ დაამტკიცა, რომ თითოეული ახალი ჯილდო მომდევნოს საძირკველია? იცით, რატომ ვარჩიე სხვა გუნდებში გადასვლას „პარმაში“ თამაში? იმიტომ, რომ მწამს, აქ იტალიის ჩემპიონის ტიტულისა და თასის მოგების ყველაზე დიდი შანსი მექნება და თუ ეს შევძელი, მაშინ მსოფლიოს ჩემპიონის წოდებას სხვა წოდებებსაც დავამატებ — დასძინა ბოგოსიანმა.

„პარმა“ ახალ სეზონს 12 სექტემბერს იწყებს. მას სათავეში „ფიორენტინადან“ წასული მწვრთნელი, ალბერტო მალესანი ჩაუდგა, რომელმაც კარლო ანჩელოტი შეცვალა.

მწვრთნელის გამოცვლაზე ტანცი ასე ამბობს: — მიზეზს თავადაც მიხვდებით, როდესაც უახლოეს წლებში და ჩვენი ახალი მწვრთნელის ხელში „პარმა“ უდიდეს ტიტულებს მიითვლის.

ბაბუნა ძიძია

# მილანი მილანური უნდა იყოს

მილაინს მილიონერმა პრეზიდენტმა, ტელემაგნატმა სილვიო ბერლუსკონიმ, თავისი კორპორაციების „ფინინვესტისა“ და „მედიასეტის“ პირით განაცხადა, რომ კლუბს საერთო არაფერი აქვს ევროპული სუპერლიგის პროექტთან და მის ინიციატორთა ჯგუფთან მოლაპარაკებებს არ აწარმოებს.

ასეთი განცხადება საზოგადოებისთვის ერთობ მოულოდნელი გამოდგა, რადგან ევროპულ პრესაში ბოლო ხანს ხშირად იწერებოდა, რომ ბერლუსკონის სატელევიზიო და სპორტული ინტერესები სწორედ რომ სუპერლიგას მოიცავს. ამ შინაარსის წერილებს უპირატესად, მაინც ბრიტანულ გაზეთებში წააწყდებოდით, ხოლო მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა, ლორენსო სანსმა პირდაპირ განაცხადა, რომ მიუნხენში გამართულ ერთ-ერთ თათბირს სუპერლიგის მოსურნე სხვადასხვა კლუბთა პრეზიდენტებთან ერთად „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანიც ესწრებოდა.

„ფინინვესტისა“ და „მედიასეტის“ პრესატაშე ყველაზე შესაძლო კატეგორიული ფორმით აცხადებს, რომ მათი ღირსეული წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ ევროპული სუპერლიგის შექმნასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში — ეწერა მილანური ოფისიდან გავრცელებულ ოფიციალურ დოკუმენტში.

მოკლედ, ან ლორენსო სანსი და ბრიტანული გაზეთების თანამშრომლები ადრიანო გალიანის ვერ ცნობენ სახეზე და ვილაც სხვაში ერევათ, ან სინიორ ბერლუსკონიმ უცნაური თამაში მოიგონა.

სანამ პოლიტიკოსები თავისას ხლართავენ, გუნდი ახალი სეზონისთვის ემზადება. ახალ მწვრთნელს ალბერტო მაკერონის სურს, „მილანი“ ძველებურად დაუნებებელი სულისკვეთებით გაჟღინთოს და სერია A-ს პირველობის გახსნის შეხვედრაში თანაქალაქელ მეტოქეს, ბოლოხანს ფრიად გაძლიერებულ „ინტერს“ ღირსეულად დაუხვდეს.

გასული ორი სეზონი „მილანისთვის“ მართლაც ცუდი გამოდგა, ისტორიაში უარესი. ჩემპიონატს გუნდი ცხრილის შუაში ამთავრებდა და უეფას თასზე გამსვლელი ადგილის მიღმა რჩებოდა. კაპიტანი პაოლო მალდინი ამას იმით ხსნის, რომ როდესაც „მილანის“ ამბიციური ფეხბურთელები ატყობდნენ, რომ „სკუდეტოს“ ანუ ჩემპიონის ტიტულს ვეღარ სწვდებოდნენ, გუნება უფუჭდებოდათ და მთელი გულითა და სულით ბრძოლას თავს ანებებდნენ.

ძაკერონის ეს არ აძლევს ხელს. მას დიდი „მილანის“ აღორძინება სწადია. უნდა გუნდმა ისეთივე უტეხი ხასიათი გამოავლინო, როგორიც „ინტერმა“ გამოავლინა ინგლისურ „ლივერპულთან“ ამხანაგური თამაშის დროს („ლივერპულმა მოიგო 2:1).

— ალვფრთოვანდი „ლივერპულთან“ „ინტერის“ თამაშით — განაცხადა ძაკერონიმ — ჩვენმა თანაქალაქელებმა აჩვენეს, რომ სეზონის დაწყებამდევე აგრესიულნი, დინამიკურნი და ბრძოლისუნარიანნი არიან. მისმა ყაიდამ ორი წლის წინანდელი „მილანი“ გამახსენა, როდესაც გუნდი დამარცხებას ვერ ეგუებოდა და დანებება მისთვის ძალიან უცხო ხილი იყო. მკაფიოდ ვიცი, რომ დღეს ჩემი უმთავრესი ამოცანა „მილანში“ ძველებური სულისკვეთების აღდგენაა, რადგან წინაალმდეგ შემთხვევაში, უდიდეს პრობლემებს წავაწყდებით.

გარდა ფსიქოლოგიური სირთულისა, ბოლოდროინდელი „მილანის“ უდიდესი ნაკლი გოლების სიმცირეც გახლდათ. ძაკერონის, თავის მხრივ, „უდინეზეში“ ეს პრობლემა არ ჰქონია. როგორც ამბობენ, ეს 4-3-3 სისტემის შედეგი გახლდათ. გარდა სისტემისა, „უდინეზესთვის“ და შესაბამისად ძაკერონისთვის მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ უდინეს გუნდის თავდასხმაში გერმანელი გოლთა ოსტატი, ოლივერ ბირჰოფი თამაშობდა. დღეს ბირჰოფი „მილანშია“ და თუ გასული სეზონის შემდეგ, 27 გოლის გატანას და პირველობის საუკეთესო ბომბარდირობას ვერ მიაღწევს, ბერლუსკონის კლუბის წინა ხაზის გაძლიერებას უთუოდ შეუწყობს ხელს.

ნურც იმ ფორვარდებს დავივიწყებთ, ბირჰოფს „მილანში“ რომ დახვდნენ: ჟორჟ ვეა და პატრიკ კლუივერტი.

— ჩემთვის ნათელია, რომ ბირჰოფსა და ვეას გვერდიგვერდ თამაში შეუძლიათ, მით უფრო, რომ ამასწინათ ვეამ განაცხადა, სიამოვნებით შევიცვლი ამპლუას და გარემარბი გავხდებიო. რაც შეეხება კლუივერტს, ნამდვილად ვერ გეტყვით, როგორ შეხვდება იგი გარემარბობას — თქვა ძაკერონიმ.

დღეისთვის „მილანის“ ბევრი ფეხბურთელი ჯერ არ არის მზად დიდი ბრძოლებისთვის. ვეას მუხლი სტკივა და ცოტა ხანი იმკურნალებს, დემეტრიო ალბერტინიც ვერაა ჯანმრთელად. რაც შეეხებათ ახალ მოთამაშეებს, გერმანელ იენს ლემანს, დანიელ თომას ჰელვეგსა და არგენტინელ რობერტო აიალას, ისინი მილანში სულ ორიოდ დღის ჩასულები არიან.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

### რუსეთის ჩემპიონატი.

XX ტური. 8 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| როსტსელმაში — ჩერნომორ. | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| შინიკი — ზენიტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ცსკა — ჟემჩუჟინა | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| სპარტაკი — ალანია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ტიუმენი — ურალანი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| ბალტიკა — კრილია | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი.

V ტური. 8 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| იანგ ბოისი — ლუგანო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლოზანა — სიონი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

9 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაზელი — ლუცერნი | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### პოლონეთის ჩემპიონატი.

III ტური. 8 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ამიცა — ვიძევი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| კატოვიცე — რაძიონკოვი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ლეგია — ლეხი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბელხატოვი — სტომილი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ვისლა — ზაგლებე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| რუხი — პოლონია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლკს — ოდრა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| გურნიკი — პოგონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

### ავსტრიის ჩემპიონატი.

IV ტური. 8 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| გრაცერი — ტიროლი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ლუსტენაუ — აუსტრია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| რაპიდი — ლინცერი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| რიდი — შტაირი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ზალცბურგი — შტურმი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი.

I ტური. 8 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| რენი — ოსერი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| მარსელი — ნანტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბასტია — მონპელიე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბორდო — პსჟ | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სტრასბური — ლიონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ტულუზი — ლანსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ნანსი — სოშო | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისის სუპერთასი

9 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — მანჩესტერი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი.

I ტური. 8 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ბრედფორდი — სტოკპორტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ბრისტოლი — ოქსფორდი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ბერი — ჰადერსფილდი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| კრისტალი — ბოლტონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ნორვიჩი — ქრიუ | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| პორტ ვეილი — ბირმინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პორტსმუთი — უოტფორდი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| შეფილდი — სვინდონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| სანდერლენდი — ქუინზ პარკი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ვულვზი — ტრანმერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

9 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| გრიმსბი — იფსვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა.

II ტური. 9 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლსრუე — ულმი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| ბერლინი — კოტბუსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| დიუსელდ. — გიუტერსლო | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ვატენშაიდი — მაინცი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ფიურტი — ზანქტ პაული | 2,3 | 2,9 | 2,8 |

10 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| არმინია — ჰანოვერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### გერმანია. ლიგის თასის ფინალი (ლევერკუზენში)

8 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — შტუტგარტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. 12 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი (ნორვეგია) — ბრიუგე (ბელგია) | (2,0-1,5) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — ლკს (ლოძი, პოლონეთი) | (1,01-15,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ლიტექსი (ბულგარეთი) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) | (3,5-1,2) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გალათასარაი (თურქეთი) — გრასჰოპერი (შვეიცარია) | (1,7-1,7) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| სელტიკი (შოტლანდია) — კროაცია (ხორვატია) | (1,8-1,6) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| მარიბორი (სლოვენია) — ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | (15,0-1,01) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| დინამო (კიევი, უკრაინა) — სპარტა (ჩეხეთი) | (1,55-1,9) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| კოშიცე (სლოვაკეთი) — ბრონდბიუ (დანია) | (3,5-1,2) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ინტერი (იტალია) — სკონტო (ლატვია) | (—-25,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ანორთოსისი (კვიპროსი) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ბენფიკა (პორტუგალია) — ბეითარი (ისრაელი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| დინამო (საქართველო) — ბილბაო (ესპანეთი) | ანგარიში — 5.0 | | | |
| ჰიკ (ფინეთი) — მეცი (საფრანგეთი) | (15,0-1,01) | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| ბაიერნი (გერმანია) — ობილიჩი (იუგოსლავია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| შტურმი (ავსტრია) — უიპეშტი (უნგრეთი) | (1,35-2,5) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| სტიაუა (რუმინეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | (2,3-1,4) | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### თასების თასის საკვალიფიკაციო ეტაპი. 13 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რუდარი (სლოვენია) — კონსტრუქტორული (მოლდოვა) | (1,4-2,3) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ვადუცი (ლიხტენშტაინი) — ჰელსინბორგი (შვედეთი) | (50,0-—) | 5,0 | 7,0 | 1,05 |
| ლოზანა (შვეიცარია) — ცემენტი (სომხეთი) | (1,05-7,5) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| კორკ სიტი (ირლანდია) — ცსკა (უკრაინა) | (3,5-1,2) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ეკრანასი (ლიტვა) — აპოლონი (კვიპროსი) | (2,0-1,5) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| აპოლონია (ალბანეთი) — გენკი (ბელგია) | (7,5-1,05) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ბანგორი (უელსი) — ჰაკა (ფინეთი) | (3,5-1,2) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ლევსკი (ბულგარეთი) — ვიტებსკი (ბელარუსი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლიეპაია (ლატვია) — კეფლავიკი (ისლანდია) | (2,5-1,35) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| გრევენმახერი (ლუქსემბურგი) — რაპიდი (რუმინეთი) | (7,5-1,05) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ლანტანა (ესტონეთი) — ჰართსი (შოტლანდია) | (7,5-1,05) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ამიცა (პოლონეთი) — ჰიბერნიანი (მალტა) | (1,05-7,5) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| გოტუ (ფარერები) — მტკ (უნგრეთი) | (15,0-1,01) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) | (5,0-1,1) | 3,5 | 3,0 | 1,9 |
| ვარდარი (მაკედონია) — სპარტაკი (სლოვაკეთი) | (2,3-1,4) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ყარაბახი (აზერბაიჯანი) — კოპენჰაგენი (დანია) | (15,0-1,01) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| პარტიზანი (იუგოსლავია) — ბათუმი (საქართველო) | ანგარიში — 5.0 | | | |

### უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. 11 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ეკერენი (ბელგია) — სერვეტი (შვეიცარია) | (1,35-2,5) | 1,5 | 3,2 | 5,0 |
| ციურიხი (შვეიცარია) — შახტიორი (უკრაინა) | (1,7-1,7) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ომონია (კვიპროსი) — რაპიდი (ავსტრია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — როტორი (რუსეთი) | (1,4-2,3) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) — აეკ (საბერძნეთი) | (2,3-1,4) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| არჯეში (რუმინეთი) — ისთანბული (თურქეთი) | (2,3-1,4) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ვაასა (ფინეთი) — გრაცერი (ავსტრია) | (7,5-1,05) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| მოლდე (ნორვეგია) — ცსკა (ბულგარეთი) | (1,9-1,55) | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| გიოტებორგი (შვედეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) | (1,55-1,9) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| მურა (სლოვენია) — სილკებორგი (დანია) | (2,0-1,5) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რეინჯერსი (შოტლანდია) — პაოკ (საბერძნეთი) | (1,4-2,3) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| სლავია (ჩეხეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) | (1,15-4,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ბრანი (ნორვეგია) — ჟალგირისი (ლიტვა) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ვისლა (პოლონეთი) — ტრაბზონი (თურქეთი) | (2,3-1,4) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ოცელული (რუმინეთი) — ვაილე (დანია) | (2,0-1,5) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ჰაპოელი (თ-ა, ისრაელი) — სტრომგოდსეტი (ნორვეგია) | (1,7-1,7) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ოსიეკი (ხორვატია) — ანდერლეხტი (ბელგია) | (3,5-1,2) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| პოლონია (პოლონეთი) — დინამო (რუსეთი) | (1,8-1,6) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ჰაიდუკი (ხორვატია) — მალმიო (შვედეთი) | (1,7-1,7) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| კილმარნოკი (შოტლანდია) — სიგმა (ჩეხეთი) | (1,5-2,0) | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინტერტოტოს თასის ფინალი. 11 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვერდერი (გერმანია) — ვოივოდინა (იუგოსლავია) | (1,15-4,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| რუხი (პოლონეთი) — ბოლონია (იტალია) | (7,5-1,05) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ვალენსია (ესპანეთი) — ზალცბურგი (ავსტრია) | (1,15-4,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# თავდამსხმელებს ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვთ

საფრანგეთის ახალ ჩემპიონატში თუ ვინმეს რამე ექნება დასამტკიცებელი, თავდამსხმელები არიან. რატომ? იმიტომ, რომ ფრანგთა ქვეყნის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა, ყველა სხვა გუნდზე მეტი გოლი მცველთა და ნახევარმცველთა წყალობით გაიტანა, ფორვარდები კი... .

ახლა კრისტოფ დიუგარი, ფლორიან მორისი, რობერ პირესი, ტიერი ანრი, დავიდ ტრეზეგე, პატრის ლოკო, ნიკოლა უედეკი და სხვანი გატეხილი სახელის გამთელებას შეეცდებიან. მართალია, ჩამოთვლილთაგან მსოფლიოს პირველობაზე ყველას არ უთამაშია, მაგრამ აბა ამას რა მნიშვნელობა აქვს. ვინც არ ითამაშა (მორისი, ლოკო და უედეკი) სხვებზე ფხიანნი რომ ყოფილიყვნენ, ემე ჟაკე ქუჩაში დასტოვებდა?

მაშ ასე, ჰა ბურთი და ჰა ახალი ჩემპიონატი. იქნებ ვისაც ჟაკემ ცუდი თვალით შეხედა, ახალმა მწვრთნელმა როჟე ლემერმა კარგით შეხედოს.

საფრანგეთის ეროვნული გუნდის მსოფლიო ჩემპიონობამ ოდინდელი მეტოქების, მარსელის „ოლიმპიკისა“ და „პარი სენ ჟერმენის“ შუღლს ახლებური შუქი მიანათა. რიცხვებით ეს ასე გამოიხატება: მარტო მარსელის „ველოდრომზე“ 35 ათასი აბონემენტი უკვე გაყიდულია.

როგორც „ოლიმპიკმა“, ასევე „პარი სენ ჟერმენმა“ გვარიანი ფული გაიღეს ძლიერ შემადგენლობათა შემოსაკრებად. ახალ სეზონში ამ კლუბების შემადგენლობაში ბევრი ის ფეხბურთელი ითამაშებს, მსოფლიოს პირველობიდან კარგად რომ დაგვამახსოვრდა.

ტრანსფერებში ქვეყნის რეკორდი „პარი სენ ჟერმენმა“ დაამყარა. მან თურქული „ფენერბაჰჩედან“ ნიგერიელი აუგუსტინ, იგივე ჯეი ჯეი ოკოჩას შესაძენად 17 მილიონი დოლარი გადაიხადა და იმედოვნებს, რომ ამიერიდან ისეთ გრანდებს გაუტოლდება, „იუვენტუსი“, „ინტერი“, „რეალი“ და ძმანი მათნი რომ არიან.

ეჭვი არაა, მოულოდნელი ჩემპიონი „ლანსი“ და ვიცე-ჩემპიონი „მეცი“ ახალ სეზონში დიდ წინააღმდეგობას წააწყდებიან. ბოლოს და ბოლოს, ტიტულის ტარება დიდ კლუბებს ემძიმებათ და „მეცს“ და „ლანსს“, რომელთაც „პარი სენ ჟერმენი“ და „მონაკო“ დაჩრდილეს, ასეთ თავხედობას, ალბათ, არავინ შეარჩენს.

თანაც, ორივე არცთუ მაინცდამაინც მდიდარი გახლავთ, რის გამოც ვერ შეინარჩუნეს თავიანთი საუკეთესო ფეხბურთელები. ისინი დიდებმა იყიდეს.

და ისევ მარსელის „ოლიმპიკი“. ეს კლუბი ერთადერთია საფრანგეთში, ევროპის ჩემპიონთა თასი რომ მოუგია. მაშინ მას პრეზიდენტად მილიონერი ბერნარ ტაპი ჰყავდა. სწორედ ის, ახლა მექრთამეობის გამო, საკანში რომაა. დღეს „ოლიმპიკს“ ისევ ღონიერი პრეზიდენტი მართავს — რობერ ლუი დრეიფუსი, რომელსაც თვალი ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისკენ უჭირავს.

ტაპისდროინდელი მექრთამეობა „ოლიმპიკს“ პირველი დივიზიონიდან გაძევებად დაუჯდა. იქიდან დაბრუნების მერე, აგერ უკვე ორი სეზონია გასული. პირველში გუნდმა მე-11 ადგილი დაიკავა, მეორეში — მეოთხე და ახლა გუნდი რომელსაც თავდასხმა საფრანგეთის ნაკრების წევრებით ჰყავს დაკომპლექტებული, მხოლოდ პირველ ადგილს უმიზნებს.

„ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში გასვლაა“ — აცხადებს მწვრთნელი როლან კორბუსი.

„ოლიმპიკის“ ახალი შენაძენნი გახლავან რობერ პირესი, მსოფლიოს ჩემპიონატის სამი შეხვედრის მონაწილე და ფლორიან მორისი, ქვეყნის 21 წლამდელთა ნაკრების წევრი.

გუნდის ძველ წევრთაგან ცნობილნი არიან კრისტოფ დიუგარი, იტალიელი ფაბრიციო რავანელი, გერმანელი გოლკიპერი ანდრეას კიოპე და ფრანგთა მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრების კაპიტანი, ლორან ბლანი.

„არასდროს დამიმალავს, რომ მოედანზე რავანელის, მოირსის, გურვენეკის და პირესის გაყვანას ვაპირებ, მაგრამ ოთხ ადგილზე ხუთი ჩინებული ფეხბურთელი ყოლა, ბრწყინვალე ფუფუნებაა. იმედი მაქვს რომ დიუგარიც თავის სიტყვას იტყვის, ხოლო ყველანი ერთად „ოლიმპიკის“ თამაშის კლასს ერთიორად აამაღლებენ“ — ამბობს კორბუსი.

„პარი სენ ჟერმენს“ ახალი აღმასრულებელი დირექტორი ჰყავს — შარლ ბიეტრი, რომელმაც გუნდს სათავეში ახალი მწვრთნელი, წარსულში დიდი ფეხბურთელი ალან ჟირესი ჩაუყენა.

როგორც გითხარით, პარიზელთა მთავარი ძალა ნიგერიელი ოკოჩა იქნება. დაცვაში კი გუნდმა ორი მოთამაშე დაკარგა: ალან რომი და პოლ ლე გენი, რომელიც „რენის“ მწვრთნელი გახდა. „პარი სენ ჟერმენის“ მცველთა შორისაა გერმანელი კრისტიან ვიორნსტიც.

იტალიელი თავდასმხმელი, მარკო სიმონე ბიეტრისთან საკონტრაქტო საკითხებზე დავობდა და ამიტომ არ იყო გამორიცხული, ფეხი დაეკრა და სხვაგან წასულიყო, მაგრამ სიმონე დარჩა და ლოკოს და უედეკს („ნანტში“ ოდესღაც თანაგუნდელები იყვნენ) წინა ფორვარდის პოზიციაზე სათამაშოდ ერთმანეთთან კონკურენცია მოუწევთ.

„პარი სენ ჟერმენს“ დაუბრუნდა გაქცეული გოლკიპერი, ბერნარ ლამა. ლამამ ამ გაქცევით მძიმე წლებში გუნდიც მიატოვა და თავადაც დაკარგა საფრანგეთის ნაკრების მთავარი მეკარის ადგილი.

„მონაკოს“ წაუვიდნენ შოტლანდიელი ნახევარმცველი, ჯონ კოლინზი („ევერტონში“ გადავიდა) და ალი ბენარბია („ბორდოში“ გადავიდა), მაგრამ თავდამსხმელები ტიერი ანრი და დავიდ ტრეზეგე კვლავ სამთავროში არიან. ორივე ფორვარდი მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონატში. ტრეზეგე უფრო ხშირად სათადარიგო იყო, ანრი კი ძირითადი მოთამაშე.

ფრანგთა ნაკრების ტრიუმფატორმა, მწვრთნელმა, ემე ჟაკემ ამასწინათ თქვა: „ჩვენს ქვეყანაში მომავალშიც ერთ კითხვის ნიშანს, ერთ სირთულეს ვხედავ“. ვინაა ის ბიჭი, გოლებს რომ გაიტანს?

უედეკო, ლოკო, მორისი და სხვა ხსენებულნი უკვე ცდილობდნენ ამ კითხვის ნიშნის ძახილის ნიშნად ქცევას, მაგრამ ამაოდ.

ამბობენ, „ლანსის“ ბიჭი ტონი ვაირლე ძალიან ნიჭიერიაო.

**რექს გომარი, როიტერი**

## ტრანსფერები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პარი სენ ჟერმენი** | | | | |
| აუგუსტინ ჯეი-ჯეი ოკოჩა | ნიგერია | ნმ | ფენერბახჩე | 17 მილიონი დოლარი (საფრანგეთის რეკორდი) |
| კრისტიან ვიორნსი | გერმანია | მც | ლევერკუზენის „ბაიერი“ | |
| ბერნარ ლამა | საფრანგეთი | მ | ვესტ ჰემი | თავისუფალი ტრანსფერი |
| ნიკოლა უედეკი | საფრანგეთი | თ | ესპანიოლი | 4,6 |
| ადაილტონი | ბრაზილია | თ | პარმა | დროებით ნათხოვარი |
| დომინიკ კასაგრანდე | საფრანგეთი | მ | სევილია | დროებით ნათხოვარი |
| იან ლაშუერი | საფრანგეთი | ნმ | ოსერი | |
| ალან გომა | საფრანგეთი | მც | ოსერი | |
| ნიკოლა ლასპალე | საფრანგეთი | მც | გინგამი | |
| ბრუნო კაროტი | საფრანგეთი | ნმ | ნანტი | |
| იგორ იანოვსკი | რუსეთი | ნმ | ალანია | |
| **მარსელი** | | | | |
| რობერ პირესი | საფრანგეთი | თ | მეცი | 8,3 |
| ფლორიან მორისი | საფრანგეთი | თ | პსჟ | 5,9 |
| ჟოსელინ გურვენეკი | საფრანგეთი | თ | ნანტი | 3,3 |
| დანიელ ბრავო | საფრანგეთი | თ | ლიონი | თავისუფალი ტრანსფერი |
| პატრიკ ბლონდო | საფრანგეთი | მც | ბორდო | ორივეში 8,3 |
| პიტერ ლუსინი | საფრანგეთი | ნმ | ბორდო | |
| **მონაკო** | | | | |
| საბრი ლამუში | საფრანგეთი | ნმ | ოსერი | 3,5 |
| ფრანკ გავა | საფრანგეთი | ნმ | პსჟ | |
| **ლანსი** | | | | |
| პასკალ ნუმა | საფრანგეთი | თ | სტრასბური | |
| სირილ რული | საფრანგეთი | ნმ | ბასტია | |
| დანიელ მორეირა | საფრანგეთი | ნმ | გინგამი | |
| ალექს ნიარკო | განა | ნმ | კარლსრუე | |
| სტეფან დალმატი | საფრანგეთი | თ | შატორუ | |
| **მეცი** | | | | |
| დევიდ რეჯისი | აშშ | მც | კარლსრუე | |
| ლუდოვიკ აზუარი | საფრანგეთი | ნმ | მარსელი | |
| **ბორდო** | | | | |
| ალი ბენარბია | საფრანგეთი | ნმ | მონაკო | |
| ვიქტორ ტორეს-მესტრი | ესპანეთი | მც | ესპანიოლი | |
| ერვ ალიკარტე | საფრანგეთი | მც | მონპელიე | |
| **ოსერი** | | | | |
| სტეფან კარნო | საფრანგეთი | ნმ | მონაკო | 3 |
| ჟერალდ ბატიკლი | საფრანგეთი | ნმ | სტრასბური | |
| ომარ დიენგი | სენეგალი | მც | სამპდორია | |
| ტომაშ კლოსი | პოლონეთი | მც | ლკს ლოძი | |
| **ლიონი** | | | | |
| მარკო გრასი | შვეიცარია | თ. | კანი | 1,5 |
| ვიკაშ დჰორასუ | მავრიტანია | ნმ | ლე ავრი | |
| **ნანტი** | | | | |
| ნესტორ ფაბრი | არგენტინა | მც | ბოკა ხუნიორსი | |
| დიეგო ბუსტოსი | არგენტინა | თ | ფერო კარილ ოსტე | |
| ანტუან სიბირსკი | საფრანგეთი | ნმ | ოსერი | |
| **სტრასბური** | | | | |
| ტედი ბერტინი | საფრანგეთი | ნმ | მარსელი | |
| ოლივიე ეშაფნი | საფრანგეთი | ნმ | მარსელი | |
| ლიონელ რუსელი | საფრანგეთი | თ | გინგამი | |
| **ბასტია** | | | | |
| ჟოსე კლეიტონი | ტუნისი | მც | ეტოილ საჰელი | |
| პატრიკ ვალერი | საფრანგეთი | მც | ბლექბერნ როვერსი | 0,130 |
| მარიუშ პიეკარსკი | პოლონეთი | ნმ | ფლამენგო | |
| **მონპელიე** | | | | |
| ხავიერ გრავლენი | საფრანგეთი | თ | მარსელი | |
| ფრანკ სილვესტრი | საფრანგეთი | მც | ოსერი | 0,915 |
| სირილ სერეზუმი | საფრანგეთი | ნმ | მეცი | |
| **ლე ავრი** | | | | |
| ნიკოლა გებერი | საფრანგეთი | მც | შატორუ | |
| მილინკო პანტიჩი | იუგოსლავია | ნმ | ატლეტიკო (მადრიდი) | 1,3 |
| **რენი** | | | | |
| კრისტოფ რევო | საფრანგეთი | მ | პსჟ | |
| დომინიკ არიბაგი | საფრანგეთი | მც | ტულუზი | |
| სედრიკ ბარდონი | საფრანგეთი | თ | ლიონი | |
| შაბანი ნონდა | ბურუნდი | თ | ციურიხი | 3,8 |
| **ტულუზი** | | | | |
| ოსეანუ კრუზი | პორტუგალია | მც | ლისაბონის „სპორტინგი“ | |
| ვლადიმირ პეტროვიჩი | ხორვატია | თ | კროაცია | |
| **ნანსი** | | | | |
| მარკ ზანოტი | საფრანგეთი | ნმ | ბორდო | დროებით ნათხოვარი |
| **სოშო** | | | | |
| დიდიე ლანგი | საფრანგეთი | ნმ | ლისაბონის „სპორტინგი“ | |
| ვინსენ ფერნანდესი | საფრანგეთი | მ | პსჟ | |
| ფილიპ რაშკე | საფრანგეთი | მც | სტრასბური | |
| ლასლო კლაუში | უნგრეთი | თ | ზალცბურგი | 0,170 |
| **ლორიენი** | | | | |
| ანჯელო ჰუგესი | საფრანგეთი | მ | გინგამი | |
| რიკარდო ემერსონი | ბრაზილია | თ | დეფენსორ მონტევიდეო | |




მსფლიოს ჩემპიონატმა ზურგი გვაქცია, წარსულს ჩაბარდა. ახლა ფრანგ ფეხბურთელებს ახალი სიმაღლეები აქვთ დასაპყრობი — ქვეყნის მორიგი პირველობა დაიწყო

| № | გუნდი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბასტია | | 03.10 | 01.05 | 11.09 | 28.11 | 07.11 | 25.09 | 22.08 | 14.11 | 08.08 | 20.03 | 15.05 | 19.12 | 12.12 | 30.01 | 14.04 | 24.10 | 26.02 |
| 2 | ბორდო | 13.02 | | 28.11 | 12.12 | 15.05 | 14.04 | 30.01 | 19.12 | 01.05 | 11.09 | 24.10 | 17.10 | 22.08 | 08.08 | 25.09 | 14.11 | 20.03 | 07.11 |
| 3 | ლანსი | 20.11 | 05.05 | | 03.04 | 30.01 | 15.08 | 24.04 | 30.10 | 16.01 | 10.03 | 29.08 | 25.09 | 17.10 | 13.02 | 11.11 | 16.12 | 04.12 | 22.05 |
| 4 | ლე ავრი | 16.01 | 15.08 | 07.11 | | 20.03 | 26.02 | 29.08 | 08.08 | 06.02 | 15.05 | 01.05 | 14.04 | 28.11 | 14.11 | 16.12 | 03.10 | 19.09 | 24.10 |
| 5 | ლიონი | 05.05 | 04.12 | 19.09 | 30.10 | | 16.12 | 20.11 | 03.04 | 29.08 | 11.11 | 06.02 | 13.02 | 10.03 | 17.10 | 24.04 | 16.01 | 22.05 | 15.08 |
| 6 | ლორიანი | 03.04 | 11.11 | 12.12 | 17.10 | 22.08 | | 30.10 | 25.09 | 08.08 | 13.02 | 28.11 | 30.01 | 11.09 | 19.12 | 10.03 | 15.05 | 24.04 | 20.11 |
| 7 | მარსელი | 06.02 | 19.09 | 14.11 | 19.12 | 01.05 | 20.03 | | 12.12 | 07.11 | 22.08 | 14.04 | 08.08 | 15.05 | 28.11 | 11.09 | 24.10 | 26.02 | 03.10 |
| 8 | მეცი | 16.12 | 29.08 | 20.03 | 22.05 | 07.11 | 06.02 | 15.08 | | 24.10 | 28.11 | 03.10 | 14.11 | 01.05 | 14.04 | 04.12 | 26.02 | 16.01 | 19.09 |
| 9 | მონაკო | 24.04 | 20.11 | 11.09 | 25.09 | 19.12 | 22.05 | 03.04 | 10.03 | | 17.10 | 04.12 | 30.10 | 11.11 | 30.01 | 13.02 | 15.08 | 05.05 | 16.12 |
| 10 | მონპელიე | 22.05 | 16.01 | 24.10 | 04.12 | 14.04 | 03.10 | 16.12 | 05.05 | 26.02 | | 19.09 | 01.05 | 14.11 | 07.11 | 15.08 | 20.03 | 06.02 | 29.08 |
| 11 | ნანსი | 30.10 | 10.03 | 19.12 | 20.11 | 25.09 | 05.05 | 11.11 | 13.02 | 15.05 | 30.01 | | 22.08 | 12.12 | 11.09 | 17.10 | 08.08 | 03.04 | 24.04 |
| 12 | ნანტი | 04.12 | 26.02 | 06.02 | 11.11 | 03.10 | 19.09 | 22.05 | 24.04 | 20.03 | 20.11 | 16.12 | | 03.04 | 24.10 | 05.05 | 29.08 | 15.08 | 16.01 |
| 13 | ოსერი | 29.08 | 16.12 | 26.02 | 05.05 | 24.10 | 16.01 | 04.12 | 20.11 | 14.04 | 24.04 | 15.08 | 07.11 | | 20.03 | 22.05 | 19.09 | 03.10 | 06.02 |
| 14 | პსჟ | 15.08 | 22.05 | 03.10 | 24.04 | 26.02 | 29.08 | 05.05 | 11.11 | 19.09 | 03.04 | 16.01 | 10.03 | 30.10 | | 20.11 | 06.02 | 16.12 | 04.12 |
| 15 | რენი | 19.09 | 06.02 | 14.04 | 22.08 | 14.11 | 24.10 | 16.01 | 15.05 | 03.10 | 12.12 | 26.02 | 28.11 | 08.08 | 01.05 | | 07.11 | 29.08 | 20.03 |
| 16 | სოშო | 11.11 | 24.04 | 22.08 | 13.02 | 11.09 | 04.12 | 10.03 | 17.10 | 12.12 | 30.10 | 22.05 | 19.12 | 30.01 | 25.09 | 03.04 | | 20.11 | 05.05 |
| 17 | სტრასბური | 10.03 | 30.10 | 15.05 | 30.01 | 08.08 | 14.11 | 17.10 | 11.09 | 28.11 | 25.09 | 07.11 | 12.12 | 13.02 | 22.08 | 19.12 | 01.05 | | 14.04 |
| 18 | ტულუზი | 17.10 | 03.04 | 08.08 | 10.03 | 12.12 | 01.05 | 13.02 | 30.01 | 22.08 | 19.12 | 14.11 | 11.09 | 25.09 | 15.05 | 30.10 | 28.11 | 11.11 | |

…ამ ქალმა, ამ მშვენიერმა ახალგაზრდა ქალბატონმა მოულოდნელად ისეთი რამ მითხრა, ისეთი რამ შემომთავაზა, სახტად დავრჩი, გულმა გამალებით დამიწყო ძგერა და ენაც ჩამივარდა.

არადა, ვიჯექი ჩემთვის მოსკოვში, მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების მთავარ პრეს-ცენტრში და გაცხარებული საგაზეთო წერილს ვწერდი, თან წარამარა საათზე ვიყურებოდი…

ჰოდა, აი, ამ გაწამაწიაში მყოფს თავზე წამომადგა ეს ქალი და მეუბნება: „უკაცრავად, შეიძლება დაგელაპარაკოთ?"

„აუ, შენღა მაკლდი, რა დროს ლაქლაქია?!" გავიფიქრე და უაზროდ მივაშტერდი. მივაშტერდი და რა დავინახე: მზეთუნახავი, ზღაპრების წიგნებიდან ამომხტარი ცისფერთვალება, ნამდვილი მზეთუნახავი, ხორბლისფერი თმები ნახევრად შიშველ მხრებს რომ უფარავდა…

ისეთი იყო, ეშმაკს რომ შეაცდენდა, მე კი ჩვეულებრივი მოკვდავი ვიყავი, ჩემივე სუსტი მხარეებით…

მოკლედ, იმისი კეკლუცობის მერე საგაზეთო წერილს წერტილი დავუსვი, წამოვხტი იქიდანვე რედაქციაში კუდმოჭრილი ფაქსი ვაფრინე და თხუთმეტიოდე წუთში უკვე მიკროავტობუსით აეროდრომისკენ მივქროდით ორნი — მე და ის.

ის თავაწეული იჯდა და ფანჯრიდან შემოვარდნილი ქარი თმებს დროშასავით უფრიალებდა, ხელები კი დაეწყო მოშიშვლებულ, თვალწარმტაც მუხლისთავებზე, თეთრად რომ ანათებდნენ.

და ამ დროს ოცნებით ხელებს ვიფშვნეტდი და ნათელ ცაში ვიცქირებოდი, მაგრამ ზემოთ ჯერ ისევ იმ მიკროავტობუსის ნაცრისფერი სახურავი იყო მხოლოდ.

— ხომ არ გეშინია, უკან ხომ არ გავბრუნდეთ? — მეკითხება ის.

— რას ბრძანებთ, ბავშვობიდან ამაზე ვოცნებობდი. თანაც, თქვენთან ერთად მოსკოვის თავზე კი არა, ჯოჯოხეთში გამოვფრინდები, ჩრდილოეთ პოლუსსაც გადავუფრენ და ჩემი ფოტოაპარატიანად თეთრ დათვებსაც ხახაში ჩავუხტები სურათების გადასაღებად, — ვეუბნები მას. ის კი ამაზე კისკისებს.

— ჰო, მართლა, ლამის უკვე დათვების თავზე მივფრინავთ, მაგრამ ერთმანეთი არ გაგვიცნია, — გამახსენდა მე.

— ჰელენ! — ასე წარმომიდგა. აღარც ის უთქვამს, ვისი „ოვნაა" და აღარც გვარი.

— ჰელენ, იმ აუარებელ ხალხში რაღა მე დამადგით თვალი?

— რამდენიმე დღეა, ყველას გაკვირდებით, ისეთ კაცს ვეძებდი, რომელიც ორივეს შეძლებდა. ბოლოს თქვენ შეგარჩიეთ. ვხედავ ყოველდღე „კოდაკში" შერბიხართ, ამჟღავნებთ, ბეჭდავთ მერე სულ წერთ და წერთ. ფაქსებს აგზავნით. ესე იგი, წერაც გეხერხებათ და გადაღებაც. რამე რომ იყოს ვიდეოზეც გადაიღებთ. ჩვენც ეს გვინდა, რათა მერე ჩვენივე საჰაერო თავგადასავლები აღწეროთ, თანაც ტანსრული არა ხართ, სპორტული ტიპი ჩანხართ.

— ჰო, მოცურავე ვიყავი, მერე მთამსვლელობამაც გამიტაცა, რაღაც-რაღაც მწვერვალებზე ავსულვარ, — თავს ვაწონებ. რადგან ოცნების ასრულებისკენ მივდივარ და ქულების დაგროვებას ვცდილობ.

— ძალიან კარგი. ყოველივე ამას ვალენტინ ეფრემოვს მოვახსენებ.

— ვალენტინ ეფრემოვი? ეგ ვილაა, ძალიან ნაცნობი სახელია, მაგრამ ვერ ვიხსენებ.

— რა თქმა უნდა, ნაცნობი სახელია. ის ხომ ცნობილი რუსი მოგზაურია. ნიჟნი ნოვგოროდის „მოგზაურთა კლუბის" თავმჯდომარეა.

— დიახ, დიახ, გამახსენდა. ეგ ის არ არის, ხან ფეხით რომ მოგზაურობს, ხან იახტით, ძაღლებშებმული მარხილებითა თუ ავტომობილით, მაგრამ საჰაერო ბურთებთან რა კავშირი აქვს?

— პირდაპირი. მას აქვს საჰაერო ნაოსნობის სერთიფიკატი, მთელ რუსეთზე და საზღვარგარეთის ქვეყნებზე გადაფრენის უფლებაც. სწორედ ვალენტინ ეფრემოვი მეთაურობს ექსპედიციას, რომელიც საჰაერო ბურთით რუსეთიდან კანადაში ჩრდილოეთ პოლუსის გავლით უნდა ჩაფრინდეს. ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. გადაფრენა ქრისტეს დაბადებიდან 2000 წლისთავს ეძღვნება. სავარაუდოდ სტარტი ამ შემოდგომაზე იქნება, გადაფრენა კი 12-დან 15 თვემდე გასტანს. ამ ექსპედიციის პირველი ეტაპი დიდი გადაფრენამდე ვარჯიშს, საკუთარი თავისა და საჰაერო ბურთ „სვიატაია რუს"-ის გამოცდას რომ გულისხმობდა, წარმატებით განხორციელდა 1997 წლის დეკემბერში. კუნძულ ახალი ციმბირის მაღალი კონცხიდან ანჟუს კუნძულებამდე ასეულობით კილომეტრზე, უკაცრიელი ყინულების თავზე იფრინეს ნიჟნი ნოვგოროდის ოლქის გუბერნატორის ხელშეწყობით, მეორე ეტაპი კი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ლოცვა კურთხევით განხორციელდება. ეს აქცია იქნება საერთაშორისო, რადგან ამჟამად წყდება საკითხი გუნდში უცხოელი პილოტების ასაყვანად, თუმცა იმავდროულად ექსპედიცია ჩვენი იქნება, რადგან იგი რუსეთის ფედერაციის დროშით განხორციელდება, ხოლო საჰაერო ბურთის გარსზე დაიწერება რუსეთის ქალაქთა დასახელები და მათი საიუბილეო თარიღები. ეს ყველაფერი ფართოდ გაშუქდება პრესაში, რადიო-ტელევიზიით. ექსპედიციის მერე გამოიცემა წიგნები სხვადასხვა ენაზე, ეკრანებზე გავა ფილმები. იქ მოიხსენიებენ ყველას, ვინც გადაფრენის სპონსორი იქნება. ეს სპონსორთა საქმიანი იმიჯის ამაღლებას შეუწყობს ხელს როგორც სამამულოდ, ისე საერთაშორისო მასშტაბით. ეს ყველაფერი პრესის წარმომადგენელთა გარეშე შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა ჟურნალისტებმა, ფოტორეპორტიორებმა, კინოოპერატორებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ ღონისძიების მსვლელობაში.

მაგრამ ცხადია, ბედი ყველას ვერ გაუღიმებს. პრესა შედარებით ფართოდ იქნება წარმოდგენილი მოსკოვში, სტარტისა და ფინიშის ადგილზე, კუნძულ ახალი ციმბირის მაღალ კონცხზე, ჩრდილოეთ პოლუსზე, სადაც თვითმფრინავით სპეციალური რეისი განცორციელდება, კანადაში…

— მაინც, გარდა გადაფრენისა, რა მიზანს ისახავს ეს ექსპედიცია?

ახლა უკვე წმინდა ჟურნალისტურმა ინტერესმა „შემაწუხა".

— ეს აქცია იქნება სულიერი მისია, რომელიც მიზნად ისახავს: ჩრდილოეთ პოლუსზე მიღწევას გადაადგილების ახალი საშუალების გამოყენებით; ექსტრემალურ პირობებში თავის გატანის შესაძლებლობის გამოკვლევას; ფლორისა და ფაუნის ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლას; სამეცნიერო პროგრამით ვიდეო და ფოტოგადაღებებს…

— მაგრამ მანამდე მოსკოვის ცაში ხომ ნამდვილად ერთად გავფრინდებით? — კიდევ ერთხელ ვაზუსტებ უახლოეს გეგმებს.

— ვნახოთ, ალბათ ერთად გავფრინდებით. ისე კი ჯერ არც თქვენი, არც ჩემი და არც არავისი გაფრენა გადაწყვეტილი არ არის. ყველაფერს ადგილზე გავარკვევთ. ამას ყველა პილოტის ერთობლივი ბრიფინგი გადაწყვეტს.

— ბრიფინგი? ამაში რა იგულისხმება?

— სტარტამდე საჰაერო ნაოსნები კითხულობენ მონაწილეთა სიას, აზუსტებენ მას, წყვეტენ გაფრენა-არგაფრენის საკითხს, ადგენენ მარშრუტს… ყველაფერ ამას ესენი ბრიფინგს უწოდებენ. ალბათ გავფრინდებით, თქვენს ბედს ვალენტინ ეფრემოვი გადაწყვეტს. ისე კი, მეც ძალიან მინდა გაფრენა. თქვენი არ იყოს, მეც ამაზე ვოცნებობ.

— თქვენ რა, ხუმრობთ! რა დროს ოცნებაა, გამოცდილი აერონაოსანი მგონიხართ.

— რომელი გამოცდილი, არასოდეს მიფრენია. მე შოუ ბიზნესში ვმოღვაწეობ. აერონაოსნები ჩემი მეგობრები არიან, მთხოვეს ჟურნალისტებზე ინადირეო და აი, მოგინადირეთ.

— აუ! მგონი საქმეს ამაოდ მომაცდინეთ. მაგრამ თუ მართლა გავფრინდები, იცოდეთ, უთქვენოდ ფეხსაც არ მოვიცვლი.

— ეგრე იყოს! მეც ეს მინდა.

ამასობაში აეროდრომზეც მივედით და პირდაპირ ასაფრენ ბილიკზე ქარიშხალივით შევვარდით. ეკიპაჟთა მეთაურები უკვე ბრიფინგობდნენ, სხვები მანქანებიდან ტვირთავდნენ დაკეცილ ბურთებს, კალათებს, გაზის ბალონებს, ცეცხლის საფქვევ აპარატებს. მერე ქშენა-ქშენითა და ცეცხლის სროლით იმ ბურთების ბერვა დაიწყეს. მალე გაიბერა ერთი ბურთი და ცაში გადმობრუნებული ნათურასავით დაეკიდა. მას ამშვენებდა წარწერა „ეკონომიკა ი ჟიზნ", რომელსაც გაზი უეკონომიოდ შთაენთქა და ფერდებში მოექცია. სულ მალე „სტეფან რაზინიც" გაგვეჯგიმა, იქით „მერსედეს ბენცს" ლამის ფერდები დასკდომოდა, აქეთ „სამსუნგი" ჯერ კიდევ ბალახზე გორაობდა, „ვსემირნიე იუნიშესკიე იგრი" კი ჯერაც „ჩანთაში" ჩაკეცილი თვლემდა, თუმცა ცა უკვე გადმობრუნებული ჭრელაჭრულა ვეება ნათურებით მოჭედილიყო.

ერთის გაბერვას კი საშველი არ დაადგა.

ბოლოს, როგორც იქნა, გაშლა იმისი მუცელი, წამოდგა, წამოიმართა და აეყუდა, მაგრამ ღმერთო, დიდებულო, რა აეყუდა — ასე 35-მეტრიანი, ყველასგან სრულიად განსხვავებული ბურთი. თუმცა, სად იყო ბურთი? ეს იყო ბოთლი, არყის ბოთლი, ეტიკეტზე კი ეწერა „სმირნოვ ვოდკა". ნამდვილი „სმირნოვ ვოდკასაგან" გარეგნულად არაფრით განსხვავდებოდა, ზომების გარდა, რა თქმა უნდა.

„სმირნოვი" გალეშილი მთვრალივით აქეთ-იქით ბანცალებდა და თავი ბოლომოღებულივით ჩამოეგდო. მის დაკავებას რამდენიმე კაცი ცდილობდა. მერე კიდევ რამდენჯერმე ცეცხლი შეუნთეს, შეუქშიტინეს და „სმირნოვმაც" თავი წამოწია, გამართა, თავადაც ისევ „სმირნაზე" გაიჯგიმა და ძახილის ნიშანივით დაერჭო. რომ არ აფრენილ-გაფრენილიყო, თოკებით მიწას დააბეს.

ამასობაში ჰელენიც მებდღვნა და სულმოუთქმელად ხელკავით ვიღაცასთან გამაქანა, თქვენი საქმე გადაწყვეტილიაო. ის ვიღაც მაღალი, წვერებიან-სათვალებიანი ვალენტინ ივანოვი აღმოჩნდა. ჩემი თავი ასე გააცნო, „აი, ეს ის ქართული სპორტული გაზეთის კორესპონდენტია, თქვენსავით ბურთებზე რომ გადარეულა".

ვალენტინმა კი ერთი ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მეუბნება: „ვიცი, საქართველოში საჰაერო ბურთებით ჯერ არავინ დაფრინავს და არც აერონაოსანთა კლუბი არსებობს, მაგრამ ედუარდ ამბროსოვიჩი ხელს ხომ შეუწყობს ამ საქმის დანერგვა-განვითარებას?"

— ედუარდ ამბროსოვიჩი ყოველივე კარგი საქმის და სიახლის მხარდამჭერია, რაღა საჰაერო ბურთებით ფრენას აითვალწუნებს, — კითხვითვე ვპასუხობ.

— ძალიან კარგი. იცით, ჩვენ ვგეგმავთ მრავალ საერთაშორისო შეხვედრას და კონფერენციას. ამჟამად ვაარსებთ საერთაშორისო კლუბ „ბოგუსლავს", რომელიც ხელს წეუწყობს ასეთი აქციების ჩატარებას, საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას. ამ საქმეში თქვენც და თქვენს თანამემამულეებსაც შეგიძლიათ გაერთიანება.

— დიახ, ალბათ ჩვენთანაც გამოჩნდებიან ამ საქმის მიმდევარნი. მათ ინტერესს ალბათ ჩემი წერილი და ფოტორეპორტაჟიც შეუწყობს ხელს.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი! — კიდევ ერთხელ მეუბნება ვალენტინ ივანოვი და ხელს მაგრად მართმევს, მერე მოულოდნელად ჰელენივით მეკითხება — ხომ არ გეშინიათ?

გაზეპირებულ პასუხზე ისევ მეუბნება, „ძალიან კარგი, ძალიან კარგი! ახლა კი მოდით თქვენი ეკიპაჟის წევრებს გაგაცნობთ."

გამაცნო!

გამაცნო და მათ შემხედვარეს ახლა კი ნამდვილად გული შემიქანდა — ოთხნი იყვნენ, ოთხივენი დათვებივით დიდები. ვიფიქრე, ამ პატარა დაწნულ კალათაში როგორ დავეტევით და თუ დავეტევით, ემანდ გონდოლს ძირი არ გასძვრეს-მეთქი. ამის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი და მეხუთეც გამოჩნდა. მათი ხელა არ იყო, თუმცა არც ბელი ეთქმოდა, მაგრამ ის ყოფილა, ვინც ყოფილა — იური ალექსანდროვიჩ ბაკლანოვი — ეკიპაჟის მეთაური. რიხიანად მოსალმებაც ვერ მოასწრო და აბა, ჩქარა, საქმეს მივხედოთო. მალე ჩვენმა სეროჟას სიზმარივით ჭრელმა ბურთმა პირი ვეშაპივით დააღო და ცეცხლის ყლაპვა დაიწყო.

*ახლა, მანამ იმისი ფერდები შეივსებ-გაიბერება, ერთი კვირით შევისვენოთ და დიდ გადაფრენაზე თხრობა შაბათისთვის შემოვინახოთ.*

**ავთანდილ გურასაშვილი**
**მოსკოვი-თბილისი**
**ავტორის ფოტოები**


ბურთი ცაში გადმობრუნებული ნათურასავით დაეკიდა


იური ბაკლანოვმა თავისი საქმე იცის

# ფეხი ჩავკარ კალათასა
## ქშენა-ქშენით მოსკოვის ცაში


...ოთხნი იყვნენ, ოთხივენი დათვებივით დიდები


„სმირნოვი" მთვრალი რუსივით ბანცალებდა


სეროჟას სიზმარივით ჭრელმა ბურთმა პირი ვეშაპივით დააღო და ცეცხლის ყლაპვა დაიწყო

# კაცი, რომელიც როკის ებრძოდა

## პირველი შეყრა

მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები



ფურცელი მეჩვიდმეტე

ათიოდე წლის წინათ, ამერიკულ გაზეთებში გამოჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ მილანის განთქმულ „ლა სკალაში“ როლანდ ლა სტრაზა იმღერებს. კაცი იფიქრებდა, რომ ვინმე გამოჩენილ მომღერალზეა ლაპარაკიო, მაგრამ ოპერის მოყვარულთათვის ეს სახელი უცნობი იყო და იტალიური სცენისკენ დაძრული ამერიკელი დიდად საინტერესო ვინმედ არ ჩანდა.

მაგრამ განა ოპერის მოყვარულებმა იცოდნენ, ვინ იყო როლანდ ლა სტრაზა?

როლანდ ლა სტრაზა იყო კომერციული რეისების მფრინავი, ავიაინსტრუქტორი, ტელესერიალების ვარსკვლავი, ჰოლივუდის მსახიობი, რანჩერი... მოკლედ, ყველაფერი და რა გასაკვირია, რომ სიმღერაშიც ეცადა თავი? მაგრამ ეს ყველაფერი, ლა სტრაზა შეიქნა 1961 წლის შემდეგ. ესე იგი, მას შემდეგ, რაც რინგს გამოეთხოვა.

დიახ, როლანდ ლა სტრაზა განთქმული მოკრივე იყო. 50-იანი წლების მძიმეწონოსანთა ომების ისტორია სრულიად წარმოუდგენელია ამ კაცის გარეშე.

ახლა ლა სტრაზა სამოცდაათი წლის კაცია და ფლორიდაში, სმირნა ბიჩზე ცხოვრობს. რის გახსენება უყვარს თავისი საკრივო წარსულიდან? რა თქმა უნდა იმის, რაც კარგად ახსოვთ კრივის ძველ ქომაგებსაც: 50-იან წლებში როლანდი ორჯერ შეხვდა როკი მარჩიანოს. ეს დაუვიწყარი ბრძოლები იყო. როკიმ, ცხადია, იმარჯვა, მაგრამ ლა სტრაზას შეუძლია იამაყოს და იდავოს.



როლანდო ლა სტრაზა დღეს

### დროება

ეს იყო 1950 წელი. ეს რომ ყოფილიყო 1974 წელი ლა სტრაზა-მარჩიანოს პირველი შერკინების გამო პოემები დაიწერებოდა. და ისე, როგორც გვიანდელი დიადი ორთაბრძოლები, ეს ორთაბრძოლაც ლეგენდარულად გამოცხადდებოდა. მაგრამ ეს იყო 1950 წელი, დრო, როცა კრივში მაფიოზოები ტრიალებდნენ და მისი მაყურებელი და ქომაგიც ძირითადად საეჭვო ღირსებისა და არცთუ სავსე ჯიბის ხალხი იყო. ასეთი ხალხი და პლუს ერნესტ ჰემინგუეი, რომელიც კუბაზე კი ცხოვრობდა, მაგრამ დიდ საკრივო სანახაობებს თვალს ადევნებდა და აქებდა.

სხვაფრივ კი, აბა რა ხმაური უნდა ყოფილიყო? 1950 წლის 24 ივნისს „მედისონ სკვერ გარდენში“ ერთმანეთს უნდა შეხვედროდა ორი იტალიელი. მძიმე წონის იმდროინდელი რეიტინგით ლა სტრაზა იყო მეხუთე, როკი მარჩიანო კი მეექვსე. მაშინ მეფობდა ჯო ლუისი და ეს ბრძოლა შინაურ, იტალიურ საქმედ ჩანდა. მარჩიანო დაუმარცხებელი იყო, ოცდაექვსი გამარჯვებიდან, ოცდაოთხი ნოკაუტი მოეხერხებინა. დაუმარცხებელი იყო ლა სტრაზაც. მას ოცდაჩვიდმეტი ბრძოლა მოეგო. აქედან ჩვიდმეტი — ნოკაუტით.

ნიუ იორკელ იტალიელთათვის ეს არ იყო უბრალო შერკინება. ეს რაღაცას ნიშნავდა. ინტელიგენტი ებრძოდა პროლეტარს. ლა სტრაზა და მარჩიანო თითქოსდა იტალიელ იმიგრანტთა ორ სხვადასხვა ფრთას განასახიერებდნენ.

ლა სტრაზა ნიუ იორკის უნივერსიტეტში სწავლობდა, მაღალი, წარმოსადეგი და ინტელიგენტური იყო. ამბობდნენ, რომაელ პატრიციუსთა შთამომავალს ჰგავსო. მარჩიანო კი ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშად იყო ბროკტონში, მასაჩუსეტსში. მათი ორთაბრძოლა განასახიერებდა ჯანისა და გონების ოდინდელ ჭიდილს.

ლა სტრაზა კლასიკური სკოლის მოკრივე იყო, წელგამართული იბრძოდა. სისწრაფე, წონა და ჯანი რომ შესაფერისი ჰქონოდა, ჯო ლუისსაც კი შეადარებდი.

მარჩიანო იყო კიდურებდაგრეხილი, მოუხვენარი, როგორც მაშინ ამბობდნენ, პრიმიტიულად შემტევი გლადიატორი დაკუნთული მკლავებით. მისი ერთადერთი ტაქტიკა თავდავიწყებული შეტევა იყო.

### ბრძოლა

ეჰ, კარგახანია აღესრულა როკი მარჩიანო. ამ დიდ მოკრივეს ტრაგიკულმა შემთხვევამ მოუსწრაფა სიცოცხლე. ამიტომ მოგონებათა წერის საშუალება მხოლოდ როლანდ ლა სტრაზას აქვს.

იმ პირველი ბრძოლისას, ლა სტრაზა დარწმუნებული ყოფილა, რომ გაიმარჯვებდა. მას მშვენივრად ჰქონია შესწავლილი როკის საბრძოლო სტილი და თავისი კლასიკური ტაქტიკით უპირისპირდებოდა მის ქარბორბალასებრ შეტევებს. ბრძოლა თანაბარი იყო. ლა სტრაზა ურტყამდა და განზე გადიოდა, გაურბოდა როკის და ამით გვარიან უპირატესობასაც აღწევდა. მარჩიანოს ერთხელაც არ გამოუვიდა თავისი განთქმული „მკვლელი“ შეტევა. დარტყმათა რაოდენობით ლა სტრაზა იგებდა.

მაგრამ მეოთხე რაუნდი რომ დადგა, მარჩიანომ ალაფრთოვანა „მედისონ სკვერში“ შეკრებილი 13658 მაყურებელი. ის გამხეცებული ხარივით გამოვარდა მოედანზე და ხორცსაკეპიც ჩართო. ლა სტრაზამ ნოკდაუნი იგემა, მაგრამ ოთხ დათვლაში წამოდგა. როკიმ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა მერვე რაუნდში, როცა მარჯვენა მომაკვდინებლად დაჰკრა ლა სტრაზას, მაგრამ ეს საოცარი მუშტი რეფერი ჯეკ უოტსონმა გააუქმა, რახან იმავ წამს მარჩიანომ ქამარს ქვემოთ დარტყმა იკადრა.

მიუხედავად ამ ორი ეპიზოდისა, ბრძოლა მაინც თანაბარი იყო. ლა სტრაზას მხარეს აშკარად მეტი დარტყმა უნდა დათვლილიყო, მაგრამ ეს პროფესიონალებს შორის არ ითვლებოდა. ათრაუნდიანი შერკინება, რინგსგარეთა მსაჯებიდან ერთმა, არტურ შვარცმა 5-4-1-ზე დათვალა მარჩიანოს სასარგებლოდ. მეორემ, არტი აიდალამ, 5-4-1 ლა სტრაზას სასარგებლოდ. რეფერი უოტსონს ფრე 5:5 ჰქონდა ხელთ და უკვე თავად უნდა გადაეწყვიტა.

მალე გამომცხადებელმა ბაფთა შეისწორა ყელზე, მიკროფონს ჩასუნთქა და გამოაცხადა: „ქულებით, რომლებიც რეფერიმ შეაჯერა, გაირკვა, რომ ექვს რაუნდში უმარჯვია მარჩიანოს, ოთხში კი ლა სტრაზას“.

ასე წააგო როლანდ ლა სტრაზამ თავისი პირველი ბრძოლა.

ჟურნალისტებმა დიდი ხმაური ატეხეს.

ასოშეიტედ პრესმა თავისი ვერსია გაავრცელა, რომლის მიხედვითაც ლა სტრაზა გამარჯვებული იყო. არცთუ ცოტა ქომაგს სჯეროდა, რომ როლანდს მოგება ცხვირწინ ააცალეს.

თავად ლა სტრაზა დღეს ასე ამბობს:

„მე ვიცოდი, რომ ეს ძალიან რთული ბრძოლა იყო. მასში გამარჯვებულის აღიარება დიდ ფიქრს მოითხოვდა. ჩვენ, იტალიელებს ასეთი ანდაზა გვაქვს, კაცს თავისი ბოზი ცოლი ღვთისმშობელი ეგონაო. მეც და როკიც დარწმუნებულნი გახლდით, რომ გავიმარჯვეთ. მე იმიტომ მჯეროდა ჩემი გამარჯვებისა, რომ აშკარად მეტჯერ დავარტყი. როკის კი თავისი აქტიურობის იმედი ჰქონდა. რეფერიმ მის სასარგებლოდ გადაწყვიტა, მაგრამ საკრივო მწერლებმა მე ჩამთვალეს გამარჯვებულად. დღეს წარმოუდგენიათ, რომ როკი მარჩიანო მოუხელთებელი და დაუმარცხებელი მოკრივე იყო. დამერწმუნეთ, ასეთი როკი უფრო გვიანდელი ამბავია. ჩვენი პირველი შეხვედრისას ის სულაც არ გახლდათ უჩინარი კაცი. ის ჩვეულებრივი ბიჭი იყო, რომლის გალახვაც დიდი პრობლემა არ იყო“.

### ლოდინი

სანამ ლა სტრაზა — მარჩიანოს პირველი ჩხუბი ჩატარდებოდა, როკის გაქნილმა მენეჯერმა ელ ვეილმა სასტუმროში მიაკითხა როლანდს და უთხრა:

„როლ, ჩვენ თანახმანი ვართ, რომ მეორედაც შევხვდეთ ერთმანეთს“.

„მე ყოველთვის რემატჩის მომხრე ვიყავი“, — მიუგო ლა სტრაზამ.

„კარგი, მაშ ბრძოლის შემდეგ დავილაპარაკოთ“.

„ო'კეი“.

მაგრამ რემატჩი, ჩვენებურად მატჩ-რევანში არ ყოფილა. ვეილი თავიდან იმიტომ თუ იჭერდა თადარიგს, რომ მარჩიანოს იმედი არ ჰქონდა, არ ეგონა, თუ როკი ლა სტრაზას დაამარცხებდა და ამიტომ თავიდანვე გაურიგდა როლანდს, იგულისხმა თუკი წავაგებთ, რევანშის საშუალება ხელში გვექნებაო.

მაგრამ რემატჩი არ ყოფილა. ელმა იუარა, ახლა სხვა ბრძოლისთვის უნდა მოვემზადოთო.

ასე დასრულდა ლა სტრაზას დიდი საკრივო კარიერა.

„ელ ვეილმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ როკის აღარსად შევხვედროდი“, — ჰყვება ლა სტრაზა — „შემდეგ სამ წელიწადს როკის საუცხოო კონტრაქტები ჰქონდა, მე კი ლამის იყო ორი ბოთლი ლუდისთვის მაჩხუბებდნენ. ეს ყველაფერი ვეილის მარიფათზე იყო დამოკიდებული. ის თავის ბიჭს ქაჩავდა“.



როლანდო ლა სტრაზა ოდესღაც

სრულ სამ წელიწადში ლა სტრაზამ გამართა თვრამეტი ორთაბრძოლა, რომელთაგან წააგო ორი — დენ ბუკერონისთან და როკი ჯონსთან, მაგრამ ორივე ამათგანს რემატჩში სძლია და თავიც დაიკმაყოფილა.

თუმცა, სრული და დიდი კმაყოფილება შორს იყო.

იმ სამ წელიწადში როლანდ ლა სტრაზა არ მიუშვეს ჯო ლუისთან, ეზარდ ჩარლზთან, ჯერსი ჯო უოლკოტთან და ბობ მარფისთან საბრძოლველად. ესეც, რა თქმა უნდა, მრავლისშემძლე ელ ვეილის წყალობით ხდებოდა. მან კარგად იცოდა, თუ საიდან ელოდა ხიფათი როკის, რომელიც უკვე უპირველეს მოკრივედ იყო აღიარებული და თავისი ჩემპიონობის ფორმალურ ბრძოლასღა ელოდა.

ელ ვეილი მაშინ მთავარი მატჩმეიკერიც (ჩხუბების მომწყობი) იყო „მედისონ სკვერ გარდენში“. აქ მოკრივის გამოსვლა მის ხელში იყო. ისევე გახლდათ იმ დროის დონ კინგი, ოღრაში მანიპულატორი, რომელსაც პრობლემები არაფერში სჭირდებოდა.

მაგრამ მთელი სამი წლის განმავლობაში როლანდ ლა სტრაზას სჯეროდა, რომ ელ ვეილი კვლავ მოაკითხავდა. მას კვლავ დასჭირდებოდა ინტელიგენტი მოკრივე, რათა სხვაგვარი, უკვე გამარჯვებული და უძლიერესი როკის ხელში ჩაეგდო და ეთქვა: „რაც მაშინ მოხდა, შემთხვევითობა იყო. აი, ახლა ნახეთ...“

ლა სტრაზა მოთმინებით ელოდა ამ დღეს.

### როკის სამი წელიწადი

იმ სამ წელიწადში, როცა როლ ლა სტრაზა, მისივე თქმით, ორი ბოთლი ლუდისთვის ჩხუბობდა, მეჯლანე როკისგან ახალი, მძლავრი როკი იქმნებოდა. ამ როკის ელ ვეილი და მწვრთნელი გოლდმენი მერწავდნენ. როკი აღარ იყო უსწავლელი გლადიატორი, ის დიდ მოკრივედ ქცეულიყო. სწორ და ჭკვიანურ წვრთნას როკი მარჩიანო მწვერვალებისკენ მიჰყავდა.

იმ სამ წელიწადში, მარჩიანომ, ლა სტრაზასი არ იყოს, თექვსმეტი ბრძოლა მოიგო. ოღონდ, არც ერთი არ წაუგია. თექვსმეტიდან თექვსმეტი.

ეს უკვე სხვა კაცი იყო. მობერებული ჯო ლუისი ნოკაუტით დასცა და ნოკაუტითვე წაართვა მძიმე წონის ჩემპიონის ტიტული ჯერსი ჯო უოლკოტს. შემდეგ იყო რემატჩი და პირველსავე რაუნდში, როკიმ ნოკაუტით დასცა უოლკოტი. მსოფლიო დაპყრობილი იყო. მძიმე წონას კვლავ დიდი, თეთრი ჩემპიონი ჰყავდა.

და სწორედ ამ დროს, რევანშიდან ორიოდ დღის შემდეგ, სატელეფონო ზარი გაისმა. ეს ის იყო, რასაც როლანდ ლა სტრაზა სამ წელიწადზე მეტხანს ელოდა. ელ ვეილს თავისი პირობები ჰქონდა:

რიგით მეორე მარჩიანო — ლა სტრაზა ნიუ იორკის პოლო გრაუნდზე გაიმართებოდა 1953 წლის 24 სექტემბერს. სავარაუდოდ, ორთაბრძოლას 45 ათასი მოსეირე დაესწრებოდა.

### და მაინც

როლანდ ლა სტრაზას, ვისთვისაც ეს სამი წელიწადი სულაც არ იყო ალმასვლისა, შეეძლო უარი ეთქვა. როკი მარჩიანო მწვერვალზე იყო, ლა სტრაზა არ გაუშვეს მწვერვალისკენ. და ის მაინც დათანხმდა. დათანხმდა სწორედ იმ დროს როცა ყალიბდებოდა აზრი, რომ როკი მარჩიანო ყველაზე უკეთ შეჯავშნული მძიმეწონოსანია და თითქმის შეუძლებელია მისთვის ფასეულად, შთამბეჭდავად დარტყმა. ესეც ელ ვეილის ხელი იყო, როკიმ დაცვა შეისწავლა და თითქოს ამ საქმისთვის დაბადებული გამოდგა.

არა, მარჩიანო გენიალური მოკრივე იყო! ის გენიალური მოკრივედ იქცა.

ლა სტრაზა კი წინასამატჩო ვარჯიშებს შედგომოდა. დროის უმეტეს ნაწილს მძიმე ტომარასთან ატარებდა, ცდილობდა, თავისი მუშტისთვის მეტი ძალა მიეცა. კრივზე მწერლები ამბობდნენ, რომ ის კვლავაც რჩებოდა შთამბეჭდავ, ჭკვიან მძიმეწონოსნად, თუმცა ბუქმეიქერები თვლიდნენ, რომ ფსონი 6-1-ზეა, როკის სასარგებლოდ.

ესეც იყო, რომ ამ სამ წელიწადში მარჩიანომ ძალიან ბევრი რამ ისწავლა, ლა სტრაზა კი დარჩა იმად, რაც იყო...

*მეორე ბრძოლის ამბავს და ასევე, როკი მარჩიანოს მცირე საკრივო პორტრეტს ორი კვირის თავზე შემოგთავაზებთ.*




მარჩიანო თავში სცემს ლა სტრაზას

## მსოფლიოს ჩემპიონატი

# რუსეთი—ლიტვა: ახალი ოკუპაცია

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

7 აგვისტო

**აშშ 80:77 (38:41) იტალია**

**აშშ: ჰაუკინსი (16), ალექსისი (14), გარისი (11)**
**იტალია: მაიერსი (32), ფუჩკა (11), მენეგინი (9)**

NBA-ს მოთამაშეების გარეშე დარჩენილი ამერიკის ნაკრები რომ ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდა, ამის თაობაზე ყველამ კარგად უწყოდა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში ასეთი უსუსური თამაში? ამას, ალბათ, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე.

აშშ-ის ეროვნული გუნდი რა ხეითოც იყო, ჯერ კიდევ ჯგუფური ტურნირის შეხვედრებში გამოჩნდა. მაშინ ოკეანისგაღმელებმა ლიტვასთან სამარცხვინოდ წააგეს და არც სხვა მეტოქეებთან გამოუჩენიათ მაინც და მაინც თავი. F ჯგუფში ასპარეზობისას კი მათ კინაღამ ესპანეთის ნაკრებმაც აჯობა. ევროპელები მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ და მხოლოდ ბოლო წუთზე დაანებეს ამერიკელებს გამარჯვება.

ნებისმიერი მაღალი კლასის გუნდი ასეთი მწვრე გაკვეთილებიდან სწორ დასკვნებს გამოიტანდა და უაღრესად საპასუხისმგებლო მეოთხედფინალურ თამაშს სათანადო დონეზე ჩაატარებდა. მაგრამ კარგად გარჯას ხომ პირველხარისხოვანი პროფესიონალები სჭირდება. რა ქნას საბრალო რუდი ტომიანოვიჩმა, ამ უსუსტესი ბიჭების ნაცვლად ხომ არ გავა მოედანზე? არადა, სხვაფრივ არაფერი გამოდის.

როდესაც შეხვედრის პირველ წუთებზე ამერიკელები 11:2 წინ გაიჭრნენ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს იტალიელთა გუნდი განწირული იყო. ყოველ შემთხვევაში, იმ დროისთვის აშშ-ის ნაკრების საბოლოო გამარჯვებაში, ალბათ, ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი. მაგრამ...

აპენინელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი თავბრუდამხვევი დასაწყისის მიუხედავად ისინი მეტოქეს არ შეუშინდნენ. ის კი არა, სადღაც პირველი ტაიმის შუაწელში ანგარიშიც გაათანაბრეს 20:20. „სკუადრა აძურაში" ყველაზე მეტად შავკანიანი კარტონ მაიერსი გამოირჩეოდა, რომლის ზუსტ სამქულიანებს ამერიკელებმა ვერაფერი მოუხერხეს. მოთმინებადაკარგულმა ტომიანოვიჩმა რამდენიმე პერსონალური დარაჯიც გამოუცვალა საუცხოოდ მოთამაშე იტალიელს, მაგრამ ამაოდ. 31 ქულის მომტანი მაიერსი ოკეანისგაღმელთათვის თამაშის ბოლომდე გადაუჭრელ პრობლემად დარჩა და ისინი მხოლოდ იღბალს უნდა უმადლოდნენ, დღეს ათენის ოლიმპიურ დარბაზში ნახევარფინალს რომ ჩაატარებენ.

„სკუადრა აძურამ" სამი ქულით მოგე-



REUTERS ათენიდან

აშშ—იტალია. აქაც ზანგი, იქაც ზანგი: ამერიკელი ვენდელი (მარცხნივ) და იტალიელი დამაო

ბული პირველი ტაიმის შემდეგ მეორე ნახევარიც ომახიანად დაიწყო. შეუდარებელ მაიერსს მხარი ამ ჩემპიონატის, ალბათ, საუკეთესო მოთამაშემ გრეგორ ფუჩკამაც აუბა და იტალიელებმაც გაუტიეს. ერთ მომენტში ანგარიშში სხვაობამ 6 ქულასაც მიაღწია — 47:53 აპენინელთა სასარგებლოდ.

აქ ოკეანისგაღმელები, ეტყობა, სინდისის ქენჯნამ შეაწუხა. ასე სუსტად ხომ, ალბათ, არც ერთ ამერიკულ ნაკრებს არც ერთ ტურნირზე არ უთამაშია. ჰოდა, იკადრეს ბიჭებმა თავის შეწუხება.

მაიკლ ჰოუკინსი (16 ქულა), ვენდელ ალექსისი (14 ქულა) და კივენ გარისი ბურთს ბურთზე ათავსებდნენ და სულ რალაც ორწუთიანი მონაკვეთი 12:0 მოიგეს — 59:53. რუდი ტომიანოვიჩმაც შვებით ამოისუნთქა, მაგრამ თურმე მთავარი სატანჯველი წინ იყო. არ გასულა ოთხი წუთიც და ტაბლოზე უკვე იტალიელებისთვის კარგისმაუწყებელი 70:64 კიაფობდა.

ამის შემდეგ იტალიელები განერვიულდნენ თუ სხვა რამის ბრალი იყო, დაიბნენ. როგორც ჩანს, ამერიკასთან სენსაციური გამარჯვების სიახლოვემ ისინი უჩვეულოდ აალელვა და ბავშვურმა შეცდომებმაც არ დააყოვნა. მართალია, იმ პერიოდში ზუსტი ტყორცნებით არც აშშ-ის კალათბურთელები გამოირჩეოდნენ, მაგრამ დაწინაურება მაინც მოახერხეს და მატჩიც სასურველ შედეგამდე მიიყვანეს.

**იუგოსლავია 70:62 (34:31) არგენტინა**

**იუგოსლავია: ბოდიროგა (14), რებრაჩა (13), ჯორჯევიჩი (13)**
**არგენტინა: ესპილი (18), ნიკოლა (10), მილანესიო (8)**

იუგოსლავიის ნაკრები ჩემპიონატის ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტია და ამიტომ ამ წყვილში მოგებას ყველა მათ უწინასწარმეტყველებდა. ბალკანელთა გუნდი ხომ ევროპის საუკეთესო კალათბურთელებითაა დაკომპლექტებული, რომლებსაც საერთო აზრით არგენტინელების წინააღმდეგების დაძლევა თითქოს არ უნდა გასჭირვებოდათ.

მაგრამ სამხრეთამერიკელები თურმე ასე როდი ფიქრობდნენ. მათ პირველივე წუთებიდან უშეღავათო ბრძოლა გაუმართეს იუგებს და მატჩის ბოლომდე კარგა გვარიანად ანერვიულეს. მართალია, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ევროპელები ლიდერობდნენ და შესვენებაზეც სამი ქულის უპირატესობით წავიდნენ, მაგრამ თამაშის შემხედვარე იუგთა გულშემატკივრები მთლად დაწყნარებული მაინც ვერ იქნებოდნენ.

ამის მიზეზი კი მეტად მარტივი გახლდათ. შეხვედრას რაღაც ქვეცნობიერი უსიამოვნო დაძაბულობა ახლდა. ჟელკო ობრადოვიჩის შეგირდები თითქოს იოლად ლაშქრავდნენ მეტოქის კალათს და განსაკუთრებულად არც დაცვაში უჭირდათ, მაგრამ იმავდროულად ვერაფრით ახერხებდნენ ქულებში სოლიდური უპირატესობის მოპოვებას. ის კი არა, მეორე ნახევრის მეათე წუთისთვის მშვენივრად მოთამაშე ხუან ალბერტო ესპილის თავდაუზოგავი, მართლაც გმირული ბრძოლით შეგულიანებულმა არგენტინელებმა რამდენიმე ზუსტი სამქულიანი ტყორცნეს და შვიდი ქულითაც დაწინაურდნენ 49:42.

მოვლენათა ასეთ განვითარებას ნამდვილად არავინ ელოდა. ერთი ხანობა გულგატეხილი იუგები კალბედა ყმაწვილებივით დაიბნენ. ნირწამხდარი კალათბურთელების შემხედვარე გამოცდილი მთავარი მწვრთნელი მიხვდა, რომ თუ ნახევარფინალში გასვლა სურდა, სასწრაფოდ რამე უნდა ეღონა. ობრადოვიჩსაც ბევრი არ უფიქრია და მოედანზე ვეტერანი საშა ჯორჯევიჩი შეუშვა.

ჯორჯევიჩის მოედანზე გასვლა და თამაშის ბედის შემობრუნება ერთი იყო. მრავლისმნახველი მოთამაშე მართლაც ნამდვილი ლიდერივით გაუძღვა თანაგუნდელებს, რომლებმაც ერთიანი ძალისხმევით ორიოდ წუთში ანგარიში გაათანაბრეს 49:49. ამას თავად ჯორჯევიჩის სამქულიანი და ორი ორქულიანი ტყორცნა მოჰყვა და იუგებმაც სოლიდური ფორა მიიღეს.

ჟინიანმა არგენტინელებმა კიდევ ერთხელ სცადეს გაბრძოლება. ანგარიშში ჩამორჩენა ერთ ქულამდეც შეამცირეს 56:57, მაგრამ მეტის გასაკეთებლად ძალა აღარ ეყოთ.

მოკლედ, იუგოსლავიელებმა უმძიმესი ბრძოლის ფასად, მაინც მოიპოვეს ნახევარფინალში თამაშის უფლება, სადაც მათი მეტოქე მასპინძელი — საბერძნეთის ნაკრები იქნება.

**საბერძნეთი 69:62 (40:34) ესპანეთი**

**საბერძნეთი: ეკონომუ (21), კორონიოსი (15), ფასულასი (11)**
**ესპანეთი: როდრიგესი (12), რეიესი (10)**

„ბედნიერი ვარ, რომ დღეს გავიმარჯვეთ. ესპანეთის ნაკრები მართლაც ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში და მისი დამარცხება არც ისე ადვილი გახლავთ. ახლა, როდესაც ეს უმძიმესი მატჩი წარსულს ჩაბარდა, ჩვენი ყურადღება მთლიანად ხვალინდელ ნახევარფინალზეა გადატანილი. გარწმუნებთ, რომ იუგოსლავიელებს ნამდვილ ომს გავუმართავთ და არაფერს დავუთმობთ" — განაცხადა ესპანელებთან მოგების შემდეგ ბერძენთა გამთამაშებელმა ანგელოს კორონიოსმა.

დიახ, იმ საღამოს გამარჯვება სწორედ მასპინძლებს ხვდათ წილად, რადგან ესპანეთის ნაკრები არ აღმოჩნდა ის გუნდი, 18 ათასიან პირთამდე სავსე ათენის ოლიმპიურ დარბაზში შექმნილ არანორმალურ ზეწოლას რომ გაუძლებდა და ბერძნებს დაამარცხებდა.

მთელი მატჩის განმავლობაში გუნდები უმკაცრესად თამაშობდნენ დაცვაში და ცდილობდნენ, მეტოქეთა სახიფათო თავდამსხმელებისთვის შეტევის საშუალება არ მიეცათ. ამის მიუხედავად, ორივე ნაკრებში გამოიძებნენ სნაიპერები, რომლებიც მჭიდრო მეურვეობის დაძლევას თავისუფლად ახერხებდნენ. მასპინძელთაგან ლიდერის როლი ნიკოს ეკონომუმ ითავა. მან იმ დღეს მითვლილი 21 ქულიდან უმეტესი მაშინ ჩააგდო, როდესაც მის ნაკრებს ყველაზე მეტად უჭირდა.



საბერძნეთი—ესპანეთი. ფასულასმა და მისიანებმა ესპანელებს შანსი არ დაუტოვეს

ეკონომუს არც ესპანელი ერეროსი და როდრიგესი ჩამორჩნენ. განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა იყოჩაღა და სწორედ მისი წყალობით იყო, რომ ესპანელებმა პირველი ტაიმი ოდენ ექვსი ქულის სხვაობით წააგეს.

მეორე ნახევარში თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა. ესპანელები თავიანთი მთავარი მწვრთნელის მითითებებს ზედმიწევნით ასრულებდნენ და ცდილობდნენ, მეტოქისთვის საგრძნობლად დაწინაურების საშუალება არ მიეცათ. მართლაც, 45:40-ს 47:46 მოჰყვა, ხოლო 59:52-ს — 59:58.

შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე დადგა. მაშინ, როცა ანგარიში 61:58 იყო, გეორგი ბალოიანისმა და ფრანსისკო ალვერტისმა სამქულიანები ზუსტად ტყორცნეს და ტრიბუნებზე შეკრებილ გულშემატკივრებს გამარჯვებულის ვინაობის თაობაზე ყოველგვარი ეჭვები გაუფანტეს.

დღეს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბერძნები ფინალში გასასვლელად იუგოსლავიის ნაკრებს ხვდებიან, რომელთანაც E ჯგუფში მეტად უსიამოვნო მარცხი განიცადეს 56:70.

მატჩები მე-9-მე-11 ადგილებისთვის

**ბრაზილია 76:64 (38:27) პუერტო რიკო**

**ბრაზილია: კლაფკე (19), ვიანა (14), პეგოლო (14)**
**პუერტო რიკო: ვეგა (18), ორტისი (15)**

**ავსტრალია 88:71 (39:35) კანადა**

**ავსტრალია: გეიზი (33), ენსტი (20), მაკინონი (16)**
**კანადა: ჰამილტონი (16), ნიუტონი (12), ბარეტი (12)**

8 აგვისტო

მატჩი მე-11 ადგილისთვის

**12.00 პუერტო რიკო — კანადა**

მატჩი მე-9 ადგილისთვის

**14.00 ავსტრალია — ბრაზილია**

მატჩები მე-5-მე-7 ადგილებისთვის

**16.15 არგენტინა — ესპანეთი**

**18.30 იტალია — ლიტვა**

ნახევარფინალები

**20.45 იუგოსლავია — საბერძნეთი**

**23.00 რუსეთი — აშშ**

**ირაკლი ხმელიძე**



# რეზო ჩომახიძე: საქართველოსთვის ვთამაშობ!

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

მთავარ მწვრთნელთან, იტალიის ნაკრების ყოფილ მეკარე უმბერტო პანკაროსთანაც ურთიერთობა ვერ ამეწყო, იშვიათად მათამაშებდა და, შეიძლება ითქვას, სეზონი ჩავაგდე. თუმცა კლუბის თავკაცებმა მაინც მომცეს შანსი და იტალიის თასის გათამაშებაში მწვრთნელს ჩემი ძირითადში დაყენება მოთხოვეს, მეც თავი არ დამიზოგავს, ძლიერად ვითამაშე და გოლიც ბევრი გავიტანე. ამის მერე პანკარო გაუშვეს, მის ნაცვლად კი „რარინტერის" ყოფილ მოთამაშესა და კაპიტანს რიკარდო ტემპეტონს ჩააბარეს გუნდი, მომდევნო სეზონში მეოთხე ადგილზე გავედით. მე კი ბომბარდირთა დავაში მესამე ვიყავი. დროთა განმავლობაში სათამაშო კონდიციებს ვიუმჯობესებდი და იტალიის ჩემპიონატებში სულ უფრო კარგად ვთამაშობდი.

**— ქართველებს და იტალიელებს ხასიათითა და ტემპერამენტით ერთმანეთს გვამსგავსებენ, ალბათ ბევრ მეგობარსაც შეიძენდი ფლორენციაში.**

— მართლაც ბევრი ახლობელი შევიძინე და არა მარტო იტალიელთა შორის, ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა გაბრიელ ბატისტუტასთანაც.

**— „ფიორენტინას" არგენტინელთან? ცნობილ ბატიგოლთან?**

— სწორედ მასთან, ბატისტუტა „ფიორენტინას" გოლეადორი იყო, მე კი „რარინტერის", ჰოდა, ხშირად გვიწვევდნენ ხოლმე ერთად ათასგვარ ღონისძიებებზე. გაბრიელი გულთბილი, უბრალო პიროვნებაა და მასთან საერთო ენის გამონახვა არ გამჭირვებია.

**— ალბათ უკვე დროა, შენი კარიერის რუსულ პერიოდზეც ვილაპარაკოთ.**

— კი ბატონო. იტალიაში თამაშისას დავრწმუნდი, რომ კიდევ ბევრი შემეძლო, ძალების მოსინჯვა სანაკრებო დონეზე — ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზეც მინდოდა, გარდა ამისა, ოლიმპიადაზე თამაში ოცნებად მაქვს გადაქცეული. აბა, რა სჯობს შენი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ასპარეზობას, მაგრამ ჩვენთან, საქართველოში წყალბურთისთვის აღარავის ეცალა და ამიტომაც რუსთა ნაკრებში ამოვყავი თავი. რუსებს კი, როგორც იცით, ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ჰყავთ და ყოველთვის დიდი მიზნებისთვის იბრძვიან.

**— რუსეთის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი გახდი, ამასწინათ კი კეთილი ნების თამაშები მოიგეთ, გარდა ამისა, შენმა ახალმა კლუბმა მოსკოვის „დინამომ" ქვეყნის ჩემპიონობაც მოიპოვა. ამ წარმატებებში მართლაც დიდია შენი წვლილი.**

— მოდი, ჯერ მოსკოვის „დინამოზე" ვთქვათ. ძლიერი კლუბია და შედეგებიც შესაბამისი აქვს, წლევანდელ რუსეთის პირველობაზეც კარგად ვითამაშეთ და ფინალურ, დაძაბულ და უშეღავათო სერიაში ვოლგოგრადის „სპარტაკ-ლუკოილს" 3:2 ვძლიეთ. ზუსტად არ მახსოვს, რამდენი გოლი გავიტანე, თუმცა თუ თავის ქებაში არ ჩამომართმევთ, საკმაოდ კარგად გავისარჯე. მთავარი მწვრთნელი მაიტ რიისმანიც კმაყოფილია ჩემით და პრესაც მაქებს. „დინამოსთან" სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ამ ხნის მანძილზე ამ გუნდში ვიქნები. აქვე გეტყვით, რომ მოსკოველებთან ურთიერთობის დამყარებაში დიდად დამეხმარა ბატონი გივი ჩიქვანაია, რომელმაც თავისი ნაცნობობა და ავტორიტეტი გამოიყენა და კარგი რეკომენდაციაც გამიწია. რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პოპოვმა თავისთან მიხმო, ძლიერ ტურნირებში თამაშის შესაძლებლობა მეძლეოდა და დავთანხმდი მათ წინადადებას — რუსეთის მოქალაქეობა მიმეღო. მოკლედ, 1996 წლიდან რუსეთის წყალბურთელთა ნაკრების სრულუფლებიანი წევრი ვარ და როგორც თქვი, მათთან ერთად არაერთ დიდ საერთაშორისო ტურნირებზე ვიასპარეზე და გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიე.

**— ოლიმპიადაზე თამაში მსურსო, წეღან თქვი. სიდნეიში ალბათ ოქროსთვის იბრძოლებთ, არადა არც სხვები დათმობენ რამეს უბრძოლველად.**

— დათმობით ვინ რას დაგითმობს. მსოფლიოში ექვსი ტოლძალოვანი გუნდია — იტალიას, ესპანეთს, იუგოსლავიას, უნგრეთს, აშშ-სა და რუსეთს თანაბრად ძალუძთ ნებისმიერი შეჯიბრის მოგება და მათ შორის ოლიმპიური თამაშებისაც. თან იღბლის ფაქტორიც არ უნდა გამოვრიცხოთ, წყალბურთში ყველაფერი ხდება, თუმცა მე ყველანაირად ვეცდები, სიდნეიში წარმატებას მივაღწიო.

**— თუ არ ვცდები, რუსეთის ნაკრებში შენს გარდა კიდევ ბევრი არარუსია.**

— ეგრეა, რუსებმა ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ძლიერ წყალბურთელს მოქალაქეობა მისცეს, ჩემთან ერთად მათ ღირსებას უკრაინელი, მოლდოველი სპორტსმენებიც იცავენ.

**— რეზო, საქართველოში დაბრუნებაზე თუ გიფიქრია, აგერ ახლახან ჩვენმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები ჩაატარა, ძლიერი და, რაც მთავარია, გამოცდილი ცენტრალური თავდამსხმელი არ გვყავდა, ნაკრების თავკაცებმა საშველად თამაზ კუტივაძეს მიმართეს, რომელიც რვა წელია, აქტიურ სპორტულ ცხოვრებას ჩამოშორდა. აი, შენ რომ გვყოლოდი...**

— ქართველი კაცი ვარ და ეროვნულ გუნდში თამაშზე უარს როგორ ვიტყვი. 90-იანი წლების დასაწყისში შესაძლებლობა გვქონდა ძლიერი ნაკრები შეგვექმნა, იმ პერიოდში თბილისის „დინამოში" კარგი ბიჭები თამაშობდნენ, ბევრ მათგანს საბჭოთა ჩემპიონატების სკოლა ჰქონდა გამოვლილი, ვიყავით ახალგაზრდა წყალბურთელებიც, მართალია გამოუცდელები, მაგრამ პერსპექტიულნი და რაც მთავარია, მონდომებულნი. აი, მაშინ რომ სერიოზულად მიგვეხედა საქმისთვის, ნაკრებისთვის პირობები შეგვექმნა, დამერწმუნეთ, ატლანტის ოლიმპიადაზე მოვხვდებოდით და თავს ნამდვილად არ შევირცხვენდით. ჩვენ ეს შანსი ხელიდან გავუშვით, ამიტომაც ბევრმა გული აიცრუა წყალბურთზე, სხვა საქმეს მოჰკიდა ხელი, ხოლო ზოგიერთმა, მათ შორის მე და ზვიად დავითიანმა თავს ვუშველეთ, უცხოეთს მივაშურეთ, ძლიერ კლუბებში ვითამაშეთ და გარკვეულ შედეგებსაც მივაღწიეთ. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში წყალბურთი ფაქტობრივად მკვდარი იყო, ჩვენი დღევანდელი ნაკრები, მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი ძლიერი წყალბურთელი თამაშობს, მაინც სუსტია და არა მგონია, დიდ წარმატებებზე იფიქროს. მაგრამ ერთიც უნდა ვთქვა, თუ ჩვენს ბიჭებს ნორმალურ სავარჯიშო პირობებს შეუქმნიან, საერთაშორისო ტურნირებზე ხშირად გაგზავნიან და საერთოდ თუ წყალბურთს მოწყალე თვალით გადმოხედავენ, შეიძლება მეც დავბრუნდე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მოგვხედეთ და შედეგებიც იქნება.

**— ამასწინათ ზვიად დავითიანმა საუბრისას გვითხრა: შესაძლოა რუსეთში, კერძოდ, მოსკოვის „დინამოში" ან ვოლგოგრადის „სპარტაკ ლუკოილში" გადავიდეო — მოკლედ, კიჭა ან შენი თანაგუნდელი გახდება ან მეტოქე.**

— კიჭას თანაგუნდელობა რომ სჯობს მასთან მეტოქეობას, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. იგი მსოფლიო დონის მოთამაშეა და ნებისმიერი კლუბი ინატრებდა.

**— თითქმის ყველა სპორტსმენს მეტსახელი აქვს, არც შენ იქნები გამონაკლისი.**

— ბავშვობიდან „ჩომა" შემარქვეს, იტალიელებიც ასე მომმართავდნენ და რუსებიც. თქვენც ჩომა დამიძახეთ.

**— რას აკეთებს ჩომა თავისუფალ დროს?**

— თავისუფალი დრო იშვიათად მრჩება, მაგრამ როცა შესაძლებლობა მაქვს, ზამთარში თხილამურებით ვსრიალებ, კალათბურთის თამაშიც ძალიან მიტაცებს.

**— დაოჯახებას არ აპირებ?**

— არა, ჯერ მაგაზე სერიოზულად არც მიფიქრია.

**— დაბოლოს, სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

— წინ მეტად რთული სეზონი მელის, ცალკე რუსეთის ჩემპიონატი და ცალკე ნაკრების თამაშები, გაისად ევროპის ჩემპიონატია, მერე კი მსოფლიოს თასის გათამაშება, სადაც პირველ სამ ადგილზე გასული გუნდები სიდნეის ოლიმპიურ საგზურებს მოიპოვებენ, მეც ცოტა ხნის დასვენების შემდეგ ამ თამაშებისთვის მოვემზადები.

**— მოკლედ, თბილისიდან მალე გაემგზავრები, მაგრამ ერთს კი უნდა დაგვპირდე, დროდადრო მოსკოვშიც შეგეხმიანებით და იმედია, ინტერვიუებზე არ დაგვზარდები.**

— დაგზარდებით კი არა, პირიქით, რაც დაგაინტერესებთ, ყველაფერზე ვისაუბროთ. ერთიც უნდა გითხრათ, არ მინდა, საქართველოში რეზო ჩომახიძე დაავიწყდეთ, იცოდეთ, ჩომა ყველგან საქართველოსთვის თამაშობს.

**სოსო ძოტორეიშვილი**

REUTERS ათენიდან

ჩვენს მოჭიდავეებს წლეულს ძალიან გადატვირთული კალენდარი აქვთ. ევროპის პირველობები უკვე გაიმართა, კარს კი მსოფლიოს ჩემპიონატები მოგვადგა. სამსოფლიოსჩემპიონატო ხალიჩაზე გასვლა პირველებს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს მოუწევთ 27-30 აგვისტოს შვედეთში და ჩვენც სწორედ მათზე გავამახვილეთ ყურადღება

# ბეგი დარჩია მედალს დაგვპირდა



ბადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი ჯინჭველაშვილი, ემზარ მახარაძე (შუაში) და ბეგი დარჩია

თში დებიუტი ექნებათ. ეს ასეთი დონის ასპარეზობებისთვის, თორემ ახალგაზრდული შეჯიბრებების კვალობაზე მათ´ არც გამოცდილება აკლიათ და არც ტიტულები. ფუტკარაძემ ყურადღება სწორედ გივი კარტოზიას ტურნირზე მიიპყრო, როცა ჩემპიონობასთან ერთად თავის აქტივს ნახევარფინალში ბრწყინვალე მოგებაც მიათვალა ევროპის ერევნელ ჩემპიონ კარენ მნაცაკანიანთან. მას იმთავითვე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მიზეზთა გამო ორი წელი გაუცდა, ახლა კი ომახიანი დაბრუნება მოიწყო და ამით დაკმაყოფილებას როდი აპირებს.

ნაკრების ბირთვი გივი კარტოზიას ამასწინანდელი ტურნირის შედეგების მიხედვით შეირჩა, თუმცა ორ, 58 და 97 კგ წონაში, შვედეთში წამსვლელთა საქმე სულ ბოლო მომენტში გაირკვა — პირველში საქმეს უფულობა აფერხებდა, მეორეში კი კონკურენცია. საბოლოოდ ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდა და ნაკრები სკანდინავიას ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება: 58 კგ — ჯამბულ ფუტკარაძე (ბათუმი); 63 — აკაკი ჩაჩუა (სამტრედია); 69 — გიორგი ჯინჭველაშვილი (ქუთაისი); 76 — ხვიჩა ბიჩინაშვილი (სართიჭალა); 85 — ემზარ მახარაძე (ბაღდათი); 97 — გენადი ჩხაიძე (ბათუმი); 130 — მირიან გიორგაძე (თერჯოლა).

როგორც ვხედავთ, ევროპის ჩემპიონატთან შედარებით ნაკრები საგრძნობლად გადახალისებულა. არ იქნება კობა გულიაშვილი, რომელიც აკაკი ჩაჩუას წონაში გადავიდა და მასთან კონკურენციამ ნაკრებში ადგილი დააკარგვინა. სამაგიეროდ, ტარიელ მელელაშვილის ჯობნის ხარჯზე სანაკრებო ადგილი დაიბრუნა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა გიორგი ჯინჭველაშვილმა. რაც შეეხება ნაკრების ორ ახალწვეულს — ფუტკარაძესა და ჩხაიძეს, მათ შვედე-

უნივერსიადის ჩემპიონ გენადი ჩხაიძის დიდ სპორტში სენსაციურ გამოჩენაზე ადრეც გაუწყეთ და ახლა იმასღა გეტყვით, რომ მან საკონტროლო შეხვედრაში დაამარცხა ზაზა სილაგაძე, რომელსაც ამ წონაში, აგერ უკვე რამდენიმე წელია, ტოლი არ ჰყავდა.

როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ გვითხრა, ნაკრები შვედეთში არასრული შემადგენლობით მიემგზავრება, რადგან 54 კგ წონის ლიდერ ვაჟა ომანიძეს ხელის ტრავმა აწუხებს. მისივე ცნობით, გუნდი დააფინანსა სპორტის დეპარტამენტმა, მხოლოდ ერთი — ფუტკარაძე წავა აჭარის სპორტდეპარტამენტის ხარჯით. საქართველოს სპორტის დეპარტამენტისვე თანხებითვე მოხერხდა შეკრების მოწყობა მინსკში. ჩვენი გუნდი ბელარუსში ორშაბათს მიემგზავრება და შვედეთს იქიდან ეწვევა.

რაც შეეხება სამსოფლიოსჩემპიონატო პროგნოზებს, ამ საქმეში ყოველთვის თავშეკავებულმა ბეგი დარჩიამ ამჯერადაც ტრადიციულად დუმილი ამჯობინა, თუმცა ის კი თქვა, უმედლოდ არ დავბრუნდებითო.

**მირანდა ზედელაშვილი**



# ზღვის მგელი მგლობას არ იშლის

თბილისელი ნუგზარ კიკნაძე, ბევრი სხვა თანატოლივით ბავშვობიდან ოცნებობდა იალქნიანი ნავით გარსაქვეყნო მოგზაურობაზე. მაგრამ თანამემამულეთაგან განსხვავებით ნატვრის ახდენა განიზრახა. მან დააპროექტა და საკუთარი ხარჯითა და ხელით დაიწყო ნავის მშენებლობა. ლამის მთელი 15 წელი მოანდომა 11 მეტრი სიგრძის, 3 მეტრი სიგანისა და 3,5-ტონიანი წყალწყვის ნავის მშენებლობას. მას ცოლის სახელი „ლინა" უწოდა და სამი წლის წინათ გზას გაუდგა.

ვინც ნუგზარ კიკნაძის იმ მოგზაურობას თვალ-ყურს ადევნებდა, ეხსომება, რომ ჩვენმა ზღვაოსანმა უკან მოიტოვა: ფოთი, სტამბოლი, ათენი, კითირია, მერე ათენში დაბრუნდა, გამოიზამთრა და ისევ გზა განაგრძო პალერმოსკენ. მერე იყო მალაგა, გიბრალტარი, ლას პალმასი, ლავიში... მას სამჯერ გაუტყდა საჭე. მესამედ რომ შემთხვა „ავარია", ნავი ლუზაზე დატოვა და მაშველის მოსაყვანად გასწია, მაგრამ მეკობრეებმა მისი ნავი გაძარცვეს, დაარბიეს და ბაგირებიც გადაუჭრეს. ბედის ანაბარად დარჩენილი „ლინა" ტალღებმა აფრიკის ნაპირებზე გარიყა.

სამწუხაროდ, ნუგზარი მაშინ ფინანსური დაპირებებით გაისტუმრეს მხოლოდ, რეალურად კი იგი ხან ერთ პორტში, ხან მეორეში ამაოდ ელოდა ფულს, რამაც ნავის გარემონტებისა და მოგზაურობის გაგრძელების საშუალება არ მისცა.

ასე გასრულდა ის ოდისეა, მაგრამ ნუგზარ კიკნაძე ბედს მაინც არ ეპუება. მან ამ გაზაფხულის პირზე დაიწყო ახალი ნავის მშენებლობა, რომელიც თავის წინამორბედზე უფრო დიდი, კოხტა და კომფორტული იქნება. მშენებარე საკრეისრო იახტის სიგრძე 14 მეტრია, სიგანე — 4,3 მეტრი, წყალწყვა — 8 ტონა.

ნავის კორპუსი გუშინ ვნახეთ „საქაგრომანქანის" საამქროში, სადაც იგი შენდება. გუშინ იქ მისმა პატრონმა და მშენებელმა პრეს-კონფერენციაზე მიგვიწვია.

როგორც ნუგზარ კიკნაძემ გვითხრა, ამჯერად იგი გარსაქვეყნო მოგზაურობას თავის მოწაფეებთან ერთად „გაიოლებული" მარშრუტით აპირებს, მერე კი მარტო სურს ბედის ცდა. ეკიპაჟის წევრებად მას შეურჩევია სანდრო რამიშვილი, გიორგი ლიპარტელიანი და ვანო გოდერძიშვილი, რომლებიც ჩვენს ზღვის მგელს ნავის მშენებლობაშიც ეხმარებიან.

ძველი გამოცდილებით, ნუგზარ კიკნაძეს სხვათა ფინანსური დახმარების დიდი იმედი აღარ აქვს. ამიტომ ის და მისი კომპანიონები სხვებს სთავაზობენ ნიჩბიანი ნავისა და სხვადასხვაგვარი იალქნიანი ნავების მშენებლობას, გასამრჯელოთი კი სურთ თავიანთი „ხომალდის" გასრულება, მისი აღჭურვა და სამოგზაურო თანხის შეგროვება. თუ ვინმეს დააინტერესებს ამგვარი ნავები, მათ შეუძლიათ თავად ნუგზარ კიკნაძეს მიმართონ საბურთალოზე, „საქსოფლტექნიკის" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარ საამქროში (ჯიქიას ქ. №9), სადაც ნავი შენდება (ტელ: 32-21-47; 32-36-46).

პრეს-კონფერენციაზე ისიც შევიტყვეთ, რომ მშენებარე ნავის უფასოდ დაზღვევა განუზრახავს „ინტერდაზღვევას", მოგზაურობისას კი საქართველოსთან კავშირში ნუგზარ კიკნაძეს ასევე უსასყიდლოდ, როგორც წინათ, დაეხმარებიან ჩვენი რადიომოყვარულები. იმედია, „ინტერდაზღვევასა" და რადიომოყვარულებს ამ კეთილ საქმეში მიმდევრები გამოუჩნდებიან.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# თუ თამაში არ გინდათ...

ტორონტო. კანადა.
DU MAURIER OPEN. ჰარდი.
საპრიზო 2,45 მილიონი $

„მერსედეს ზე-9-ის" სერიის რიგით მეექვსე ტურნირი, დიუ მორიე ოუფენ", იგივე კანადის ღია პირველობა, სხვა მსგავსი ტურნირებიდან განსხვავებით მუდმივად ერთ ქალაქში არ ტარდება — მას რიგრიგობით მონრეალი და ტორონტო მასპინძლობს. ძნელი დასადგენია, ეს არის მიზეზი თუ სხვა რამ, მაგრამ როდესაც ATP ტურის ხელმძღვანელობამ ზე-ცხრის ზე-შვიდად გადაკეთება მოიწადინა, ჰამბურგთან ერთად გასაუქმებელთა სიაში „დიუ მორიეც" შეიტანა, რითაც კანადელთა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია — ტერიტორიით აშშ-ზე დიდ ქვეყანაში ხომ ამის გარდა არც ერთი ხეირიანი პროფესიონალური საჩოგბურთო ტურნირი არა აქვთ. თუმცა ჯერჯერობით ATP-ის გეგმები მხოლოდ დამუშავების პროცესშია და კანადის ღია პირველობაც განაგრძობს არსებობას.

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა პიტ სამპრასმა უიმბლდონის მეხუთედ მოგების შემდეგ თავისი პირველი მატჩი სწორედ ტორონტოში გამართა. ერთთვიანი შესვენება იმით იყო გამოწვეული, რომ შუაგულ ივლისში ამერიკელმა ფეხის გულზე გაჩენილი მეჭეჭი, რომელიც უკვე კარგა ხანია აწუხებდა, ქირურგის დახმარებით მოიშორა და მომდევნო ორი კვირის განმავლობაში მოძრაობა უჭირდა.

სამპრასს მეორე წრეში (პირველიდან განთავისუფლებული იყო) მეტად იოლი მეტოქე ჰყავდა — 33 წლის იტალიელი ჯანლუკა პოცი, ტურის უხუცესი პროფესიონალი ჩოგბურთელი და მატჩის ანგა-



პიტ სამპრასი

რიშიც ძალების თანაფარდობის შესაბამისი გამოდგა — 6:1, 6:2 ამერიკელის სასარგებლოდ. სამპრასმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მეთორმეტე დიდი სლემის ტურნირის მოგებასთან ერთად, რაც მას რეკორდის მფლობელ როი ემერსონს გაუთანაბრებს, პირველი ჩოგნობაც აქვს ამოჭრილი გულში, ზედიზედ ექვსი წლის მანძილზე ამის გაკეთება კი აქამდე არავის მოუხერხებია. „ეს ჩემი დიდი სურვილია, თუმცა საკუთარ თავს სეზონის პირველი ოთხი თვის განმავლობაში უხეირო თამაშით აშკარად ცუდი სამსახური გავუწიე".

მეორე წრის ყველაზე დიდი მოულოდნელობა ტურნირზე მეორედ განთესილი მსოფლიოს მესამე ჩოგნის — პეტერ კორდას მარცხი იყო. სამპრასის არ იყოს, უიმბლდონის მეოთხედფინალში დაშავებული ჩეხი ლონდონის შემდეგ პირველ მატჩს ატარებდა და ამერიკელ ვინსენტ სპედეას ვერაფერი მოუხერხა 7:5, 1:6, 4:6.

კორდას კინაღამ მისი უიმბლდონურ მეოთხედფინალში დამმარცხებელი ტომ ჰენმანიც (7) მიჰყვა. კიკინიან-საყურიანი არგენტინელი გილერმო კანასი ინგლისელს 6:3, 5:2-ს უგებდა, მაგრამ კარიერის საუკეთესო გამარჯვებასთან მიახლოებული მეტისმეტად ანერვიულდა, რატომღაც უსარგებლო აბრაგნების რტყმას მიჰყო ხელი და საბოლოოდ ბრიტმა იმარჯვა 3:6, 7:6(7:5), 6:2.

ერთი წლის წინ ამ შეხვედრას, ალბათ, 3:6, 3:6-ს წავაგებდი, მაგრამ ამჟამად საკუთარი ძალების მეტი რწმენა გამაჩნია და მატჩის ბედის შემობრუნებაშიც ეს დამეხმარება" — ჰენმანმა მთელი დამსახურება საკუთარ თავს მიუთვალა.

**მეორე წრე:** **პატრიკ რაფტერი (3, ავსტრალია) — ნევილ გოდვინი (სამხრეთ აფრიკა) 7:5, 6:3; ევგენი კაფელნიკოვი (4, რუსეთი) — ტოდ მარტინი (აშშ) 6:2, 6:3; იონას ბიორკმანი (5, შვედეთი) — სკოტ დრეიპერი (6, ავსტრალია) 7:6(7:4), 6:3; რიჩარდ კრაიჩეკი (6, ჰოლანდია) — დევიდ ნაინკინი (აშშ) 6:4, 6:4; ანდრე აგასი (8, აშშ) — გიიომ რაუქსი (საფრანგეთი) 6:4, 7:5; ალბერტ კოსტა (9, ესპანეთი) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:4, 6:2; გორან ივანიშევიჩი (10, ხორვატია) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:3, 6:2; ტომი ჰაასი (გერმანია) — ფაბრის სანტორო (15, საფრანგეთი) 7:6(10:8), 6:2.**

მერვედფინალური შეხვედრები, რომლებიც ტორონტოში ჩვენი დროით პარასკევს დილით უნდა გამართულიყო, .წვიმის გამო ჩაიშალა. მთელ ტურნირზე მხოლოდ სამი გეიმი ჩატარდა და სამივე მეოთხედ განთესილმა ევგენი კაფელნიკოვმა მოიგო — მალივაი ვაშინგტონთან. შემდეგ კი ჯერ წამოწვიმა, მერე შხაპი თავსხმაში გადაიზარდა და მაყურებლები უმაღლესი კლასის ჩოგბურთის გარეშე დარჩნენ: ანდრე აგასისა და გორან ივანიშევიჩის, მარკ ფილიპუსისისა და პატრიკ რაფტერის მატჩები გადაიდო, რაც იმას ნიშნავს, რომ მოთამაშეებს მერვედფინალებისა და მეოთხედფინალების ჩატარება ერთი და იმავე დღეს მოუწევთ.

ამსტერდამი. ჰოლანდია.
გროლშის ღია პირველობა.
თიხნარი.
საპრიზო 500 ათასი $

ჰიშამ არაზისთვის გროლშის ღია პირველობაზე ასპარეზობა მეტად უიღბლო და ხანმოკლე გამოდგა — იგი პირველივე წრეში მოკვეთეს ტურნირიდან.

როლან გაროსის მეოთხედფინალისტმა მაროკოელმა შვედ მაგნუს ნორმანს პირველი სეტი დაძაბულ ტაი-ბრეიკზე 9:7 მოუგო, მაგრამ მერე შეცდომები მოუმრავლდა და ჩოგნის კორტზე დახეთქებისთვის მსაჯმა ორჯერ გააფრთხილა, რასაც ქულის მეტოქისთვის მინიჭება მოჰყვა. რაკილა მეორე ხელის გადასარჩენად ბრძოლა მაინცდამაინც არ სურდა, არაზიმ ნორმანის დახმარება გადაწყვიტა და რამდენჯერმე ბურთი განზრახ მოისროლა ტრიბუნებში. მსაჯმა ცოტა კი ითმინა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მაყურებელთა აბუჩად აგდება მაროკოელს არ აპატია და „არასპორტული ქცევისთვის" მესამედაც გააფრთხილა, რასაც ავტომატური დისკვალიფიკაცია მოჰყვა. არაზიმ კი ამით პირველ წრეში დამარცხებულისთვის განკუთვნილი 4700 დოლარიც დაკარგა.

**პირველი წრე:** **კაროლ კუჩერა (1, სლოვაკეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:2, 3:6, 7:6(7:5); მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) — ფელიქს მანტია (2, ესპანეთი) 7:6(7:2), 6:2; ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) — ანდრეა გაუდენცი (5, იტალია) 6:3, 6:2; სლავა დოსედელი (8, ჩეხეთი) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 7:6(7:5), 6:1.**

სან დიეგო. აშშ. „ტოშიბა კლასიკი". ჰარდი.
საპრიზო 450 ათასი $

შტეფი გრაფს „ტოშიბა კლასიკში" აქამდე ოთხჯერ ეასპარეზა და ოთხჯერვე გაემარჯვა, მაგრამ ტრავმით გამოწვეული ერთწლიანი შესვენების შემდეგ დიდი გერმანელი „ის შტეფი" აღარ არის — ამ სეზონში ისეთ მეტოქეებთან მარცხდება, რომლებიც ადრე მისთვის სეტის მოგებაზეც კი ვერ იოცნებებდნენ.

გრაფს ამომავალი მზის ქვეყნელ აი სუგიამასთან წინა პირადი შეხვედრა 6:0, 6:1 კი მოეგო, მაგრამ ამჯერად მერვედფინალში მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. პირველ ხელში იაპონელმა იმარჯვა, მერე შტეფიმ ანგარიში გაათანაბრა და ყველაფერი მესამე სეტში გადაწყდა. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი 5:4-ით დაწინაურდა, მაგრამ მოგებას 2 ქულაღა რომ უკლდა, ამ ბოლო ხანებში შესამჩნევად გაუარესებული ბექჰენდი რამდენჯერმე გაუფუჭდა და მალე წინ უკვე სუგიამა იყო — 6:5. შტეფიმ ორი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, მესამეზე კი იაპონელმა მცირე თალითობა იხმარა — ვითომდა სიარული აღარ შემიძლიაო და კორტზე ექიმს უხმო. ორწუთიანი „მკურნალობის" შემდეგ კი გრაფმა პირველივე დარტყმა გააფუჭა და მატჩიც წააგო 4:6, 6:1, 5:7. „არც კი ვიცი, როგორ მეყო ძალა მის დასამარცხებლად. ეს ჩემი კარიერის საუკეთესო მატჩი იყო" — განაცხადა სუგიამამ მატჩის შემდეგ.



განრისხებული შტეფი გრაფი

**მერვედფინალი:** **მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:3, 6:2; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 6:1, 6:4; მონიკა სელეში (4, აშშ) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 7:6(7:5), 7:5; მარი პირსი (საფრანგეთი) — კონჩიტა მარტინესი (5, ესპანეთი) 6:7(1:7), 6:2, 6:3.**

**ავთანდილ სვანიძე**


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29